ჰერმან ჰესე და მისი ინდური პოემა ზიდჰარტა

ზიდჰარტა ჰერმან ჰესეს და საერთოდ ახალი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უცნობილესი ნაწარმოებია. იგი 1919-სა 1922 წლებს შორის დაიწერა. ეს იყო დრო, როდესაც პირველი მსოფლიო ომის საშინელებების მერე ევროპაში დასავლური ღირებულებების კრიზისი იდგა, საზოგადოებას სასიცოცხლო კითხვებზე საკუთარ კულტურულ არეალში პასუხის მიღება უჭირდა და ახალ ორიენტირებს აღმოსავლურ რელიგიურ და ფილოსოფიურ სისტემებში ეძებდა, რაც კარგად ჩანს წიგნის დასაწყისში რომენ როლანისადმი გაკეთებულ მიძღვნაშიც.

ამასთანავე ამ ნაწარმოებში ინდური და ჩინური სულიერი სამყაროს ის სიყვარული და სიღრმისეული ცოდნაა ასახული, რომელიც მწერლის ოჯახურ ტრადიციებში იღებს სათავეს: ჯერ კიდევ მისი ბაბუა დედის მხრიდან, ხოლო შემდეგ მამა მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდნენ მისიონერულ საქმიანობას ინდოეთში და კარგად იცნობდნენ ინდურ ენას, კულტურასა და აგრეთვე რელიგიას, რომელიც თვალსაჩინო წინააღმდეგობაში მოდიოდა მათსავე მკაცრ კალვინისტურ დოგმატიზმთან.

ჰერმან ჰესე თავის ესსეიში – ჩემი დამოკიდებულების შესახებ სულიერი ინდოეთისა და ჩინეთის მიმართ – წერს, რომ მართალია ორივე თაობაში არსებობდა მზაობა ინდოეთის გაგებისა, მაგრამ ამას ქრისტიანობა ეღობებოდა, რომელიც ქრისტეს სწავლებას ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებად მიიჩნევდა.

სწორედ ამ დოგმატურობამ მიიყვანა ჰესე ქრისტიანობასთან დაპირისპირებამდე, რაც მის მიერ სემინარიის მიტოვებაში და თვითმკვლელობის მცდელობაში გამოიხატა. ამის შედეგად დაიწყო მან აღმოსავლურაზიური აზროვნების შესწავლა, რაც 1911 წელს მისი ინდოეთში ხანგრძლივი მოგზაურობისას კიდევ უფრო გაღრმავდა და რაც მთელი თავისი სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

მიზანი კი სხვადასხვა რელიგიურ და ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შეჯერებისა იყო ის, რომ მოეძებნა და მიეკვლია იმისთვის, რაც ყველა რელიგიას ერთმანეთთან აერთიანებს და აკავშირებს. ამ მცდელობის ნაყოფია სწორედ ზიდჰარტა.

მე ვცდილობდი დამესაბუთებინა ის, რაც ყველა კონფესიას, ღვთისმოსაობის ყველა ადამიანურ ფორმას საერთო აქვს, რაც ყველა ეროვნულ განსხვავებულობაზე მაღლა დგას, რაც ყოველ რასას, ყოველ ადამიანს შეიძლება სწამდეს და ეთაყვანებოდეს იგი.

მაგრამ არა მარტო ქრისტიანობის მიმართ იყო კრიტიკულად განწყობილი ჰესე. ასევე განიხილავდა იგი აღმოსავლურ რელიგიებსაც, რაც სწორედ ზიდჰარტას წერისას გამომჟღავნდა თვალსაჩინოდ. პოემის წერა მან 1919 წლის დეკემბერში დაიწყო და 1920 წლის ივლისისთვის პირველი სამი თავი დამთავრებული ჰქონდა, რასაც 18-თვიანი შემოქმედებითი კრიზისი მოყვა. ამ დროს მოხდა მისი ბუდიზმის მიმართ დამოკიდებულების გადაფასება.

თავისი რელიგიური ძიებების დასაწყისში და მერეც, ზიდჰარტას წერის დაწყებისას, ჰესეს აღფრთოვანება ბუდიზმით დიდი იყო, რადგან იგი ბუდას ინდოელ პროტესტანტად განიხილავდა და მას ინდოეთისათვის განმაახლებელ როლს მიაკუთვნებდა. ეს გატაცება კარგად ჩანს ნაწარმოების ფაბულაში, სადაც მრავალრიცხოვან რემინისცენციას ვხედავთ ნაწარმოების პროტაგონისტისა და ისტორიულ ბუდას ცხოვრების გზებს შორის: დაბადება, ოჯახური გარემო და შემდგომი სპირიტუალური თუ საერო ცხოვრების ფაზები თვალსაჩინო ანალოგიებს პოულობენ ერთმანეთთან.

მაგრამ დროთა განმავლობაში ავტორის თვალთახედვის არეში მოექცა პარალელები ბუდიზმსა და ევროპულ პროტესტანტიზმს შორის, რომელსაც, მისი აზრით, ამოწურული ჰქონდა განმაახლებელი პოტენციალი. ამას თან დაერთო ჰესეს დაეჭვება ზოგადად ყველა იერარქიული ორგანიზაციისა და ფორმულირებული სწავლების მიმართ და ის ფაქტიც რომ ბუდიზმი ქრისტიანობასა და ინდუიზმისგან განსხვავებით არ ცნობს აბსოლუტურ ღმერთს, კიდევ უფრო აშორებდა ავტორს ბუდიზმით თავდაპირველი გატაცებისგან. 1921 წლის თებერვალში

თავის დღიურში წერდა: ამჟამად აღარ მომწონს ბუდას სწავლების სუფთა გონივრულობა და სწორედ ის, რაც აღფრთოვანებას იწვევდა ჩემს სიჭაბუკეში, ახლა ნაკლია ჩემთვის. ეს არის გონივრულობა და უღმერთობა, თეოლოგიის, ღმერთისა და შენდობის ნაკლებობა.

ჰესეს ეს დისტანცირება ბუდიზმისგან კარგად ჩანს ზიდჰარტას დამოკიდებულებაში გაუტამა ბუდას მიმართ:მ მართალია, ორივეს საბოლოო მიზანი ხსნაა, მაგრამ ზიდჰარტასთვის მისი ინდივიდუალური ვნებებია უმთავრესი. სწორედ ბუდას ცხოვრების პოზიტიურ შეფასებას მიჰყავს ზიდჰარტა მისივე სწავლებასთან დაპირისპირებამდე. სწორედ ბუდას ცხოვრება არის ზიდჰარტასთვის დადასტურება იმისა, რომ მისი გადაწყვეტილება საკუთარ გზაზე სიარულისა, სწორია.

შენ ჰპოვე ხსნა სიკვდილისგან და ეს ხსნა თავად შენ გახდი შენი ძიებით, შენს საკუთარ გზაზე სიარულით, ფიქრებით, ჩაღრმავებით, შეცნობით, გასხივოსნებით და არა სწავლებით! დაი, ეს არის სწორედ ჩემი ფფიქრი, ო, ამაღლებულო, ვერვის ხვდება წილად ხსნა სწავლებით! ვერავის, ო, ღირსეულო, ვერ ეტყვი და ვერ გაუზიარებ სიტყვებით და სწავლებით, რა მოხდა შენში გასხივოსნების ჟამს. ბევრ რამეს მოიცავს გასხივოსნებული ბუდას სწავლება, ბევრს ასწავლის იგი მართლად ცხოვრებას, ბოროტისაგან გარიდებას, მაგრამ ერთ რამეს არ ამბობს ეს ნათელი, ღირსეული მოძღვრება: იგი არ გვიმხელს საიდუმლოს, თუ რა განიცადა ამაღლებულმა, მან, ერთადერთმა მრავალთა და მრავალთა შორის. აი, ეს არის რაც მე მოძღვრების მოსმენისას ვიფიქრე და შევიცანი. ეს არის, რის გამოც ვაგრძელებ მე ჩემს ხეტიალს – არა იმისთვის, სხვა უკეთესი სწავლება რომ ვეძიო, რამეთუ ვიცი: არ არსებობს სხვა უკეთესი, არამედ ყველა სწავლება და მასწავლებელი რომ მივატოვო და მარტოდმარტომ მივაღწიო მიზანს ან ვესწრაფოდე მისკენ, – ეუბნება ზიდჰარტა ბუდას.

რომანში ზიდჰარტასა და ვაზუდევას გარდა, ბუდას ვერცერთმა მოწაფემ, მათ შორის გოვინდამაც ვერ მიაღწია გასხივოსნებას, რაც იმის დასტურია რომ ბუდას ნასწავლი გზა ხსნისკენ არ მიდის და მისსავე განვლილ გზას ეწინააღმდეგება. აამრიგად აშკარად გამოსჭვივის სკეპსისი სიტყვის მიმართ, რომელსაც არ ძალუძს ინდივიდუალური გამოცდილების შეცვლა. სწორედ ზიდჰარტას ეს კრიტიკული დამოკიდებულება ბუდას სწავლების მიმართ და სწრაფვა ინდივიდუალური განვითარებისაკენ არის ის, რაც ევროპულ აზროვნებას განასხვავებს ბუდიზმისაგან და სხვა ინდური და ჩინური სულიერი მიმდინარეობებისაგან.

ამგვარად, ზიდჰარტა ბუდასთან დაპირისპირებისას წარმოგვიდგება თანამედროვე, ევროპელ ინდივიდუალისტად, რომელიც დოგმებისა და ინსტიტუციების მიმართ თავისი ეჭვიანობიდან გამომდინარე, ნებისმიერ ფორმულირებულ მოძღვრებას უარყოფს.

ერთ წერილში ჰერმან ჰესე წერდა: ზიდჰარტა ძალზე ევროპული წიგნია. მიუხედავად იმ გარემოსი, სადაც მოქმედება ხდება, ზიდჰარტა – სწავლება განმსჭვალულია ინდივიდუუმით და ამას იმდენად სერიოზულად განიხილავს, როგორც არცერთი აზიური სწავლება არ აკეთებს ამას.... ზიდჰარტა ჩემი ინდური აზროვნებისაგან გათავისუფლების გამოხატვაა. მე 20 წლის განმავლობაში ინდურად ვაზროვნებდი და 30 წლის ასაკში ბუდისტი ვიყავი, ცხადია არაეკლესიური გაგებით. გზას ჩემი გათავისუფლებისა ყოველი დოგმისგან, მათ შორის ინდურისგან, ზიდჰარტასკენ მივყავარ და იგი გაგრძელდება, თუ კიდევ ვიცოცხლებ.

კიდევ ერთი ქრისტიანული ელემენტი, მძლავრად რომ იჭრება რომანში, არის სიყვარული, რომელიც ზიდჰარტას ცხოვრების ბოლო ფაზის მთავარი მოტივია: სიყვარული შვილის მიმართ და სიყვარული ზოგადად – გრძნობა, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას.

როდესაც ზიდჰარტა ბოლო შეხვედრისას გოვინდას სიყვარულის მნიშვნელობას უხსნის, გოვინდა ეუბნება მეგობარს: კეთილმოსურნეობას, დანდობას, თანაზიარობას, თმენას ბრძანებს იგი, მაგრამ სიყვარულს არა. მან აგვიკრძალა ჩვენი გული მიწიერისადმი სიყვარულს რომ მივაჯაჭვოთ. რაზეც ზიდჰარტა პასუხობს: ვერ უარვყოფ, ჩემი სიტყვები სიყვარულზე ეწინააღმდეგება, მოჩვენებითად ეწინააღმდეგება გოტამას სიტყვებს. სწორედ ამის გამო არ ვენდობი ასე ძლიერ მე სიტყვებს, რადგან ვიცი, ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია. ვიცი, რომ ერთსულოვანი ვარ გოტამასთან. როგორ შეიძლება, არ ცნობდეს იგი სიყვარულს. იგი, ვინც ადამიანური ყოფიერება თავის წარმავლობაში, თავის არარაობაში შეიცნო და მაინც ისე ძლიერ უყვარდა ადამიანები, რომ თავისი ხანგრძლივი, ნაჭირვები ცხოვრება იმას შეალია, რომ მათ დახმარებოდა, მათთვის ესწავლებინა!

ამ სიტყვებში, სადაც ბუდისტური თანაგრძნობა ჰარმონიაშია ქრისტიანულ სიყვარულთან, კარგად ჩანს ჰერმან ჰესეს სინკრეტული მსოფლმხედველობა, ხოლო ზიდჰარტა წარმოგვიდგება ხსნის გზაზე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხიდების გადების მცდელობად, აღმოსავლურ-დასავლურ სინთეზად, რომელიც რაღაც ახალი და მეტია ვიდრე, მისი ცალკეული ნაწილები.

ხან ბუდასთან, ხანაც ბიბლიაში, ხან ლაო ძისთან ან ჯუან ძინთან, ხანაც გოეთესთან ან სხვა პოეტებთან ვგრძნობდი, რომ საიდუმლოს ვიყავ ნაზიარები და დროსთან ერთად ვგრძნობდი, რომ ეს მუდამ ერთი და იგივე საიდუმლოა, მუდამ ერთი და იგივე წყაროდან მოედინება ყველა ენის, დროისა და სააზროვნო ფორმების მიღმა.

წარმოუდგენელი საქმეა, შექმნა ბუდა, რომელიც საზოგადოდ აღიარებულ ბუდას აჭარბებს. ზიდჰარტა ჩემთვის უფრო ქმედითი წამალია, ვიდრე ახალი აღთქმა.

ჰენრი მილერი

პირველი ნაწილი

ძვირფასო და პატივცემულო რომენ როლან!

რაც 1914 წლის შემოდგომაზე სულიერებას თავს დამტყდარი სულთახუთვა სულ მალე ჩემთვისაც საგრძნობი გახდა და ჩვენ უცხო ნაპირებიდან ვუწვდიდით ხელს ერთმანეთს ერთი და იმავე ზეეროვნულ საჭიროებათა რწმენით აღსავსენი, მას შემდეგ მქონდა სურვილი, ერთხელ მაინც თქვენთვის ჩემი სიყვარულის ნიშანი და იმავდროულად ჩემი შემოქმედების ნიმუში და ჩემს ფიქრთა სამყაროში ჩახედვის საშუალება მომეცა.

გთხოვთ, მიიღოთ მეგობრულად ჩემი ჯერ დაუმთავრებელი ინდური პოემის პირველი ნაწილის მიძღვნა.

თქვენი ჰერმან ჰესე

ბრაჰმანის ვაჟი

სახლის ჩრდილში, მზიან ჭალაში ნავებთან, სალის ჩრდილიან ტყეში, ლეღვის ხის ჩეროში იზრდებოდა ზიდჰარტა, ბრაჰმანის მშვენიერი ძე, ნორჩი შევარდენი, თავის მეგობარ, ბრაჰმანის ვაჟ გოვინდასთან ერთად. მზე რუჯავდა მის თხელ მხრებს მდინარეზე ბანაობისას, წმინდა განბანვისას, მსხვერპლშეწირვისას. ჩრდილი ეფინებოდა მის შავ თვალებს მანგოს კორომში ტოლებთან თამაშისას, დედის გალობისას, წმინდა მსხვერპლშეწირვისას, მამასთან, მეცნიერთან სწავლისას, ბრძენკაცებთან საუბრისას. უკვე დიდი ხანია, რაც ზიდჰარტა ბრძენკაცებთან ბაასში მონაწილეობდა, იწვრთნებოდა გოვინდასთან ერთად სიტყვიერ პაექრობაში, იწაფებოდა გოვინდასთან ერთად განჭვრეტის, ჩაღრმავების ხელოვნებაში. უკვე იცოდა, უხმოდ როგორ გამოეთქვა ომ, სიტყვათა სიტყვა, ერთიანად მოკრებილი სულით უხმოდ ჩასუნთქვით თავის თავში ჩაეთქვა და მერე ასევე უხმოდ ამოსუნთქვით ამოეთქვა იგი ნათლად მოაზროვნე გონების ბრწყინვალებით შუბლშემოსილს. უუკვე ესმოდა, როგორ შეეცნო თავისი არსების სიღრმეში ატმან, დაურღვეველი და სამყაროსთან ერთიანი.

სიხარული ფეთქავდა მამის გულში თავისი ვაჟის, საზრიანისა და ცოდნამოწყურებულის გამო, მასში მზარდ ბრძენკაცსა და ქურუმს ხედავდა – თავადს ბრაჰმანთა შორის.

ნეტარება ფეთქავდა დედის მკერდში, როცა შვილს მოსიარულეს, მჯდომარეს თუ ფეხზე მდგომს ხედავდა, ზიდჰარტას – ღონიერს, მშვენიერს, თხელი ფეხებით მომავალს, როდესაც მისკენ მიემართებოდა თავაზიანი სალმისათვის.

სიყვარული თრთოდა ბრაჰმანთა ასულების გულებში, როდესაც ზიდჰარტა ქალაქის შუკებში მიაბიჯებდა შუბლგაცისკროვნებული, მეფურთვალებიანი, ვიწროთეძოიანი.

ყველაზე მეტად კი იგი უყვარდა გოვინდას, მის მეგობარს, ბრაჰმანის ვაჟს. უყვარდა ზიდჰარტას თვალები და ხმაკეთილობა, უყვარდა მისი სიარული და სრულყოფილება მისი სხეულის მოძრაობისა, უყვარდა ყველაფერი, რასაც ზიდჰარტა აკეთებდა და ამბობდა. ყველაზე მეტად კი უყვარდა მისი გონება, მისი ცეცხლოვანი აზრები, მისი მტკიცე ნებისყოფა, მისი მაღალი მოწოდება. გოვინდამ იცოდა: იგი არც უბრალო ბრაჰმანი, არც უქნარა მსხვერპლშემწირავი მოხელე, არც ხარბი, ტკბილმოუბარი ვაჭარი, არც მედიდური და ფუყე ქადაგი, არც ბოროტი და მზაკვარი ქურუმი და არც ვინმეს ფარაში კეთილი, სულელი ცხვარი გახდებოდა. არა, არც მას, გოვინდას სურდა მსგავსი ვინმე გამხდარიყო, ერთი უბრალო ბრაჰმანი, აი ისეთი, ათიათასობით რომ არიან ამქვეყნად. მას სურდა ზიდჰარტას გაჰყოლოდა, საყვარელსა და მშვენიერს და თუ ზიდჰარტა ოდესმე ღმერთი გახდებოდა, თუკი ოდესმე გასხივოსნდებოდა, მაშინ ისურვებდა, მას გაჰყოლოდა როგორც მისი მეგობარი, როგორც მისი თანმხლები, როგორც მისი მსახური, როგორც მისი შუბის მტვირთველი, მისი აჩრდილი.

ყველას უყვარდა ზიდჰარტა, ყველას სიხარულს ანიჭებდა, ყველასთვის სასურველი იყო იგი.

მაგრამ მას, ზიდჰარტას სიხარული და ხალისი არ ეკარებოდა. ლეღვის ბაღების ვარდისფერ ბილიკებზე ბორიალისას, ფიქრთა კორომის მოლურჯო ჩრდილში მოსვენებისას, ყოველდღიური სინანულის განბანვისას, მანგოს ტყეში მსხვერპლშეწირვისას, სრულყოფილი ყოფაქცევისა, ყველასთვის საყვარელი, ყველას გამხარებელი, არ ატარებდა იგი გულით სიხარულს. სიზმრები ეძალებოდნენ და შეუნელებელი ფიქრები მდინარის წყლიდან შემოცურებულნი, ღამით ვარსკვლავებიდან გამოტყორცნილნი, მზის სხივებიდან გამომდნარნი, სიზმრები ეძალებოდნენ და სულის მოუსვენრობა, შეწირული მსხვერპლიდან შემობოლილნი, რიგვედას ლექსებიდან შემოსუნთქულნი, მოხუც ბრაჰმანთა სწავლებიდან გამოჟონილნი.

ზიდჰარტა თავად ასაზრდოვებდა საკუთარ თავში დაუკმაყოფილებლობას. თანდათან გრძნობდა, რომ მამის სიყვარული და დედის სიყვარული და აგრეთვე თავისი მეგობრის, გოვინდას სიყვარული ყოველთვის და სამუდამოდ ვერ გააბედნიერებდა, ვერ დაარწყულებდა და განაძღობდა, ვერ ეყოფოდა. თანდათან იმასაც ხვდებოდა, რომ მისმა პატივცემულმა მამამ და სხვა მასწავლებლებმა, ბრძენმა ბრაჰმანებმა მას უმეტესი და უდიდესი სიბრძნეები უკვე გაუზიარეს, თავიანთი ხვავი მის მომლოდინე ჭურჭელში ჩააპირქვავეს, მაგრამ ჭურჭელი ჯერ არ იყო სავსე, გონება არ იყო კმარი, სული არ იყო დაწყნარებული, გული დამცხრალი. ყოველდღიური განბანვა კარგი იყო, მაგრამ ის მხოლოდ წყალი იყო, ცოდვებს ის არ ჩამორეცხავდა, გონების წყურვილს ვერ კლავდა და გულში ჩაბუდებულ შიშს ვერ აქრობდა. მმსხვერპლშეწირვა და ღვთის ვედრება ჩინებული იყო, მაგრამ ეს იყო განა ყველაფერი? მმოჰქონდა მსხვერპლს ბედნიერება? ხოლო ღმერთებს რაც შეეხება, მართლა პრაჯაპატი იყო იგი, ვინც სამყარო შექმნა? ნუთუ ეს ატმანი არ იყო, იგი ერთადერთი, სამყაროს მომცველი? ნუთუ არ იყვნენ ღმერთები ისეთივე ქმნილებები, როგორც მე და შენ, დროის მორჩილნი, წარმავალნი? მაშასადამე, კარგი იყო, სწორი იყო, გააზრებული და უმაღლესი სიქველე იყო ღმერთებისათვის ზვარაკის მიტანა? სხვას ვის უნდა შეეწიროს მსხვერპლი, სხვას ვის უნდა სცენ თაყვანი, თუ არა მას, ერთადერთს, ატმანს? და სად შეიძლებოდა ატმანის მოძებნა, სად ცხოვრობდა იგი, სად სცემდა მისი საუკუნო გული, სად თუუ არა საკუთარ მეში, სულის სიღრმეში, დაუნგრეველში, რომელსაც ყოველი კაცი საკუთარ თავში ატარებდა? მაგრამ სად იყო ეს მე, ეს სულის სიღრმე, ეს საბოლოო? ეს არც ხორცი იყო და არც ძვალი, არც აზროვნება და არც ცნობიერება, როგორც ამას სიბრძნეები ასწავლიდნენ. სად, სად იყო იგი. იქამდე მისაღწევად, მესთან, ჩემთან, ატმანთან – არსებობდა კი სხვა გზა, რომლის მოძებნაც ღირდა? ეჰ, არავინ მიასწავლიდა ამ გზას, არავინ უწყოდა იგი, არც მამამ, არც მასწავლებლებმა და ბრძენკაცებმა, არც წმინდა სამსხვერპლო საგალობლებმა! ყველაფერი იცოდნენ ბრაჰმანებმა და მათმა წმინდა წიგნებმა, ყველაფერი იცოდნენ მათ, ყველაფერზე და კიდევ მეტზე, ვიდრე ყველაფერი იზრუნეს მათ: ქვეყნის გაჩენაზე, სიტყვის შექმნაზე, საზრდოზე, ჩასუნთქვაზე და ამოსუნთქვაზე, გრძნობათა წყობაზე, ღმერთთა საქმეებზე – უსასრულოდ ბევრი იცოდნენ მათ, მაგრამ ჰქონდა კი ყველაფერ ამის ცოდნას ფასი, როცა ერთი და ერთადერთი, უმთავრესი, მხოლოდ ერთი მთავარი უცნობი იყო?

მართალაც, წმინდა წიგნების ბევრი ლექსი, განსაკუთრებით კი სამავედას უპანიშადები მეტყველებდნენ ამ სულიერ სიღრმეზე და საბოლოოზე. მშვენიერი ლექსები. შენი სული არის მთელი სამყარო ეწერა იქ და ისიც ეწერა, რომ ადამიანი ძილში, ღრმა ძილში თავისი სულის სიღრმისკენ მიილტვის და ატმანში ცხოვრობს. საოცარი სიბრძნეები ეწერა ამ ლექსებში. ბრძენთა მთელი ცოდნა იყო აქ მაგიური სიტყვებით თავმოყრილი, წმინდა როგორც ფუტკრების მიერ მოგროვებული თაფლი. არა, სულაც არ იყო მცირედ ყურადსაღები ის უზარმაზარი

ცოდნა, რომელიც აქ ბრძენი ბრაჰმანების ურიცხვი თაობის მიერ იყო შეკრებილი და დაუნჯებული. მაგრამ სად იყვნენ ბრაჰმანები, სად იყვნენ ქურუმები, სად ბრძენნი და მონანიენი, რომლებმაც შეიძლეს, ეს ღრმა ცოდნა მხოლოდ კი არ სცოდნოდათ, არამედ მით ეცხოვრათ? სად იყო ის მცოდნე, რომელიც ატმანში ყოფნას ძილიდან ღვიძილში, ცხოვრებაში, ნაბიჯებში, სიტყვაში და საქმეში გარდასახავდა? ბევრ პატივცემულ ბრაჰმანს იცნობდა ზიდჰარტა, უპირველესად თავის მამას უმწიკვლოს, სწავლულს, დიდად პატივდებულს. აღტაცების ღირსი იყო მამა, წყნარი და კეთილშობილური მისი მიხრამოხრა, სუფთა მისი ცხოვრება, ბრძნული მისი სიტყვა, ნატიფი და კეთილშობილური აზრები იყვნენ მის შუბლში დაბუდებულნი – მაგრამ ისიც, ამდენის მცოდნე, ცხოვრობდა კი იგი ნეტარებაში, იყო იგი სიმშვიდეში, არ იყო ისიც მაძიებელი, მწყურვალი? არ უნდა შეესვა მას, მწყურვალს კიდევ და კიდევ წმინდა წყაროების წყალი ზვარაკთან ყოფნისას, წიგნების კითხვისას, ბრაჰმანებთან საუბრისას? მაინც რატომ უნდა ჩამოერეცხა მას, უზადოს, ყოვედღიურად ცოდვები, ეზრუნა სხეულის განწმენდაზე, ყოველდღე ხელახლა? ნუთუ არ იყო ატმანი მასში დავანებული, ნუთუ არ მოედინებოდა მის გულში პირველწყარო? სწორედ იგი, პირველწყარო იყო საკუთარ მეში საპოვნელი, იგი იყო გასათავისებელი. სხვა დანარჩენი კი ძიება, გზის დაგრძელება და არევა იყო მხოლოდ.

ასეთი იყო ზიდჰარტას ფიქრები, ეს იყო მისი წყურვილი, მისი ვნება. ხშირად წარმოთქვამდა იგი თავისთვის სიტყვებს ჩანდოგია უპანიშადიდან: ნამდვილად, სატია არის ბრაჰმანის სახელი. ჭეშმარიტად, ვინც ეს იცის, ყოველდღე ციურ სამყაროში შედის იგი. ხშირად იქვე ახლოს მოსჩვენებია იგი, ციური სამყარო, მაგრამ ვერასდროს მიაღწია მას, ერთხელაც ვერ მოიკლა წყურვილი. დდა ყველა იმ ბრძენთაგან და უბრძნესთაგან, რომელთა მოძღვრებასაც იგი შეიტკბობდა, არავინ იყო ისეთი, რომელმაც მას მიაღწია – ციურ სამყაროს, რომელმაც ბოლომდე მოიკლა იგი – საუკუნო წყურვილი.

გოვინდა, – მიმართა ერთხელ ზიდჰარტამ თავის მეგობარს.

– გოვინდა, ძვირფასო, წამომყევი ბანანის ხეებისაკენ, შევუდგეთ ჩაღრმავებას.

ისინი გაემართნენ ბანანის ხეებისაკენ და დასხდნენ ხის ძირას, ერთ მხარეს ზიდჰარტა, ოცი ნაბიჯის მოშორებით გოვინდა. როცა გოვინდა დაჯდა და ჯერ მხოლოდ ემზადებოდა ომის სათქმელად. ზიდჰარტა უკვე ბუტბუტით იმეორებდა ლექსს: ომ მშვილდია, სული – ისარი, ბრაჰმან ისრის მიზანი არის, უცილოდ უნდა მოხვდეს მას ისარი.

როდესაც ჩაღრმავების ვარჯიშისათვის ჩვეული დრო გავიდა, წამოდგა გოვინდა. საღამო დამდგარიყო, დრო იყო, მწუხრის განბანვა შეესრულებინათ. შესძახა ზიდჰარტას. ზიდჰარტა არ გამოეპასუხა. ჩაღრმავებული იჯდა ზიდჰარტა, რაღაც შორეულ წერტილზე თვალგაშტერებული, ენის წვერი ოდნავ კბილებს შორის მოექცია, თითქოსდა არც კი სუნთქავდა. ასე იჯდა იგი ჩაღრმავებაში ჩაფლული, ომზე ჩაფიქრებული, მისი სული კი იყო ვითარცა ისარი ბრაჰმანისაკენ გატყორცნილი.

ერთხელ სამანებმა გამოიარეს ზიდჰარტას ქალაქში – მომლოცველმა ასკეტებმა, სამმა დაგვალულმა, ჩამჭკნარმა კაცმა – არც მოხუცები და აღარც ახალგაზრდები რომ არ ეთქმით – მხრებდამტვერილებმა და დასისხლიანებულებმა, ლამის შიშვლებმა, მზისგან დახრუკულებმა, მარტოობით შემოგარსულებმა, სამყაროს მიმართ მტრულებმა და უცხოებმა, გადამთიელმა და გაძვალტყავებულმა აფთრებმა ადამიანთა სამეფოში. ჩუმი ვნების, დამანგრეველი მსახურების, უთანაგრძნობო თავდავიწყების მხურვალე სურნელი უბერავდა მათგან.

საღამოს განჭვრეტის გაკვეთილის შემდეგ უთხრა ზიდჰარტამ გოვინდას: ხვალ, დილაადრიან, ჩემო მეგობარო, ზიდჰარტა სამანებთან წავა. ისიც სამანა გახდება.

გოვინდა გაფითრდა, რამეთუ მიუხვდა მეგობარს სათქმელს და მის გაშეშებულ სახეში გადაწყვეტილება ამოიკითხა, მოუბრუნებელი ვითარცა მშვილდიდან გასროლილი ისარი. უმალ, ერთი შეხედვით შეიცნო გოვინდამ: აი, იწყება, ახლა კი წავა ზიდჰარტა თავის გზაზე, ახლა კი იწყებს მისი ბედი გაფურჩქვნას. და გაფითრდა იგი, ვითარცა ბანანის გამხმარი ქერქი. ო, ზიდჰარტა, დაგრთავს კი მამაშენი ამის ნებას? ზიდჰარტამ, თითქოსდა ახლად გამოღვიძებულმა გადახედა მას. ისრის უსწრაფესად ჩაიხედა მის სულში და იქ შიში და მორჩილება ამოიკითხა.

ო, გოვინდა, – წარმოთქვა მან ჩუმად, – არ არის საჭირო სიტყვების ფანტვა. ხვალ გამთენიისას ვიწყებ მე სამანას ცხოვრებას, მეტი აღარ მელაპარაკო ამაზე.

ზიდჰარტა შევიდა სენაკში, სადაც მამამისი იჯდა ჭილობზე. დადგა მამის უკან და დაელოდა, სანამ მამამ არ იგრძნო, მის უკან რომ იდგა ვიღაცა. მაშინ წარმოთქვა ბრაჰმანმა: ეს შენ ხარ ზიდჰარტა? მაშ, მითხარი, რის სათქმელადაც აქ მოსულხარ.

თქვა ზიდჰარტამ: შენი ნებართვით მამაჩემო, მოვედი, რათა გითხრა, რომ მწადია, ხვალ სახლი დავტოვო, ასკეტებთან წავიდე და სამანა გავხდე, ეს არის ჩემი წადილი. დაე, ნუ იქნება მამაჩემი ამის წინააღმდეგი.

ბრაჰმანი დუმდა და დუმდა იმდენ ხანს, რომ ვარსკვლავები შემოეხეტნენ პატარა სარკმელში და ვიდრე სენაკში დუმილი სუფევდა, მათი შუქი კაცების გამოსახულებებს ცვლიდა, უსიტყვოდ და გაუნძრევლად ერთმანეთზე ხელებგადაჭდობილი იდგა ძე, უსიტყვოდ და გაუნძრევლად იჯდა ნოხზე მამა, ვარსკვლავები კი მიიწევდნენ ცაზე. ბოლოს თქვა მამამ: არ ეგების ბრაჰმანს ცხარე და მრისხანე სიტყვებით ლაპარაკი. მაგრამ გულისწყრომა სძრავს ჩემს გულს. არ მსურს, ეს თხოვნა მეორედ მოვისმინო შენი პირიდან.

ნელა წამოდგა ბრაჰმანი, ზიდჰარტა კი იდგა უსიტყვოდ, ხელები გადაეჭდო ერთმანეთზე.

რას ელოდები? – შეეკითხა მამა თქვა ზიდჰარტამ: შენ იცი, რასაც.

ჯავრიანი გავიდა მამა სენაკიდან, ჯავრიანად მოძებნა სარეცელი და დაწვა.

ერთი საათის მერე, რადგან მის თვალებს ძილი არ ეკარებოდა, წამოდგა ბრაჰმანი. ბოლთას სცემდა, შემდეგ გავიდა სახლიდან, სენაკის პატარა სარკმელში შეიხედა და დაინახა ზიდჰარტა იმავე ადგილას მდგომი, ერთმანეთზე ხელებგადაჭდობილი.

თეთრად ციალებდა მისი ნათელი კაბა. გულაფორიაქებული დაუბრუნდა მამა სარეცელს.

ერთი საათის შემდეგ, რადგან მის თვალებს ძილი არ ეკარებოდა, წამოდგა კვლავ ბრაჰმანი, ბოლთას სცემდა, შემდეგ გავიდა სახლიდან, მთვარე ამოსულიყო. შეიხედა სენაკის სარკმელში. ისევ იმავე ადგილას იდგა ზიდჰარტა ერთმანეთზე ხელებგადაჭდობილი. მის შიშველ წვივებზე მთვარის შუქი ირეკლებოდა. გულდარდიანი დაუბრუნდა მამა სარეცელს.

ერთი საათის მერე კვლავ წამოდგა იგი, ორი საათის მერეც, იხედებოდა პატარა სარკმელში, შეცქეროდა ფეხზე მმდგომ ზიდჰარტას მთვარის, ვარსკვლავების შუქში, წყვდიადში. ყოველი საათის შემდეგ მოდიოდა იგი, მდუმარედ იცქირებოდა სენაკში, ხედავდა უცვლელად მდგომს, ივსებოდა მისი გული მრისხანებით, ივსებოდა მისი სული შფოთით, ივსებოდა მისი გული რიდით, ივსებოდა ტანჯვით.

ღამის ბოლო საათზე, ვიდრე ინათებდა, კვლავ მობრუნდა იგი, შევიდა სენაკში, შეხედა ყრმას ფეხზე მდგომს, გაზრდილი და თითქოსდა უცხო მოეჩვენა იგი.

ზიდჰარტა, – წარმოსთქვა მან, – რას ელოდები?

შენ იცი რასაც.

სულ ასე უნდა იდგე, სანამ გათენდება, სანამ შუადღე დადგება, სანამ საღამო მოვა?

ასე ვიდგები და დავიცდი.

შენ დაიღლები, ზიდჰარტა.

მე დავიღლები.

შენ ჩაგეძინება, ზიდჰარტა.

მე არ ჩამეძინება.

შენ მოკვდები ზიდჰარტა.

მე მოვკვდები.

მერედა გირჩევნია მოკვდე, ვიდრე მამაშენს დაემორჩილო?

ზიდჰარტა ყოველთვის ემორჩილებოდა თავის მამას.

მაშასადამე, არ გსურს, გადათქვა შენი განზრახვა?

ზიდჰარტა იმას იზამს, რასაც მამამისი ეტყვის.

სინათლის პირველი სხივი შემოიჭრა სენაკში. ბრაჰმანი ხედავდა, ოდნავ როგორ უცახცახებდა მუხლები ზიდჰარტას. სახეზე ვერ შეატყო მან ზიდჰარტას კანკალი, მისი თვალები სადღაც შორეთისაკენ იმზირებოდნენ. მაშინ კი შეიცნო მამამ, ზიდჰარტა უკვე აღარ იყო მასთან, აღარც თავის სამშობლოში, მას უკვე განშორებოდა იგი.

მამა მხარზე ხელით შეეხო ზიდჰარტას.

შენ, – თქვა მან, – ტყეში წახვალ და სამანა გახდები. თუ ტყეში ცხონებას ჰპოვებ, მოდი და მასწავლე მეც. მაგრამ თუ მოლოდინი გაგიწბილდება, დაბრუნდი და კვლავ ერთად მივართვათ ღმერთებს ზვარაკი. ახლა წადი დედასთან, აკოცე და უთხარი, საითაც მიდიხარ. მე კი, დროა, მდინარეზე წავიდე და პირველ განბანვას შევუდგე. მამამ ხელი ჩამოიღო შვილის მხრიდან და გარეთ გავიდა. ზიდჰარტამ გვერდზე წაიბორძიკა, როდესაც ნაბიჯის გადადგმას შეეცადა. დაიმორჩილა ურჩი კიდურები, თავი მოუდრიკა მამას და დედისკენ გაემართა, რათა აღესრულებინა ის, რაც მას უბრძანა მამამ.

როდესაც ალიონზე იგი თავისი გახევებული ფეხებით ტოვებდა ჯერ კიდევ მძინარე ქალაქს, ჩაცუცქული აჩრდილი წამოდგა ბოლო ქოხთან და პილიგრიმს აედევნა – გოვინდა.

შენ მოხვედი, – თქვა ზიდჰარტამ და გაიღიმა.

მე მოვედი, – თქვა გოვინდამ.

სამანებთან

იმავე საღამოს დაეწიენ ისინი ასკეტებს, ჩამომხმარ სამანებს, თანხლება სთხოვეს და მორჩილება აღუთქვეს მათ.

სამანებმა მიიღეს ისინი.

ზიდჰარტამ თავისი სამოსი ერთ ღატაკ ბრაჰმანს აჩუქა, თავად კი არდაგით, მხოლოდ სარცხვენელს რომ უფარავდა და მიწისფერი შემოუკერავი მოსასხამით შეიმოსა სხეული. დღეში ერთხელ და ისიც უმად იკვებებოდა იგი. თხუთმეტი დღე მარხულობდა იგი. ოცდარვა დღე მარხულობდა იგი. ხორცი ადნებოდა ბარძაყებსა და ღაწვებზე. მცხუნვარე ზმანებები მოლიცლიცებდნენ მისი გადიდებული თვალებიდან. დამჭკნარ თითებზე გრძლად წამოზრდოდა ფრჩხილები, ნიკაპზე კი მშრალი, გაბურძგნული წვერი. ყინულოვანი ხდებოდა მისი გამოხედვა, როცა დედაკაცებს შეეჩეხებოდა ხოლმე. ტუჩები ზიზღისაგან ემანჭებოდა, როცა ქალაქში ლამაზად გამოწყობილ ადამიანებს შორის მიაბიჯებდა. იგი ხედავდა: ვაჭრები ვაჭრობდნენ, თავადები სანადიროდ მიდიოდნენ, მგლოვიარენი თავიანთ მკვდრებს დასტიროდნენ, მეძავები საკუთარ თავს ყიდდნენ, ექიმები სნეულებს კურნავდნენ, ქურუმები თესვის დაწყების დღეს ადგენდნენ, მიჯნურები ერთმანეთს შეტრფოდნენ, დედები ძუძუს აწოვებდნენ შვილებს – და ეს ყველაფერი არ იყო მის თვალთა მზერის ღირსი, ყოველივე ცრუობდა, ყოველივე ყარდა, ყოველივე სიცრუის სუნით ყარდა, ყოველივე გრძნობებს, ბედნიერებასა და მშვენიერებას თვალთმაქცობდა, ყოველივე უღიარებელი ხრწნა იყო. მწარე გემო ჰქონდა სამყაროს. ტანჯვა იყო ცხოვრება. ერთი, ერთადერთი მიზანი ჰქონდა ზიდჰარტას, დაცლილიყო – დაცლილიყო წყურვილისაგან,

დაცლილიყო სურვილისაგან, დაცლილიყო ოცნებისაგან, დაცლილიყო სიხარულისა და მწუხარებისაგან. თავისსავე თავს უნდა მოჰკვდომოდა, აღარასოდეს მე აღარ უნდა ყოფილიყო, დაცლილი გულის სიმშვიდე უნდა ეპოვნა, მესგან დაცლილ აზროვნებაში სასწაულის მიმართ გახსნილიყო, აი, ეს იყო მისი მიზანი. როდესაც სრულიად მე გადალახული, მკვდარი იქნება, როდესაც ყოველი ჟინი და ყოველი ლტოლვა გულში დადუმდება, მაშინ გაიღვიძებს ის საბოლოო, ის შინაგანი სიღრმე მის არსებაში, ის დიადი საიდუმლო, რომელიც უკვე აღარ არის მე.

მდუმარედ იდგა ზიდჰარტა შუბის ტარზე მყოფი მზის გულზე ტკივილისა და წყურვილის წინაშე გავარვარებული და იდგა მანამდე, სანამ ვეღარც ტკივილსა და ვეღარც წყურვილს გრძნობდა. მდუმარედ იდგა იგი წვიმაში, წყალი დაედინებოდა თმიდან გათოშილ მხრებზე, გათოშილ თეძოებსა და ფეხებზე და იდგა მონანიე, სანამ მხრები და ფეხები აღარ ეყინებოდა, სანამ ისინიც დადუმდებოდნენ და დაწყნარდებოდნენ. მდუმარედ ჩაყუნტულიყო იგი ეკალბარდებში, სისხლი მოწვეთავდა გახურებული კანიდან, მუწუკებიდან – ჩირქი, და ზიდჰარტა მაინც ბარდებში რჩებოდა ჯიუტად, რჩებოდა გაუნძრევლად, სანამ სისხლი აღარ მოედინებოდა, აღარაფერი ჩხვლეტდა, აღარაფერი ეწვოდა.

ზიდჰარტა გამართული იჯდა და სწავლობდა, დაზოგილად ესუნთქა, ნაკლები სუნთქვა ეკმარა, სუნთქვა გაეჩერებინა. იგი სწავლობდა, სუნთქვით დაწყებული, გულის ცემა დაეწყნარებინა და ისე შეემცირებინა, სანამ ოდნავ ან თითქმის აღარ ფეთქავდა გული.

უხუცეს სამანათაგან დამოძღვრილი, სამანების ახალი წესებისამებრ წვრთნიდა ზიდჰარტა თავდავიწყებას, წვრთნიდა ჩაღრმავებას. ერთმა ყანჩამ გადაუფრინა ბამბუკის ტყეს და ზიდჰარტამ თავის სულში შთანთქა ყანჩა, გადაუფრინა ტყესა და მთებს, იყო იგი ყანჩა, ყლაპავდა თევზებს, შიმშილობდა ყანჩას შიმშილით; მეტყველებდა ყანჩას ჩხავილით, კვდებოდა ყანჩას სიკვდილით. მკვდარი აფთარი ეგდო მდინარის სილიან ნაპირზე და ზიდჰარტას სული შესრიალდა მძორში, იყო იგი მკვდარი აფთარი, ეგდო რიყეზე, იბერებოდა, ყროლდებოდა, იხრწნებოდა, გლეჯდნენ ჰიენები, ტყავს აძიძგნიდნენ სვავები, იქცა იგი ჩონჩხად, იქცა იგი მტვრად და განიფანტა იგი მინდვრად. ზიდჰარტას სული ბრუნდებოდა უკან, კვდებოდა, იხრწნებოდა, იქცეოდა იგი მტვრად, იგემებდა წრებრუნვის მღვრიე თრობას. ხელახლა მოწყურებული ვითარცა მონადირე დარაჯობდა იგი ნაპრალს, სადაც წრებრუნვისგან დასხლტომას შესძლებდა, სადაც მიზეზთა დასასრული, უჭირველი მარადისობა დაიწყებოდა. იგი კლავდა გრძნობებს, იგი კლავდა თავის მოგონებებს, თავისი მედან გადადიოდა ათასობით უცხო სახეებაში: იყო მხეცი, იყო ლეში, იყო ქვა, იყო მერქანი, იყო წყალი, მაგრამ მერე ისევ და ისევ მღვიძარედპოულობდა თავის თავს: მზე ანათებდა ანდა მთვარე, იყო კვლავ მე, წრებრუნვაში ტრიალებდა, სწყურდებოდა, ძლევდა წყურვილს, ხელახლა სწყურდებოდა.

ბევრ რამეს სწავლობდა ზიდჰარტა სამანებისგან, მეს მიღმა ბევრი გზის გავლას ცდილობდა იგი. ტკივილით, ნებაყოფლობითი დათმენით და ტკივილის, შიმშილის, წყურვილის, დაქანცულობის დაძლევით მიდიოდა იგი თავდავიწყების გზაზე. მედიტაციით, არსის ყოველგვარი წარმოსახვისაგან დაცლით მიდიოდა იგი თავდავიწყების გზაზე. ამ და კიდევ სხვა გზებზე ცდილობდა იგი სიარულს, ათასჯერ მაინც დაუტევა მან თავისი მე. საათობით, მთელი დღეები რჩებოდა იგი არა-მეში. მაგრამ დაე გამოსულიყვნენ ეს გზები მისი მედან, საბოლოოდ მაინც მესკენ მიემართებოდნენ მათი ბოლოები. დაე ათასჯერ გაქცეოდა ზიდჰარტა თავის მეს, არარაობაში ყოფილიყო, მხეცში, ქვაში ყოფილიყო, ბოლოს მაინც გარდუვალი იყო დაბრუნება, უცილობლად დგებოდა ჟამი, როცა იგი კვლავ თავის თავს აღმოაჩენდა მზისა თუ მთვარის სხივებში, ჩრდილსა თუ წვიმაში, კვლავ მე და ზიდჰარტა იყო და კვლავ მისთვის მისჯილი წრებრუნვის სატანჯველს შეიგრძნობდა.

მის გვერდით ცხოვრობდა გოვინდა, მისი აჩრდილი. ისიც იმავე გზებით მიდიოდა, ისიც ისევე ირჯებოდა. იშვიათად ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან სხვა რამეზე, გარდა იმისა, რასაც მსახურება და ვარჯიში მოითხოვდა მათგან. ჟამიდან ჟამზე მიდიოდნენ ისინი სოფლებში, თავიანთთვისა და თავიანთ მოძღვართათვის საზრდოს სამათხოვროდ.

როგორ ფიქრობ, გოვინდა, – თქვა ზიდჰარტამ ერთხელ, სამოწყალოდ სიარულისას, – როგორ ფიქრობ, მივაღწიეთ წარმატებას? მივედით ჩვენს მიზნებამდე?

უპასუხა გოვინდამ: ჩვენ ვისწავლეთ და ჩვენ ვაგრძელებთ სწავლას. შენ დიდი სამანა გახდები, ზიდჰარტა. სწრაფად დაეუფლე ყველა ვარჯიშს, ხშირად აღფრთოვანებულან შენით მხცოვანი სამანები. შენ წმინდანი იქნები, ო, ზიდჰარტა.

თქვა ზიდჰარტამ: მე ასე არ მეჩვენება, ჩემო მეგობარო, რაც მე დღემდე სამანებთან ვისწავლე, მაგის სწავლას, ო, გოვინდა, უფრო სწრაფადაც და ადვილადაც შევძლებდი. როსკიპთა უბნის ნებისმიერ სამიკიტნოში, ჩემო მეგობარო, ჩალვადრებსა და ყომარბაზებს შორისაც შემეძლო მე ამის სწავლა.

თქვა გოვინდამ: ზიდჰარტა მეხუმრება მე. ნნეტავ როგორ უნდა გესწავლა ჩაღრმავება, სუნთქვის გაჩერება, შიმშილისა და ტკივილის მიმართ უგრძნობელობა იქ, იმ გლახაკებთან?

და თქვა ზიდჰარტამ ჩუმად, ისე თითქოსდა საკუთარ თავს ელაპარაკებაო: რა არის ჩაღრმავება? რა არის სხეულისგან განშორება? რა არის მარხვა? რა არის სუნთქვის გაჩერება? ეს არის ლტოლვა საკუთარი მესგან, ხანმოკლე გასხლტომაა მედ ყოფნის ტანჯვისგან, მცირედი გაყუჩებაა ცხოვრების უაზრობისა და ტკივილებისა. იგივე ლტოლვას, იგივე მცირედ გაყუჩებას ჰპოვებს მეხრე ვინმე, ღამის სათევში რამდენიმე ფიალა ბრინჯის ღვინოს ან დადუღებულ ქოქოსის რძეს რომ დალევს ხოლმე. მაშინ ვეღარ გრძნობს იგი თავის მეს, მაშინ ვეღარ გრძნობს იგი ცხოვრების ტკივილს, მაშინ ჰპოვებს იგი გაყუჩებას. იგი, ერთი ფიალა ბრინჯის ღვინისგან ჩათვლემილი იმასვე ჰპოვებს, რასაც ზიდჰარტა და გოვინდა, როდესაც ისინი ხანგრძლივი ვარჯიშებით თავიანთი სხეულებიდან გააღწევენ და არა-მეში იმყოფებიან. ასეა ეს, გოვინდა.

თქვა გოვინდამ: ასე შენ ამბობ, მეგობარო, თუმცა იცი, არც ზიდჰარტაა მეხრე და არც ვინმე სამანათაგან მემთვრალე. ეგებ, ჰპოვებსმ მსმელი გაყუჩებას, ეგებ, განელტვის საკუთარ მეს და ჰპოვებს შვებას, მაგრამ გაუვლის შემდეგ ეს გაყუჩება და ყველაფერს ისევ ძველებურად ჰპოვებს: არც დაბრძენებულა, არც ცოდნა გაუმრავლებია, ერთი საფეხურითაც არ ასულა ზემოთ.

თქვა ზიდჰარტამ ღიმილით: არ ვიცი, ლოთი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ის რომ მე, ზიდჰარტა ვარჯიშისა და ჩაღრმავებისას მხოლოდ მცირედ გაყუჩებას ვპოვებ და რომ სიბრძნისა და ხსნისაგან ისევე ვარ დაშორებული ვითარცა ბავშვი დედის მუცელში, ეს ვიცი, ო, გოვინდა, ეს ვიცი.

ერთხელაც ზიდჰარტა და გოვინდა ტყიდან გამოდიოდნენ, რათა სოფელში თავიანთი ძმებისა და მოძღვართათვის სარჩო ემათხოვრათ. დაიწყო ზიდჰარტამ ლაპარაკი: ახლა, ო, გოვინდა, ვდგავართ ნეტავ ჩვენ სწორ გზაზე? ვუახლოვდებით ნეტავ ცოდნას? ვუახლოვდებით ნეტავ ხსნას? თუ ვტრიალებთ წრეზე – ჩვენ, რომელნიც სწორედ წრებრუნვიდან გასხლტომას ვლამობდით?

თქვა გოვინდამ: ბევრი ვისწავლეთ ჩვენ ზიდჰარტა, ბევრი დაგვრჩა კიდევ სასწავლი. ჩვენ არ ვბრუნავთ წრეზე. ჩვენ ზემოთ მივიწევთ. წრე სპირალია და ჩვენ უკვე ავიარეთ რამდენიმე საფეხური.

უპასუხა ზიდჰარტამ: როგორ გგონია, ნეტავ რა ხნისაა ჩვენი უხუცესი სამანა, ჩვენი ღირსეული მოძღვარი?

თქვა გოვინდამ: მიითვლის ჩვენი უხუცესი ალბათ სამოც წელს.

და ზიდჰარტამ: სამოცი წლის გახდა იგი და ჯერ ვერ მიაღწია ნირვანას. სამოცდაათის გახდება იგი, ოთხმოცის, მეც და შენც, ჩვენც ასევე დავბერდებით, ვივარჯიშებთ და ვიმარხულებთ, მოვახდენთ მედიტირებას, მაგრამ ნირვანას მაინც ვერ მივაღწევთ, ვერც ჩვენ და ვერც ის. ო, გოვინდა, მე მგონია, ყველა სამანათაგან ერთი, ერთიც კი არ იქნება ისეთი, ნირვანასთვის რომ მიეღწიოს. ჩვენ ვპოვებთ ნუგეშს, ჩვენ ვპოვებთ გაყუჩებას, ჩვენ ვსწავლობთ ოსტატობას, რომლითაც საკუთარ თავს ვატყუებთ. მაგრამ მთავარს, გზათა გზას ვერ ვაგნებთ.

ნუ იტყვი ასეთ ასეთ საშინელ სიტყვებს, ზიდჰარტა! შეიძლება განა, ამდენ ნასწავლ კაცს, ამდენ ბრაჰმანს, ამდენ მკაცრ და პატივცემულ სამანას, ამდენ მაძიებელს, ამდენ გულით მოწადინებულს, ამდენ წმინდან კაცს შორის ვერავინ ჰპოვოს გზათა გზა?

მაგრამმ ზიდჰარტამ უპასუხა ხმით, რომელშიც, ბევრი ჭმუნვა და თანაც ქირდვა იყო გარეული. წყნარი, რაღაც სევდიანი, რაღაც დამცინავი ხმით ლაპარაკობდა იგი: გოვინდა, მალე დაუტევებს შენი მეგობარი სამანების

ბილიკს, რომელსაც ამდენ ხანს მიუყვებოდა შენთან ერთად. წყურვილი მახრჩობს, ო, გოვინდა, და ამ გრძელ, სამანურ გზაზე ოდნავაც ვერ მოვიკალი ეს წყურვილი. ცოდნას მოწყურებული, კითხვებით სავსე ვიყავ ყოველთვის. წლიდან წლამდე დავეკითხებოდი მე ბრაჰმანებს, წლიდან წლამდე დავეკითხებოდი მე წმინდა ვედებს და წლიდან წლამდე დავეკითხებოდი ღვთისმოსავ სამანებს. ალბათ, ო გოვინდა, ზუსტად ისევე კარგი, ზუსტად ისევე ჭკვიანური და ზუსტად ისევე სასარგებლო იქნებოდა მარტორქა ჩიტებს და შიმპანზეებს რომ დავკითხებოდი. დიდი დრო დამჭირდა და მაინც ბოლომდე ვერ ვისწავლე ის, რომ სწავლა არ შეიძლება არაფრის. ასე მგონია, სინამდვილეში არც არსებობს ის რაღაცა, რასაც ჩვენ სწავლას ვარქმევთ. ო, მეგობარო, ერთი ცოდნა არსებობს მხოლოდ, იგი ყველგანაა, იგი ატმანია, იგი ჩემშია, იგი შენშია და ყველა არსებაშია იგი. და კიდევაც ასე მჯერა უკვე: ამ ცოდნას არა ჰყავს იმაზე დიდი მტერი, ვიდრე ცოდნის სურვილი, ვიდრე სწავლა.

ადგილზე გაქვავდა გოვინდა, შემდეგ ხელები აღმართა და თქვა: გთხოვ, ნუ დააფრთხობ, ზიდჰარტა, შენს მეგობარს ამგვარი ლაპარაკით. ჭეშმარიტად შიშს აღძრავენ შენი სიტყვები ჩემს გულში. დაუფიქრდი მხოლოდ: სადღაა ლოცვათა სიწმინდე, სადღაა ღირსება ბრაჰმანთა წრისა, სადღაა სამანათა სიწმინდე, თუ ყველაფერი ისეა, როგორც შენ ამბობ, თუ სწავლა არ არსებობს?

და გოვინდამ ერთი სტროფი ამოიბუტბუტა, სტროფი რომელიღაც უპანიშადიდან: ვინც ჩაფიქრებით, აჟღერებული სულით ატმანში ღრმავდება, სიტყვაამოუთქმელად არის იგი თავისი გულის ნეტარებაში. ზიდჰარტა დუმდა. იგი გოვინდას წარმოთქმულ სიტყვებზე ფიქრობდა, ბოლომდე უღრმავდებოდა იგი ამ სიტყვებს.

ჰო, – ფიქრობდა იგი, თავჩაქინდრული. – რაღა რჩება ყველაფერი იმისგან, რაც წმინდად გვეჩვენებოდა? რა რჩება? რა ახდება? და მან თავი გააქნია.

ერთხელაც, სამი წელი გასულიყო უკვე, რაც ორივე ყრმა სამანებთან ცხოვრობდა და ვარჯიშობდა, მათ ყურამდე მოაღწია ამბავმა, ხმამ, მითქმა – მოთქმამ: ვიღაცა გამოჩენილიყო, გოტამად ხმობილი, ამაღლებული, ბუდა, ვინაც მიწიერი ვნებანი დასძლია და ხელახალი დაბადებების ბორბალი გააჩერა. სწავლებით ვლისო იგი ქვეყნად, შეგირდებით გარემოცული, უპოვარი, უთვისტომო, უქალო, ასკეტის ყვითელი მოსასხამით, მაგრამ შუბლნათელი, ნეტარი ვინმე, ბრაჰმანები და თავადები თავს უდრეკენო და ემოწაფებიანო მას.

ეს მითქმა – მოთქმა, ეს გაუგონარი ამბავი, ეს ხმა ირხეოდა, ასდიოდა სურნელი, აქ თუ იქ, ქალაქებში ბრაჰმანები ლაპარაკობდნენ მასზე, ტყეში – სამანები. კვლავ და კვლავ აღწევდა ყრმათა ყურებამდე გოტამას, ბუდას სახელი, ხან კეთილად, ხანაც ბოროტად, ხან ქებით, ხანაც ძაგებით.

ისევე, როცა ქვეყნად ჭირი ბატონობს და ვრცელდება ამბავი, აქა თუ იქ არისო კაცი, ვინმე ბრძენი, ვინმე მცოდნე, ვისი ერთი სიტყვა და ერთი დასუნთქება კმარა, ყოველი, ჭირშეყრილთაგანი რომ განიკურნოსო და როცა ეს ამბავი ქვეყანას ედება და ყოველი კაცი მასზედ საუბრობს, მრავალნი იჯერებენ, მრავალნი ეჭვობენ, მრავალნი კი უმალ გზას ადგებიან ბრძენს, მშველელს რომ მიაკვლიონ, ასევე მოედო ქვეყანას ეს ამბავი, ეს სურნელოვანი ამბავი გოტამასი, ბუდასი, ბრძენკაცისა საკიას გვარიდან. უმაღლესი ცოდნა გაუთავისებიაო, ასე ამბობდნენ მორწმუნენი, თავის წინარე ცხოვრებებს იგონებსო, ნირვანას მიაღწია და აღარ უბრუნდებაო წრებრუნვას, აღარ ჩადისო სახებათა მღვრიე ნაკადში. მრავალი დიდებული და დაუჯერებელი რამ ითქმოდა მასზე, სასწაული მოახდინაო, ეშმაკს სძლიაო, ღმერთებთან საუბრობდაო. მისი მტრები და ურწმუნონი კი ამბობდნენ, მედიდური მაცდური ვინმეაო, ცხოვრებას განცხრომაში ატარებსო, სძულსო მსხვერპლი, ერთი უბირი ვინმეაო, და არც ვარჯიშს და არც თვითგვემას არ ცნობსო.

ტკბილად რეკდა ბუდას ამბავი, ჯადოსნური სურნელი მოდიოდა ამ ცნობებიდან. ხომ ავად იყო ქვეყანა, ძნელი ასატანი იყო ცხოვრება, მაგრამ დახე, ისე სჩანდა, წყაროს უნდა ამოეხეთქა, შიკრიკს უნდა მოეხმო ნუგეშიანად, რბილად, აღსავსეს კეთილშობილური დაპირებებით. ყველგან, სადაც კი ბუდაზე ხმა გავარდებოდა, ინდოეთის ყველა კუთხეში ყრმანი მიუგდებდნენ მას ყურს, მას შენატროდნენ, იმედი იღვიძებდა მათში. ბრაჰმანთა ძეთათვის ქალაქებსა და სოფლებში ყველა პილიგრიმი, ყველა უცხო, რომელსაც მისი, ამაღლებულის, საკიამუნის ამბავი მოჰქონდა, სასურველი სტუმარი იყო.

ტყეშიც, სამანებამდე, ზიდჰარტამდე, აგრეთვე გოვინდამდე მოაღწია ამ ამბავმა ნელა, წვეთწვეთობით. ყოველი წვეთი დამძიმებული იყო იმედებით, ყოველი წვეთი დამძიმებული იყო ეჭვებით. ისინი ნაკლებად ლაპარაკობდნენ ამაზე, რამეთუ უხუცესი სამანათაგან არ იწონებდა ამ ამბავს. ასე სმენოდა, ეს ვითომდა ბუდა ოდესღაც ასკეტი ყოფილა და ტყეში უცხოვრია, მაგრამ მერე კვლავ კეთილდღეობასა და განცხრომას მიბრუნებიაო, ამიტომაც არად მიაჩნდა მას გოტამა.

ო ზიდჰარტა, – უთხრა ერთხელ გოვინდამ თავის მეგობარს, – დღეს სოფელში ვიყავი. იქ ერთმა ბრაჰმანმა თავისთან მიმიპატიჟა. სახლში სტუმარი ჰყავდა ერთი, ვიღაც ბრაჰმანის ვაჟი მაგადადან, რომელსაც თავისი თვალით უხილავს ბუდა და მისი სწავლებისთვისაც მოუსმენია. ჭეშმარიტად, სუნთქვა შემეკრა და გავიფიქრე ჩემთვის: მეც მსურს, ჩვენც, ორივეს, მე და ზიდჰარტასაც ხომ გვსურს, დავტკბეთ წუთებით, როდესაც მოძღვრებას მოვისმენთ სრულქმნილის ბაგეთაგან! მითხარ, მეგობარო, არ გვსურს განა, წავიდეთ და ჩვენც გავიგოთ მოძღვრება ბუდას ბაგეთაგან?

თქვა ზიდჰარტამ: მუდამ ო, გოვინდა, მეგონა, სამანებთან დარჩება-მეთქი გოვინდა, მუდამ მჯეროდა, ერთი მიზანი აქვს: სამოცის, სამოცდაათი წლის გახდეს და კიდევ და კიდევ იმ ხელოვნებასა და ვარჯიშებს მისდიოს, რომლებიც ასე ამშვენებენ სამანებს. მაგრამ, ხედავ? ცუდად მცნობია გოვინდა, ცუდად მცოდნია მისი გული. მაშ, ჩემო უძვირფასესო, გსურს, ახალი გზები გავკვალოთ და იქ წავიდეთ, სადაც ბუდა თავის მოძღვრებას გააცხადებს?

თქვა გოვინდამ: შენ გიყვარს ხუმრობა. დაე, იხუმრე რამდენიც გინდა, ზიდჰარტა! მაგრამ, ნუთუ არ გაიღვიძა შენში წადილმა, ჟინმა, ეს მოძღვრება რომ მოისმინო? ნუთუ შენ არ იყავ, ერთხელ რომ მითხარი, მეტი აღარ გავყვებიო სამანების გზას?

გაიცინა ზიდჰარტამ თავისებურად: სევდისა და თანაც ხალისის აჩრდილი ახლდა მის ხმას და თქვა: კარგად, გოვინდა, კარგად ლაპარაკობ და სწორადაც გახსოვს. მაშ, სხვაც გაიხსენე, რაც ჩემგან გაიგე მაშინ, ის რომ მომბეზრდა და აღარ ვენდობი სწავლებასა და სწავლას, რომ მცირეა ჩემი რწმენა მოძღვართაგან ნათქვამი სიტყვის მიმართ. მაგრამ კეთილი, საყვარელო, მზად ვარ ეს სწავლება მოვისმინო, თუმცა გულით მჯერა, რომ უკეთესი ნაყოფი ამ მოძღვრებისა ვიგემეთ უკვე.

თქვა გოვინდამ: ჩემს გულს ახარებს შენი მზადყოფნა, მაგრამ მითხარი, ნუთუ შესაძლებელია, უკეთესი ნაყოფი გვეგემოს გოტამას მოძღვრებისა, ისე, ჯერ ყურიც რომ არ მოგვიკრავს მისთვის?

თქვა ზიდჰარტამ: დაე, დავტკბეთ ამ ნაყოფით და დაველოდოთ მომავალს, ო, გოვინდა! არსი ამ ნაყოფისა კი, რომლისთვისაც გოტამას უნდა შევმადლოდეთ, ის არის რომ იგი, გოტამა სამანებისგან გაგვიხმობს. და თუ მას კიდევ სხვა და კიდევ უკეთესი რამ აქვს მოსაცემი, დაე, მასაც გულდამშვიდებული შევხვდეთ.

იმავე დღეს აცნობა სამანათაგან უხუცესს ზიდჰარტამ თავისი გადაწყვეტილება, რომ მისი დატოვება სურდა.

თავაზიანად და კრძალვით მოახსენა ეს მან უხუცესს, როგორც ეს შეგირდსა და მოწაფეს შეჰფერის. რაწამს შეიტყო, ყმაწვილებს მისი დატოვება სურდათ, რისხვამ შეიპყრო სამანა და ხმამაღლა, სალანძღავი სიტყვებით ალაპარაკდა იგი.

შეშინდა და ნირი წაუხდა გოვინდას. ზიდჰარტამ კი გოვინდას ყურთან მიიტანა პირი და ჩასჩურჩულა: მინდა, მოხუცს ვაჩვენო, რომ რაღაცა მისწავლია მისგან. მიუახლოვდა სამანას, სული მოიკრიბა, თვალი თვალში გაუყარა, მონუსხა და დაამუნჯა იგი, წარკვეთა მას ნება და დაუმორჩილა თავის ნებას. უბრძანა, უხმოდ ექნა ის, რასაც მისგან მოითხოვდა. მართლაც, დამუნჯდა ბერიკაცი, თვალები გაუშტერდა, ნება წაერთვა, ხელები ჩამოეყარა და დაჰყვა ზიდჰარტას ხიბლს. ზიდჰარტას აზრებმა დაიმონეს სამანა და რასაც ისინი უბრძანებდნენ, იმას ასრულებდა იგი. რამდენჯერმე დაუხარა მათ თავი მოხუცმა, გადალოცა ისინი და კეთილი მგზავრობა უსურვა. ყმაწვილებმაც მადლიერებით უპასუხეს მოხუცის თავის დრეკასა და კეთილ სურვილებს, დაემშვიდობნენ მას და გასწიეს იქიდან.

გზად ყოფნისას სთქვა გოვინდამ: ო, ზიდჰარტა, შენ სამანებთან იმაზე მეტი ისწავლე, ვიდრე ამას მე წარმოვიდგენდი. ძნელია, ძალზე ძნელი მოხუცი სამანას მოჯადოება. ჭეშმარიტად, იქ რომ დარჩენილიყავი, მალე წყალზე სიარულსაც ისწავლიდი.

არ მეხარბება მე წყალზე გავლა, – თქვა ზიდჰარტამ, – დაე მხცოვანმა სამანებმა გაიხარონ ამგვარი ხელოვნებით.

გოტამა

ქალაქ სავათჰიში ბავშვებმაც კი იცოდნენ ამაღლებული ბუდას სახელი და ყყოველი კომლი მზად იყო გოტამას შეგირდებისათვის, ამ მდუმარე მთხოვნელებისთვის მოწყალების ფიალა გაევსო. ბუდას საყვარელი სამყოფელი ქალაქის ახლოს ჯეტავანას კორომში მდებარეობდა, რომელიც ამაღლებულის ერთგულმა თაყვანისმცემელმა, მდიდარმა ვაჭარმა ანათჰაპინდიკამ უძღვნა მას და მისიანებს საჩუქრად.

აქეთკენ მიუთითებდა ყველა მონაყოლი თუ ყველა პასუხი, რომლებიც გოტამას სადგომის ძიებისას მოესმინათ ყრმა ასკეტებს. სავათჰიში რომ მივიდნენ, პირველივე სახლში, რომლის კარწინაც ისინი გაჩერდნენ სამათხოვროდ, დიასახლისმა საჭმელი შესთავაზა მათ და მათაც გამოართვეს საჭმელი. ზიდჰარტამ ჰკითხა ქალს: სიამოვნებით შევიტყობდით კეთილის მქმედო, თუ სად ბრძანდება ბუდა, ღირსეული, რამეთუ ჩვენ, ორი სამანა მოვსულვართ ტყიდან, რომ ვნახოთ იგი, სრულქმნილი და მოძღვრება მოვისმინოთ მის ბაგეთაგან.

თქვა ქალმა: ჭეშმარიტად, სწორად მოსულხართ, ტყის სამანებო. დაე იცოდეთ, ჯეტავანაში, ანათჰაპინდიკას ბაღში ბრძანდება ამაღლებული. იქვე შეგიძლიათ თქვენ, მომლოცველებო, ღამე გაათიოთ, რამეთუ იქ ადგილი საკმარისადაა ყველასთვის, ურიცხვი რაოდენობით რომ მიედინებიან იქითკენ მის ბაგეთაგან მოძღვრების მოსასმენად.

გაიხარა გოვინდამ და წამოიძახა სიხარულით აღსავსემ: კეთილი, მაშ მიღწეულია ჩვენი მიზანი და ჩვენი გზა დამთავრებული. მაგრამ გვითხარ, დედაო მომლოცველთა, იცნობ შენ მას, ბუდას, შენი თვალით გიხილავს იგი?

თქვა ქალმა: მრავალჯერ მიხილავს მე იგი, ამაღლებული. მრავალ დღეს მინახავს შუკებში მიმავალი, მდუმარე, ყვითელკვართიანი თუ როგორ იწვდის მდუმარედ მოწყალების ფიალას და მერე როგორ მიაქვს გავსებული ფიალა აქედან.

აღტაცებული მიუგდებდა ყურს გოვინდა და სურდა ბევრი სხვაც ეკითხა და მოესმინა, მაგრამ ანიშნა ზიდჰარტამ, რომ გზა განეგრძოთ. უთხრეს მადლობა ქალს და წავიდნენ. არც კი დასჭირვებიათ გზის კითხვა, რამეთუ მრავალი მომლოცველი და ბერი ადგა ჯეტავანას გზას. ღამე იყო, რა მიაწიეს იქამდე. არ თავდებოდაა მომსვლელთა ნაკადი, არ წყდებოდა ძახილი და ლაპარაკი იმათი, რომლებიც ღამის სათევს ითხოვდნენ და იღებდნენ კიდეც. ორივე სამანამ, ტყეში ცხოვრებას ჩვეულებმა სწრაფად და უხმაუროდ იპოვეს თავშესაფარი და დილამდე მოისვენეს იქ.

გაოცდნენ გამთენიისას, რა იხილეს, მორწმუნეთა და მოსეირეთა თუ რამოდენა ბრბოს გაეთია იქ ღამე. მშვენიერი კორომის ბილიკებზე მიმოდიოდნენ ყვითელ სამოსში გამოწყობილი ბერები. იქით თუ აქეთ, ხეთა ძირას ისხდნენ ისინი ჭვრეტაში ჩაღრმავებულნი ან სასულიერო საუბრებით გართულნი. ქალაქს დამსგავსებოდა ფუტკრებივით მოფუთფუთე ადამიანებით სავსე ჩრდილიანი ბაღები. ბერების უმეტესობამ სამოწყალო ფიალებით გასწია ქალაქისკენ, რათა საკვები შეეგროვებინათ მთელ დღეს ერთადერთი, შუადღის სერობისათვის. თავად ბუდაც, გასხივოსნებული, ყოველ დილით აუცილებლად ასრულებდა სამოწყალეო მსვლელობას ქალაქისაკენ.

ზიდჰარტამ შეხედა და თითქოსდა ღმერთმა ანიშნაო, უმალვე შეიცნო ბუდა. იგი შესცქეროდა ერთ უბრალო კაცს ყვითელ კუნკულაში, სამოწყალო ფიალით ხელში ქალაქისაკენ ჩუმად მიმავალს.

შეხედე, – უთხრა ჩუმად ზიდჰარტამ გოვინდას. – აი, ეს არის ბუდა.

ყურადღებით შეაცქერდა გოვინდა ყვითელ კუნკულიან ბერს, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა ასობით სხვა ბერისაგან. და მყისვე შეიცნო გოვინდამაც: ეს არის იგი. ისინი აედევნენ და თან აკვირდებოდნენ გოტამას.

მოკრძალებულად მიდიოდა ბუდა თავის გზაზე ფიქრებში ჩაძირული, სახემშვიდი, არც მხიარული და არც მწუხარე, თითქოსდა შინაგანად იღიმებაო. დაფარული ღიმილით, ჩუმი, წყნარი, მსგავსი ჯანსაღი ბავშვისა მიაბიჯებდა ბუდა თავის სამოსში გამოწყობილი და სიარულისას, მსგავსად სხვა ბერებისა, დადგენილი წესის თანახმად ადგამდა ფეხს. მაგრამ მისი სახე და მისი ნაბიჯი, მისი დახრილი მზერა, მისი წყნარად ჩაკიდებული ხელის მტევანი და ყველა თითი წყნარად ჩაკიდებულ ხელზე მეტყველებდა სიმშვიდეზე, სრულყოფილებაზე. იგი არას ეძიებდა, არას ბაძავდა, სუნთქავდა ნაზად, უმჭკნარი სიწყნარით, გაუხუნარი ნათელით, ხელშეუხებელი სიმშვიდით.

ასე მიემართებოდა გოტამა ქალაქისკენ მოწყალების მისაღებად და ორივე სამანა მას მხოლოდ და მხოლოდ მისი სრულყოფილი სიწყნარით, მისი მშვიდი აღნაგობით შეიცნობდა, რომელშიც არანაირი ძიება, არანაირი ნდომა, არანაირი ბაძვა, არანაირი მცდელობა არ იყო, მხოლოდ სინათლე და სიმშვიდე.

დღეს სწავლებას მოვისმენთ მის ბაგეთაგან, – თქვა გოვინდამ.

ზიდჰარტამ არ უპასუხა. არც ძალიან ცნობისმოყვარე იყო იგი მოძღვრების მიმართ და არც იმის სჯეროდა, რაიმე ახალს რომ ასწავლიდა იგი. მას, ისევე როგორც გოვინდას, უკვე მრავალგზის, თუნდაც მეორე და მესამე პირთაგან გადმოცემული, მოესმინა ბუდას სწავლება. მაგრამ მაინც ყურადღებით შესცქეროდა იგი გოტამას თავს, მის მხრებს, მის ტერფებს, მის წყნარად ჩაკიდებულ ხელის მტევანს და ასე ეჩვენებოდა, ყოველი გოჯი ამ ხელის ყოველი თითისა თავად იყო სწავლება, მეტყველებდა, სუნთქავდა, სურნელი ასდიოდა, ჭეშმარიტებას ასხივებდა. თავიდან ბოლომდე, თითის გაქნევაშიც კი მართალი იყო ეს კაცი, ეს ბუდა. წმინდა იყო ეს კაცი. არასოდეს არავისთვის ასე არ უცია ზიდჰარტას თაყვანი, არასოდეს არავინ ისე არ ჰყვარებია, როგორც იგი.

ქალაქამდე გაჰყვნენ ორივენი ბუდას და მერე მდუმარედ დაბრუნდნენ უკან, რადგან იმ დღეს საჭმლის აღკვეთა ჰქონდათ ნათქვამი. ნახეს, თუ როგორ დაბრუნდა გოტამა, როგორ დაპურდა იგი თავისი შეგირდების წრეში – რასაც იგი ჭამდა, ჩიტსაც არ გააძღობდა – ნახეს, როგორ შეაფარა მან თავი მანგოს ხის ჩრდილს.

საღამოს კი, როდესაც სიცხე დაცხრა, ბანაკში ცხოვრება გამოცოცხლდა, ყველამ ერთად მოიყარა თავი და ყურს უგდებდნენ ბუდას სწავლებას. ისმენდნენ ბუდას ხმას და იყო ისიც სრულყოფილი, სრულქმნილად წყნარი და მშვიდობით აღსავსე. გოტამა ქადაგებდა სწავლებას გტანჯვის, ტანჯვის გაჩენის, ტანჯვის შეწყვეტის გზების შესახებ. წყნარად და ნათლად მოედინებოდა მისი საუბარი. ტანჯვა იყო ცხოვრება, ტანჯვით სავსე იყო სამყარო, მაგრამ ტანჯვისგან ხსნაც ნაპოვნი იყო: ხსნას ის ჰპოვებდა, ვინც ბუდას გზას გაჰყვებოდა. წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმით ლაპარაკობდა ამაღლებული, ასწავლიდა ოთხ მთავარ წინადადებას, რვამაგ ბილიკს, მოთმინებით მიდიოდა იგი სწავლების, მაგალითების, განმეორებების გზაზე, ნათლად და მშვიდად ლივლივებდა მისი ხმა მსმენელთა ზედა, ვითარცა სინათლე, ვითარცა ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა. როდესაც ბუდამ – დაღამებული იყო უკვე – დაასრულა საუბარი, წარდგა რამდენიმე პილიგრიმი წინ და ითხოვა თემში მიღება, შეუერთდნენ ისინი ბუდას მოძღვრებას. გოტამამ მიიღო ისინი და თან თქვა: ხომ მოისმინეთ თქვენ მოძღვრება, ხომ არის იგი გაცხადებული, მაშ, გადმოდგით ნაბიჯი ჩვენსკენ და შემოდით სინათლეში, რათა ბოლო მოუღოთ ყოველგვარ ტანჯვას.

დახეთ, წარდგა წინ მორცხვი გოვინდაც, და თქვა: მეც მსურს ამაღლებულთან, მის სწავლებაში ვპოვო საყუდარი და ითხოვა შეგირდად მიღება და იქნა ისიც მიღებული.

ცოტა ხნის მერე, როდესაც ბუდა განმარტოვდა მოსასვენებლად, მიუბრუნდა გოვინდა ზიდჰარტას და უთხრა მას გზნებით: ზიდჰარტა, არ ეგების ჩემგან, საყვედური გითხრა. ჩვენ, ორივენი მივუგდებდით ყურს ამაღლებულს, ჩვენ, ორივემ მოვისმინეთ მოძღვრება. გოვინდამ მოისმინა მოძღვრება და ჰპოვა მასში თავშესაფარი. შენ კი, ჩემო სათაყვანოვ, არ გსურს განა შენც ხსნის ბილიკზე სიარული? რაღას ყოყმანობ, რას ელოდები?

თითქოსდა ძილიდან გამოფხიზლდა ზიდჰარტა, რა მოისმინა გოვინდას სიტყვები. დიდხანს შესცქეროდა გოვინდას სახეში. შემდეგ თქვა ჩუმად, ისე რომ მის ხმაში არ ერია კენწვლა: გოვინდა, ჩემო მეგობარო, აი, გადადგი შენ ნაბიჯი, აი, აირჩიე შენ შენი გზა. მუდამ, ო, გოვინდა, იყავი შენ ჩემი მეგობარი, მუდამ ერთი ნაბიჯით უკან მომყვებოდი მე. ხშირად მიფიქრია: ნუთუ არასოდეს გადადგამს იგი ნაბიჯს მარტო, ჩემს გარეშე, საკუთარი სულისკვეთებით? ხომ ხედავ, შენ დაკაცდი და უკვე თავადვე ირჩევ შენს გზას. დაე, განასრულო შენ ეს გზა, ჩემო მეგობარო! დაე, ჰპოვო შენ ხსნა!

გოვინდა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, მოუთმენლობით აღსავსე იმეორებდა კითხვას: გთხოვ, მითხარი, ჩემო ძვირფასო! მითხარი, რომ შეუძლებელია სხვაგვარად მოხდეს, რომ შენც, ჩემი განსწავლული მეგობარი, ბუდას შეეხიზნები.

ზიდჰარტამ მხარზე დაადო ხელი გოვინდას: ვერ გაგიგია ჩემი კურთხევა ო, გოვინდა. მაშ, გაგიმეორებ: დაე, განასრულო შენი გზა! დაე ჰპოვო შენ ხსნა!

მაშინ კი მიხვდა გოვინდა, რომ მის მეგობარს უკვე დაეტოვებინა იგი და აქვითინდა.

ზიდჰარტა! – ამოიკვნესა მან.

გულთბილად გამოელაპარაკა ზიდჰარტა მას: არ დაგავიწყდეს, გოვინდა, რომ ამიერიდან ბუდას სამანებს განეკუთვნები! შენ უარყავი შენი სამშობლო და მშობლები, უარყავი წარმომავლობა და ქონება, უარყავი საკუთარი ნებით, უარყავი მეგობრობა. ასე სურს მოძღვრებას, ასე სურს ამაღლებულს. ასე ისურვე თავად შენ. ხვალ, ო, გოვინდა, მე დაგტოვებ შენ. დიდხანს დახეტიალობდნენ მეგობრები ტყეში, დაწოლილებს დიდხანს არ ეკარებოდა მათ თვალებს რული.

კიდევ და კიდევ დაჟინებით სთხოვდა გოვინდა მეგობარს, ეთქვა მისთვის, თუ რატომ არ სურდა მას გოტამას მოძღვრებისთვის შეეფარებინა თავი, სთხოვდა აეხსნა, რა ნაკლს ხედავდა იგი ამ მოძღვრებაში. ზიდჰარტა კი იგერიებდა გოვინდას შემოტევებს და ეუბნებოდა: დამშვიდდი, გოვინდა, ძალზედ კარგია ამაღლებულის მოძღვრება, აბა, რა ნაკლი უნდა მეპოვა მე მასში. დილაუთენია ერთმა მოხუცმა სამანამ, ბუდას მიმდევარმა დაიარა ბაღი და თავისთან უხმო ყველა ახალმოსულს, ვინაც მოძღვრება მიიღო, რათა მათთვის ყვითელი სამოსელი დაერიგებინა და მათი წოდების უპირველეს ცოდნაში და მოვალეობებში დაემოძღვრა.

მოწყდა ადგილიდან გოვინდა, მოეხვია კიდევ ერთხელ სიყრმის მეგობარს და შეუერთდა ახალბედათა რიგს.

ზიდჰარტამ კი გასწია კორომში სახეტიალოდ.

შემოხვდა მას იქ გოტამა, ამაღლებული. მიესალმა მას მოწიწებით. სავსე იყო ბუდას მზერა სიკეთითა და სიმშვიდით.

მოიკრიბა გამბედაობა და სთხოვა ღირსეულს ნებართვა მასთან დალაპარაკებისა. მდუმარედ დაუქნია თავი ამაღლებულმა თანხმობის ნიშნად.

თქვა ზიდჰარტამ: გუშინ, ო, ამაღლებულო, მომეცა ბედნიერება, რომ მომესმინა შენი საკვირველი მოძღვრება. ჩემს მეგობართან ერთად მოვედი მე შორეთიდან მოძღვრების მოსასმენად. ახლა კი შენებთან რჩება ჩემი მეგობარი, შენთან ჰპოვა მან საყუდარი. მე კი შევუდგები კვლავ მომლოცველობას.

როგორც ინებებ, – თქვა ღირსეულმა თავაზიანად.

ეგებ ზედმეტად გაბედული იყოს ეს ჩემი სიტყვა, – განაგრძო ზიდჰარტამ, – მაგრამ არა მსურს დავტოვო ამაღლებული, ისე რომ გულწრფელად არ გავუზიარო ჩემი ფიქრები. სურს ღირსეულს კიდევ ერთი წამით მათხოვოს ყური?

მდუმარედ დაუქნია თავი ბუდამ თანხმობის ნიშნად.

თქვა ზიდჰარტამ: ერთმა რამემ, ო, ღირსეულო, აღმიტაცა შენს სწავლებაში. ყოველივე სრულიად ნათელი და დამტკიცებულია შენს სწავლებაში. როგორც სრულყოფილ, უწყვეტ და მარადიულ ჯაჭვს გვიჩვენებ სამყაროს,

შეკრულს მიზეზებითა და შედეგებით. ასე ნათლად, ასე ურღვევად არასდროს ყოფილა იგი წარმოსახული. ჭეშმარიტად, ძალუმად ძგერს ყოველი ბრაჰმანის გული, როდესაც იგი, შენი სწავლებით განმსჭვალული, განჭვრეტს სამყაროს, ვითარცა სრულყოფილ ურთიერთკავშირს, უნაკლოს, კრისტალივით ნათელს, შემთხვევითობებისგან დამოუკიდებელს, ღმერთებისგან დამოუკიდებელს. სულერთია, კეთილია თუ ბოროტი ეს ქვეყანა, ტანჯვაა თუ სიხარული მასში ცხოვრება, ეს შეიძლება არც არის არსებითი, მაგრამ სამყაროს ერთიანობა, მოვლენათა ურთიერთკავშირი, ყოველივე დიდისა თუ მცირეს მოცვა ერთი ნაკადით, მიზეზთა, ქმნადობისა და სიკვდილის ერთი კანონით, აი ეს გამობრწყინავს შენი ამაღლებული სწავლებიდან, ო სრულქმნილო. მაგრამ შენი სწავლებისვე თანახმად არის საგანთა ეს ერთიანობა და თანმიმდევრულობა ერთ ადგილას მაინც გაწყვეტილი, მცირე ბზარიდან ერთიან სამყაროში იღვრება რაღაც უცხო, რაღაც ახალი, რომელიც არ იყო მანამდე და რომლის ჩვენება და დამტკიცება შეუძლებელია: ეს არის შენი სწავლება სამყაროს დაძლევისა და ხსნისა. ამ მცირე ბზარით, ამ მცირე ნახეთქით კი საუკუნო და ერთიანი მსოფლიო კანონი ისევ იმსხვრევა და უქმდება.

გთხოვ პატიებას, თუ გეურჩები.

ჩუმად, გაუნძრევლად უსმენდა მას გოტამა. მერმე თავისი კეთილი, თავისი მკაფიო და თავაზიანი ხმით თქვა მან, სრულქმნილმა: შენ მოისმინე სწავლება, ო, ბრაჰმანის ძევ და კარგია, ასე ღრმად რომ ჩაუფიქრდი მას. შენ ერთი ბზარი იპოვე მასში, ერთი შეცდომა. დაე, იფიქრე კიდევ მასზე. მაგრამ ერიდე, ცნობისმოყვარევ, აზრთა უღრან ტყეს და სიტყვებზე კამათს. ჩვენ დიდად არ გვარგია აზრები. ისინი შეიძლება მშვენიერი ან მახინჯი, ჭკვიანური ან შლეგური იყვნენ. ყველას შეუძლია მათ უერთგულოს ან უარყოს ისინი. სწავლება კი, რომელიც ჩემგან მოისმინე, არ არის უბრალოდ აზრი და არც ის არის მისი მიზანი, სამყარო აუხსნას ცნობისმოყვარეთ. სხვა მიზანი აქვს მას: ტანჯვისგან ხსნა არის მიზანი. ეს არის რასაც გოტამა ასწავლის, სხვა არაფერი.

ნუ გამირისხდები, ო, ამაღლებულო, – თქვა ყმაწვილმა, – იმისთვის არ დაგლაპარაკებივარ, სიტყვების გამო კამათი რომ მეძებნა შენთან. ჭეშმარიტად, სიმართლეს ამბობ: ნაკლებად გვარგია ჩვენ აზრები, მაგრამ მათქმევინე ერთი რამ კიდევ: წამიერადაც არ დავეჭვებულვარ მე შენში. წამიერადაც არ დავეჭვებულვარ, რომ შენ ხარ ბუდა, რომ მიაღწიე შენ მიზანს, უმაღლესს, რომლისკენაც მრავალი ათასი ბრაჰმანი და ბრაჰმანის ძე ისწრაფის. შენ ჰპოვე ხსნა სიკვდილისგან და ეს ხსნა თავად შენ გახდი შენი ძიებით, შენს საკუთარ გზაზე სიარულით, ფიქრებით, ჩაღრმავებით, შეცნობით, გასხივოსნებით და არა სწავლებით! დაი, ეს არის სწორედ ჩემი ფფიქრი, ო, ამაღლებულო, ვერვის ხვდება წილად ხსნა სწავლებით! ვერავის, ო, ღირსეულო, ვერ ეტყვი და ვერ გაუზიარებ სიტყვებით და სწავლებით, რა მოხდა შენში გასხივოსნების ჟამს. ბევრ რამეს მოიცავს გასხივოსნებული ბუდას სწავლება, ბევრს ასწავლის იგი მართლად ცხოვრებას, ბოროტისაგან გარიდებას, მაგრამ ერთ რამეს არ ამბობს ეს ნათელი, ღირსეული მოძღვრება: იგი არ გვიმხელს საიდუმლოს, თუ რა განიცადა ამაღლებულმა, მან, ერთადერთმა მრავალთა და მრავალთა შორის. აი, ეს არის რაც მე მოძღვრების მოსმენისას ვიფიქრე და შევიცანი. ეს არის, რის გამოც ვაგრძელებ მე ჩემს ხეტიალს – არა იმისთვის, სხვა უკეთესი სწავლება რომ ვეძიო, რამეთუ ვიცი: არ არსებობს სხვა უკეთესი, არამედ ყველა სწავლება და მასწავლებელი რომ მივატოვო და მარტოდმარტომ მივაღწიო მიზანს ან ვესწრაფოდე მისკენ. კიდევ მრავალჯერ მოვიგონებ ამ დღეს ო, ამაღლებულო, და ამ წუთებს, რამეთუ წმინდანს უჭვრეტენ ჩემი თვალები.

ძირს დაეხარა მზერა ბუდას, სრულქმნილი უშფოთველობის სიმშვიდეს ასხივებდა მისი შეუცნობელი სახე.

დაე, ნუ იქნებიან მცდარნი შენი ფიქრები! – თქვა ღირსეულმა ნელად. – დაე, მიაღწიო შენ მიზანს! მითხარი ოღონდ: ხომ იხილე შენ გუნდი ჩემს სამანათა, ჩემს ძმათა, ხსნას რომ ეძებენ სწავლებაში? დდა ახლა გჯერა შენ, უცხო სამანავ, გჯერა, რომ მათთვის უკეთესი იქნებოდა, სწავლება დაეტოვებინათ და მიწიერ ცხოვრებას და განცხრომას დაბრუნებოდნენ?

უცხოა მსგავსი ფიქრები ჩემთვის! – წამოიძახა ზიდჰარტამ.

დაე, სწავლებაში დარჩნენ ისინი, დაე, მიაღწიონ მათ თავიანთ მიზანს! არ მაქვს უფლება, განვსაჯო სხვათა ცხოვრება! ერთადერთი ჩემი, მხოლოდ ჩემი ცხოვრება უნდა განვსაჯო, უნდა ავირჩიო ან უკუვაგდო მე.

მესგან ხსნას ვეძებთ ჩვენ, სამანები, ო, ამაღლებულო. და თუ მე ერთი შენი შეგირდთაგანი ვიქნები, ო, ღირსეულო, ვშიშობ, ისე არ მოხდეს, რომ მხოლოდ მოჩვენებითად, მხოლოდ ამაოდ დამშვიდდეს ჩემი მე და ხსნა მიიღოს მან, სინამდვილეში კი სიცოცხლეს განაგრძობდეს და იზრდებოდეს, რამეთუ მექნებოდა მე სწავლა, მიმდევრობა და სიყვარული შენი, ხოლო ბერთა ერთობას ჩემს მედ გავიხდიდი.

ცალყბა ღიმილით, ურყევი ნათელითა და გულითადობით ჩააცქერდა გოტამა უცხოს თვალებში და ოდნავ შესამჩნევი სახის მოძრაობით გამოეთხოვა მას.

ჭკვიანი ხარ შენ, ო, სამანავ, – თქვა ღირსეულმა, – ჭკვიანურად შეგიძლია შენ საუბარი, ჩემო მეგობარო. მეტისმეტ სიჭკვიანეს უფრთხილდი ოღონდ.

და გასწია თავის გზაზე ბუდამ, მისი მზერა და ცალყბა ღიმილი კი სამუდამოდ ჩაიმარხა ზიდჰარტას მეხსიერებაში.

სხვა არვინ მინახავს, ასეთი მზერა, ღიმილი, ჯდომა და სიარული ჰქონოდეს, – გაიფიქრა მან. – მეც ვისურვებდი, ასე მართლად რომ შემძლებოდა მზერა, ღიმილი, ჯდომა და სიარული, ასე თავისუფალი, ასე ღია, ასე ბავშვური და იდუმალი. ასე მართლად მხოლოდ ის ადამიანი იმზირება და მიაბიჯებს, რომელმაცც თავისი მეს მთელს სიღრმეში ჩააღწია. მეც, ალბათ, უნდა შევეცადო ჩემი მეს მთელს სიღრმეში ჩაღწევას.

ადამიანი ვიხილე, – ფიქრობდა ზიდჰარტა, – ერთადერთი, რომლის წინაშეც თვალნი დავხარე. სხვას აღარავის მსურს მზერა დავუხარო, მეტი აღარავის. ვერცერთი მოძღვრება ვეღარ მაცდუნებს, რამეთუ ამ კაცის მოძღვრებამ ვერ მაცდუნა მე.

განმძარცვა მე ბუდამ, – ფიქრობდა ზიდჰარტა, – გამძარცვა მან მე, მაგრამ უფრო მეტად დამასაჩუქრა. წარმტაცა მან ჩემი მეგობარი, იგი, რომელსაც სჯეროდა ჩემი და ახლა მისი სჯერა, რომელიც ჩრდილი იყო ჩემი და ახლა გოტამას ჩრდილია. მაგრამ მაჩუქა მან მე ზიდჰარტა, ჩემივე თავი.

გამოღვიძება

როდესაც ზიდჰარტა კორომს ტოვებდა, სადაც ბუდა, სრულქმნილი, დარჩა, სადაც გოვინდა დარჩა, გრძნობდა, რომ მისივე განვლილი ცხოვრებაც უკან დარჩა და განშორდა მას. გზად მიმავალი უფიქრდებოდა ამ შეგრძნებას, რომელსაც მთლიანად მოეცვა იგი. ღრმად ჩაფიქრებულიყო. როგორც ღრმა წყალში, ისე ეშვებოდა იგი ამ შეგრძნებების ფსკერამდე, იქ, სადაც მიზეზნი განისვენებენ, რამეთუ მიზეზთა შეცნობა, ასე ეჩვენებოდა მას, ეს არის სწორედ აზროვნება და მხოლოდ ამგვარად გადიქცევიან შეგრძნებები ცოდნად და კი არ იკარგებიან, არამედ ხდებიან არსებითნი და გამოასხივებენ იმას, რაც მათშია.

ნელად მიმავალი ჩაფიქრებული იყო ზიდჰარტა. ხვდებოდა, რომ ყმაწვილი აღარ იყო, კაცად ქცეულიყო უკვე. ხვდებოდა, რომ რაღაცას მიეტოვებინა იგი, აი, ისე, გველი რომ მიატოვებს ხოლმე ტყავს, რომ ის რაღაცა, რაც მთელი მისი ყმაწვილკაცობისას თან ახლდა და მას ეკუთვნოდა, გამქრალიყო: სურვილი მასწავლებლის ყოლისა და სწავლების მოსმენისა. ბოლო მასწავლებელიც, რომელიც თავის გზაზე მიმავალს გამოეცხადა, უმაღლესი და უბრძნესი მასწავლებელი, უწმიდესი, ბუდაც კი მიატოვა, განშორდა და ვერც მისი სწავლების მიღება შეძლო.

ნელა მიდიოდა მოფიქრალი და ეკითხებოდა საკუთარ თავს: მაგრამ რა არის იგი, რაც შენ სწავლებებიდან და მასწავლებლებისგან გსურდა გესწავლა და ისიც, რაც მათ ბევრი კი გასწავლეს, მაგრამ ვერ შეგასწავლეს? და ხვდებოდა: – თავად მე ვიყავი იგი, ვისი აზრისა და არსის შეცნობა მსურდა. თავად მე ვიყავი იგი, ვისგან გაქცევა და ვისი დაძლევა მსურდა. თუმცა ვერ შევძელ მისი დაძლევა, მხოლოდ მისი შეცდენა შევძელი, მხოლოდ ის შევძელ, მას გავრიდებოდი და დავმალვოდი. ჭეშმარიტად, არაფრით ამ ქვეყნად ისე არ იყო დაკავებული ჩემი ფიქრები, როგორც ამ ჩემი მეთი, ამ გამოცანით, რომ მე ვცოცხლობ, რომ მე ერთი და ყველასგან დაცილებული, განცალკევებული ვარ, რომ მე ზიდჰარტა ვარ! არაფერზე ამქვეყნად არ ვიცი უფრო ცოტა, ვიდრე ჩემზე, ზიდჰარტაზე! ნელად მავალი მოფიქრალი შეჩერდა ამ ფფიქრებით მოცული და ამ ფიქრებიდან მყისვე სხვა,

ახალი ფიქრი წამოტივტივდა, რომელიც ღაღადებდა: ის, რომ მე ჩემზე არაფერი ვიცი, ის, რომ ზიდჰარტა ასე უცხო და უცნობი დარჩა ჩემთვის, ამას აქვს ერთი, ერთადერთი მიზეზი: მე მეშინოდა ჩემივე თავის, მე გავურბოდი ჩემსავე თავს! ატმანს ვეძებდი მე, ბრაჰმანს ვეძებდი მე, ვიყავ მოსურნე, დამენაკუწებინა ჩემი მე და მისთვის გარსი შემომეცალა, რათა მისი სულის უცნობ სიღრმეში არსი ყველა გარსისა მეპოვნა: ატმანი, სიცოცხლე, ღვთიური, საბოლოო. ამასობაში კი თავად მე დავეკარგე ჩემსავე თავს.

ზიდჰარტამ ფართოდ გაახილა თვალები და მზერა მოავლო თავის გარშემო, ღიმილი გარდაესახა სახეზე, და ღრმა გრძნობამ, თითქოსდა გრძელი სიზმრიდან გამოეღვიძაო, დაუარა თავიდან ფეხებამდე. და უმალ განაგრძო გზა. მიდიოდა სწრაფად, ვითარცა მამრი, ვინც იცის თავის საქმნელი.

ოჰ, – ფიქრობდა იგი და შვებით, ღრმად სუნთქავდა, – აღარ მსურს, კიდევ დამისხლტეს ზიდჰარტა! აღარ მსურს ჩემი ფიქრების და ჩემი ცხოვრების დაწყება ატმანითა და ამქვეყნიური ტანჯვით. აღარ მსურს კვლა და მსხვრევა, რათა მერე ნამსხვრევებში ვიპოვო საიდუმლო. არც იოგა-ვედამ, არც ათჰარვა-ვედამ, არც ასკეტებმა და აღარც რომელიმე მოძღვრებამ აღარ უნდა მასწავლონ. საკუთარი თავისგან მსურს სწავლება, მსურს მისი მოწაფე ვიყო, ჩემივე თავის გაცნობა, ზიდჰარტას საიდუმლოს ამოხსნა მსურს.

თავის გარშემო იცქირებოდა იგი, თითქოსდა პირველად ხედავდა ქვეყანას. მშვენიერი იყო ქვეყანა, ჭრელი იყო ქვეყანა, უცნაური და ამოუცნობი იყო ქვეყანა! აქ ლურჯი იყო, იქ ყვითელი, კიდევ იქით კი მწვანე. ღრუბლები და მდინარე მიედინებოდნენ, ტყე და მთები გარინდულიყვნენ, ყველაფერი ლამაზი იყო, ყველაფერი იდუმალი და მაგიური, შუაგულში კი იდგა იგი, ზიდჰარტა, მღვიძარე, საკუთარი თავისკენ მიმავალ გზაზე.

ეს ყოველივე: ეს ყვითელი და ლურჯი, მდინარე და ტყე პირველად რომ აღწევდა თვალთა გავლით ზიდჰარტაში, აღარ იყო მარას ჯადო, აღარც მაიას პირბადე, და აღარც უაზრო და შემთხვევითი მრავალფეროვნება გამოვლინებათა სამყაროსი, საძულველი ღრმად მოაზროვნე ბრაჰმანისთვის, მრავალფეროვნებას რომ ერიდება და ერთიანობას ეძებს. ლურჯი ლურჯი იყო, მდინარე – მდინარე, და თუ ზიდჰარტაში მყოფ თუნდაც ლურჯში და მდინარეში მალულად ცხოვრობდა ერთი და ღვთიური, ხომ სწორედ იყო ეს ღვთიური წესისა და აზრის მქონე, აქეთ ყვითელი და ლურჯი, იქით ცა და ტყე და აქ ზიდჰარტა ყოფილიყო. აზრი და არსი არა სადღაც, საგანთა მიღმა, არამედ ისინი მათში, ყველაში იყო.

რა ყრუ და ჩლუნგი ვყოფილვარ! – ფიქრობდა ჩქარად მიმავალი, – როდესაც ვინმეს ნაწერს კითხულობს, რომლის აზრის გარკვევაც მას სურს, ასოებსა და ნიშნებს კი არ შეიძაგებს იგი და მათ თვალთმაქცობას, შემთხვევითობასა და უვარგის გარსს კი არ უწოდებს, არამედ ასო-ასო კითხულობს მას, შეისწავლის და უყვარს იგი. მე კი, ვისაც სამყაროს და ჩემი საკუთარი არსის წიგნის წაკითხვა მსურდა, წინდაწინ ნავარაუდევი აზრის გულისთვის, შევიძულე ასოები და ნიშნები, ვარქმევდი გამოვლინებათა სამყაროს თვალთმაქცობას, ვარქმევდი ჩემს თვალსა და ჩემს ენას შემთხვევით და უფასურ გამოვლინებებს. არა, მორჩა, მე გავიღვიძე, მე მართლაც გავიღვიძე და დღეს გავჩნდი მხოლოდ.

იმ დროს, როდესაც ზიდჰარტას ამ ფიქრებმა გაუელვეს, იგი კვლავ გაჩერდა, უეცრად, თითქოსდა მის წინ გველი იყო გზაზე გაწოლილი.

შემდეგ უცაბედადვე მიხვდა: მას, მართლაც გაღვიძებულივით ყთუ ახალდაბადებულივით რომ იყო, ხელახლა, სრულიად ახლიდან უნდა დაეწყო თავისი ცხოვრება. როდესაც დილით იგი ჯეტავანას კორომს, ამაღლებულის კორომს ტოვებდა, უკვე მღვიძარი, საკუთარ თავისკენ მიმავალ გზაზე მდგარი, განზრახული ჰქონდა და ეს მას ბუნებრივად და სრულიად ცხადად ეჩვენებოდა, რომ წლობით ასკეტობის შემდეგ, თავის სამშობლოში, მამასთან დაბრუნდებოდა, ახლა კი, იმ წამს, როდესაც გაჩერდა, თითქოსდა გველი რომ იწვა მის გზაზე, ამ აზრის მიმართაც გაიღვიძა მან: მე ხომ ის აღარ ვარ, ვინც ვიყავ, მე აღარ ვარ ასკეტი, მე აღარ ვარ ქურუმი, მე აღარ ვარ ბრაჰმანი, მაშ რაღა უნდა ვაკეთო სახლში მამასთან? ვისწავლო? მსხვერპლი შევწირო? ჩაღრმავებას მივდიო? დამთავრდა ეს ყველაფერი. ეს ყველაფერი აღარ შემხვდება ჩემს გზაზე.

უძრავად იდგა ზიდჰარტა და რა დაინახა, თუ როგორ მარტო იყო, თვალის ერთი დახამხამება, მხოლოდ ერთი ჩასუნთქვა გაეყინა გული, შეიგრძნო იგი ვითარცა პატარა მხეცი: ჩიტი ან კურდღელი. წლობით იყო იგი

უთვისტომო, მაგრამ ვერ გრძნობდა ამას. უკიდურეს ჩაღრმავებაშიც კი იგი თავისი მამის ვაჟი იყო, ბრაჰმანი იყო, მაღალი წრისა, სასულიერო კაცი. ახლა კი მხოლოდ ზიდჰარტა იყო, გამოღვიძებული, მეტი არაფერი. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და სულ ერთი წამით შეაცივა და გააჟრჟოლა. არავინ იყო ისე მარტო, როგორც ის. არცერთი თავადი, რომელიც არ იყო თავადთა წოდებაში მიღებული, არცერთი ხელოსანი, რომელიც ამქარს არ ეკუთვნოდა, თუმცა თავისნაირებთან ჰპოვებდა თავშესაფარს, მათი ცხოვრებით ცხოვრობდა, მათ ენას ლაპარაკობდა, არცერთი ბრაჰმანი, რომელიც ბრაჰმანებში არ ითვლებოდა და მათთან ცხოვრობდა, არცერთი ასკეტი, რომელიც ვერ ჰპოვებდა თავშესაფარს სამანათა წრეში, თვით ტყეს შეხიზნული, გადაკარგული მეუდაბნოეც კი არ იყო მარტო და ეული, ისიც გარემოცული იყო მისნაირი წილხვედრის მქონეთა მიერ, ისიც წევრი იყო თავისი წრისა, რომელიც სამშობლოც იყო მისთვის. გოვინდა ბერი გახდა და ათასობით ბერი იყო მისი ძმა, მის სამოსს იცვამდნენ ისინი, მისი რწმენა სწამდათ, მის ენაზე მეტყველებდნენ. ის კი, ზიდჰარტა, ვისთან იყო იგი წილხვედრილი? ვის ცხოვრებას გაიზიარებდა იგი, ვის ენაზე იმეტყველებდა?

იმ წამიდან, როცა სამყარო დნებოდა მის გარშემო, როცა ეულად იდგა იგი ვითარცა ვარსკვლავი ცის კამარაზე, ამ სიცივისა და სასოწარკვეთის გაელვებისას ამოიმართა ზიდჰარტა, მისი მე უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ერთ მუშტად მტკიცედ შეკრული. გაღვიძების ბოლო გაჟრჟოლება იყო ეს, გაჩენის ბოლო გაჭინთვა და მყის წარდგა მან ნაბიჯი, ჩქარა და სულსწრაფად წავიდა გზაზე, აღარასოდეს სახლისკენ, აღარასოდეს მამასთან, აღარასოდეს უკან.

ნაწილი მეორე

კამალა

გზად მიმავალი ყოველ ნაბიჯზე სწავლობდა ზიდჰარტა რაღაც ახალს, რამეთუ სამყაროს სახე ეცვალა, მისი გული კი მოჯადოებულიყო. შესცქეროდა მზეს, ამომავალს ტყიანი მთების თავზე და ჩამავალს შორეულ პალმებიანი ზღვის სანაპიროზე. შესცქეროდა ღამღამობით ვარსკვლავებს, ცაზე ჩარიგებულებს და ნამგალა მთვარეს, სილურჯეში ნავივით მცურავს. ხედავდა ხეებს, ვარსკვლავებს, ცხოველებს, ღრუბლებს, ცისარტყელას, კლდეებს, ბალახს, ყვავილებს, ნაკადულსა და მდინარეს, ცვარს დილის ბარდნარში, შორეულ მაღალ მთებს ლურჯსა და მქრქალს. ჩიტები და ფუტკრები მღეროდნენ, ქარი ქროდა ვერცხლისფრად ბრინჯის ყანებში. ეს ყოველივე, ათასგვარი და ჭრელი, მუდამ აქ იყო: მუდამ ანათებდნენ მზე და მთვარე, მოჩქაფუნობდნენ მდინარეები და ზუზუნებდნენ ფუტკრები, მაგრამ წინათ არარა იყო ეს ზიდჰარტასთვის, ვითარცა წამიერი და მაცდური რიდე მის თვალთა წინ, დამაეჭვებელი და საიმისოდ დადგენილი, რომ ფიქრებს შეეღწიათ მასში და გაენადგურებინათ იგი, რამეთუ მისთვის არ იყო იგი ყოფიერება, რამეთუ ყოფიერება ხილვადის მიღმა იყო. ახლა კი მყოფობდა მისი გათავისუფლებული თვალი სააქაოს, იგი ხედავდა და შეიცნობდა ხილვადს, ეძიებდა სამშობლოს ამქვეყნად, აღარ ეძიებდა ყოფიერებას საიქიოში. მშვენიერი იყო სამყარო, როცა მას ასე სჭვრეტ, ძიების გარეშე, უბრალოდ, ბავშვურად. მშვენიერნი იყვნენ მთვარე და მნათობი, მშვენიერნი იყვნენ ნაკადული და ჭალაკი, ტყე და კლდე, თხა და ოქროს ხოჭო, ყვავილი და პეპელა. მშვენიერი და ტკბილი იყო ასე ქვეყანაზე სიარული, ასე ბავშვურად, ასე მღვიძარედ, ასე მოყვასისადმი ღიად, ასე უნდობლობის გარეშე. სხვანაირად აცხუნებდა მზე, სხვანაირად აგრილებდა ტყის ჩრდილი, სხვანაირი გემო ჰქონდათ წყაროს და ჭას, სხვანაირი გოგრას და ბანანს. მოკლენი იყვნენ დღენი, მოკლენი – ღამეები. ყოველი საათი მიქროდა სწრაფად, ვითარცა იალქანი ზღვაზე, იალქანქვეშ კი გემი, სავსე საუნჯით, სავსე ხალისით. ზიდჰარტამ ნახა მაიმუნადამიანები, მაღლა ტყის თაღში, მაღლა ტოტებში მოხეტიალენი და მათი ველური, ხარბი მღერაც ისმინა. ერთი ერკემალი ნახა ზიდჰარტამ ნერბს რომ მისდევდა და ეწყვილებოდა. ლელიან ტბაში ქარიყლაპია დაინახა ზიდჰარტამ საღამოსკენ მოშიებული სანადიროდ გამოსული. მის წინ წყლიდან შეშინებული გუნდ-გუნდად ამოხტებოდნენ მოფარფატე და მობრჭყვიალე ნორჩი თევზები. ძალისა და ვნების სურნელი მოდიოდა წყლის ჭავლებიდან, რომლებსაც დაუდეგარი მონადირე აჩენდა.

ეს ყველაფერი მუდამ არსებობდა, ის კი ვერ ამჩნევდა; ის აქ არ იყო. ახლა კი აქ, მისი ნაწილი გამხდარიყო. მის თვალებში სინათლე და ჩრდილი გარბოდნენ, მის გულში კი ვარსკვლავი და მთვარე.

გზად მიმავალი ზიდჰარტა იხსენებდა ყველაფერს, რაც ჯეტავანას ბაღში განეცადა: მოძღვრებას, რომელიც იქ მოისმინა, ღვთიურ ბუდას, გოვინდასთან დამშვიდობებას, ამაღლებულთან საუბარს. ,ხელახლა იხსენებდა საკუთარ სიტყვებს, ამაღლებულს რომ უთხრა – ყოველ სიტყვასა და ჰკვირობდა, რომ მან ისეთი რამეები ილაპარაკა, რაც მაშინ, კაცმა რომ თქვას, არც კი გაეგებოდა. რაც მან გოტამას უთხრა: მისი, ბუდას განძი და საიდუმლო მისი სწავლება კი არ არის, არამედ ის გამოუთქმელი და ის არასწავლადი, რაც მან თავისი გასხივოსნების ჟამს განიცადა – ეს იყო სწორედ ის, რის განსაცდელადაც იგი გზას დასდგომოდა და რის განცდასაც იგი მხოლოდ ახლა იწყებდა. ახლა საკუთარი თავი უნდა განეცადა მას. მართალია, დიდი ხანია იცოდა მისი მე ატმანი რომ იყო, ისეთივე საუკუნო არსისა, როგორც ბრაჰმან, მაგრამ ვერასდროს ნამდვილად ვერ ეპოვა ეს მე, რადგან აზრთა ბადით სურდა მისი დაჭერა. ცხადია, არც სხეული და არც გრძნობათა თამაში იყო მისი მე, არც აზროვნება იყო იგი, არც გონი, არც დასწავლილი სიბრძნეები და არც წვრთნილი ხელოვნება დასკვნების გამოტანისა და უკვე მოფიქრებულიდან ახალი ფიქრების რთვისა. არა, ფიქრთა ეს სამყაროც აქედან იყო ისევ და მიზნამდე არც ის მიგიყვანდა, თუ გრძნობათა შემთხვევით მეს მოსპობდი, სამაგიეროდ კი ფიქრთა და განსწავლულობათა შემთხვევით მეს გამოზრდიდი.ოორივენი: გრძნობები, ისევე როგორც ფიქრები, მშვენიერი რამე იყო, ორივეს მიღმა საბოლოო აზრი იდო დაფარულად, ორივე ღირდა მოსასმენად და სათამაშოდ, მათი არც მოძულება იყო საჭირო და არც გადამეტფასება, ორივე მათგანიდან სულის სიღრმიდან მომავალი იდუმალი ხმები იყო მისაყურადებელი. არაფრისკენ მიისწრაფოდა ზიდჰარტა, გარდა იმისა, რისკენაც ხმა უბრძანებდა, არსად რჩებოდა იგი, გარდა იმისა, სადაც ეს ხმა ურჩევდა დარჩენას. რად ჩაიმუხლა ერთხელ გოტამამ ბოს ხის ძირში, სადაც მას გასხივოსნება ეწვია? მან ხმა ისმინა, ხმა საკუთარ გულში, რომელმაც მას უბრძანა, ამ ხის ძირში შვება ეძია. და მან არა თვითგვემა, მსხვერპლი, განბანვა ან ლოცვა, არც ჭამა და არც სმა, არც ძილი და არც სიზმარი ირჩია, არამედ ხმას დაემორჩილა. ასე დამორჩილება, არა გარეგანი ბრძანებისა, მხოლოდ ხმისა, ასე მზადყოფნა იყო კარგი, იყო საჭირო, სხვა არც რა იყო საჭირო.

ღამით, მდინარის პირას, მებორნის ლელის ქოხში ძილისას ესიზმრა ზიდჰარტას: გოვინდა იდგა მის წინ, ასკეტის ყვითელ სამოსში, დამწუხრებულად გამოიყურებოდა, დამწუხრებულად ჰკითხა ზიდჰარტას: რად მიმატოვე? მოეხვია იგი გოვინდას, შემოაჭდო მკლავები, მიიზიდა მკერდზე და აკოცა, მაგრამ აღარ იყო იგი გოვინდა, არამედ დიაცი ვინმე. დიაცის სამოსიდან ჩქეფდა სავსე მკერდი, რომელთანაც მიწოლილიყო ზიდჰარტა და ეწაფებოდა დიაცის ძუძუს. ტკბილი და მძაფრი გემო ჰქონდა ქალის რძეს. ქალის და კაცის გემო, მზისა და ტყის, ცხოველისა და ყვავილის, ყველა ხილისა და ყველა ვნების გემო ჰქონდა მას. დამათრობელი და გონების წამრთმევი იყო იგი. როდესაც ზიდჰარტას გაეღვიძა, ქოხის კარში ციმციმებდა ფერმკრთალი მდინარე, ტყიდან კი ყრუდ და კეთილხმოვნად ისმოდა ზარნაშოს ნაღვლიანი ძახილი.

გათენებულზე სთხოვა ზიდჰარტამ თავის მასპინძელს, მებორნეს, მდინრეზე გადაყვანა. მებორნემ თავისი ბამბუკის ტივით გადაიყვანა იგი მდინარის გაღმა. მოწითალოდ ბრჭყვიალებდა დილის ციალში განიერი წყალი.

ლამაზი მდინარეა,– უთხრა მან გამყოლს.

ჰო, – თქვა მებორნემ, – ძალიან ლამაზი მდინარეა, მე იგი ყველაფერზე მეტად მიყვარს. ხშირად მიმიგდია მისთვის ყური, ხშირად ჩამიხედავს მისთვის თვალებში და ყოველთვის რაღაც მისწავლია მისგან. ბევრი რამის სწავლა შეიძლება მდინარისაგან.

გმადლობ ჩემო კეთილისმყოფელო, – თქვა ზიდჰარტამ, როდესაც იგი გაღმა ნაპირზე გადავიდა, – არც საჩუქარი მაქვს შენთვის მოსაცემად და არც გასამრჯელო. ერთი ყარიბი ბრაჰმანის ძე და სამანა ვარ.

ჰო, ვხედავ, – თქვა მებორნემ, – არც ველოდებოდი შენგან საჩუქარს ან გასამრჯელოს. შენ სხვა დროს დამასაჩუქრებ მე.

მართლა? – თქვა ზიდჰარტამ მხიარულად.

ნამდვილად. მე ესეც მდინარისგან ვისწავლე: ყველაფერი უკან ბრუნდება. შენც, სამანავ, შენც დაბრუნდები. ახლა კი, მშვიდობით იყავ. დაე, შენი მეგობრობა იყოს ჩემი გასამრჯელო. დაე, მომიგონებდე, როდესაც ზვარაკს მიართმევ ღმერთებს.

ღიმილით დაემშვიდობნენ ისინი ერთმანეთს. ღიმილით ხარობდა ზიდჰარტა მებორნესთან მეგობრობისა და მისი გულითადობის გამო. ისეთივეა, როგორც გოვინდა, – ფიქრებში ეღიმებოდა მას, – ყველა, ვისაც კი გზაზე შევხვდი გოვინდასნაირები არიან. ყველანი მადლიერნი არიან, თუმცა იქით უნდა ვეუბნებოდე მე მათ მადლობას. ყველანი თვინიერნი არიან, ყველას მეგობრად ყოფნა, მორჩილება და ცოტა ფიქრი უნდა. ბავშვები არიან ადამიანები.

ნაშუადღევს ერთ სოფელს მიაღწია. ალიზის ქოხების წინ, ორღობეში ბავშვები კოტრიალობდნენ, გოგრის კურკებითა და ნიჟარებით თამაშობდნენ, ყვიროდნენ და ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ. უცხო სამანას დანახვაზე შეშინებულნი მიმოიფანტნენ ყველანი. სოფლის ბოლოში ნაკადულს მიუყვებოდა გზა. ნაკადულის პირას ნორჩი დიაცი ჩაჩოქილიყო და ტანსაცმელს რეცხავდა. ზიდჰარტა მიესალმა მას, ქალმა თავი ასწია და ღიმილით ისე ამოხედა, რომ მის თვალთა თეთრონის ელვარებას ჰკიდა თვალი ზიდჰარტამ, დალოცა ქალი, ისე როგორც ეს მოგზაურებს აქვთ წესად და ჰკითხა, დიდ ქალაქამდე კიდევ ბევრი თუ დამრჩა გზა სავალიო? წამოდგა დიაცი და გადადგა ნაბიჯი მისკენ, ლამაზად უთრთოდა ნამიანი ტუჩები ნორჩ სახეზე, ხუმრობანარევი სიტყვები გაუცვალა ზიდჰარტას და ჰკითხა, მშიერი ხომ არ იყო და მართალია თუ არა, რომ სამანებს ღამღამობით ტყეში მარტოებს სძინავთ და რომ მათ ქალის ყოლა ეკრძალებათ. თანაც თავისი მარცხენა ტერფი მის მარჯვენას დაადო და ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომლითაც ქალი კაცს იმგვარი სასიყვარულო ტკბობისთვის ეპატიჟება, რომელსაც სასწავლო წიგნები ხეზე ასვლას უწოდებენ. ზიდჰარტამ იგრძნო, როგორ გაუთბა სისხლი და იმავე წამს სიზმარი გაახსენდა, ოდნავ გადაიხარა დიაცისაკენ და მიწისფერ ძუძუს კერტზე აკოცა. თვალები ასწია და დაინახა მისი მომღიმარი სახე, სავსე ნდომით და დავიწროებული თვალები ჟინიანად მავედრებელნი. ზიდჰარტაც სურვილს მოეცვა და გრძნობდა, მასში კაცური მოდგმის წყაროს რომ ამოეხეთქა. და რადგანაც ქალს აქამდე არასოდეს მიჰკარებოდა, ყოყმანობდა ერთი წამი, თუმცა მისი ხელები უკვე მზად იყვნენ დიაცს რომ შემოჭდობოდნენ. სწორედ ამ წამს ძრწოლაატანილს ხმა ესმა თავისი სულის სიღრმიდან და ეს ხმა ამბობდა: არა. უცებ გაიკრიფა ყოველივე ჯადო ყმაწვილი ქალის მომღიმარი სახიდან და ამძუვნებული მდედრი მხეცის სველი მზერის გარდა ვეღარას ხედავდა იგი. ალერსიანად მოუცაცუნა ხელი ღაწვზე, გატრიალდა, მსუბუქი ნაბიჯით გაშორდა შეცბუნებულ ქალს და შეერია ბამბუკის ტყეს.

იმავე დღეს, მოსაღამებულზე მიაღწია მან დიდ ქალაქს. გახარებული იყო, რადგან ადამიანებთან ყოფნას ეშურებოდა. დიდხანს ცხოვრობდა იგი ტყეებში და მთელი ამ დროის განმავლობაში მებორნის ლელის ქოხი, სადაც ბოლო ღამეს ეძინა, იყო პირველი ჭერი, რომელიც თავზე ეფარა. ქალაქის მისადგომებზე ლამაზად შემოღობილ ბაღთან მგზავრს კალათებით დატვირთულ მსახურთა ერთი პატარა ამალა შემოხვდა, რომლის შუაგულშიც მოჩუქურთმებულ ტახტრევანზე, ოთხ კაცს რომ მოჰქონდა, წითელ ბალიშზე, მზის ჭრელი საჩრდილობლის ქვეშ იჯდა ქალი, ქალბატონი. ზიდჰარტა შეჩერდა ბაღის კარიბჭესთან და მიაცქერდა მსვლელობას. იგი შესცქეროდა მსახურებს, მოახლე გოგოებს, შესცქეროდა ტახტრევანს და ქალბატონს ამ ტახტრევანში. მაღლად აბულულებული შავი თმის ქვეშ ძალიან ნათელი ფერის, ძალიან ნაზი, ძალიან ჭკვიანი სახე დაინახა. ღია წითელი ტუჩები, ვითარცა ახლად გადაპობილი ლეღვი, წარბები მოვლილი და მაღალ რკალად გადაღებილი, მუქი თვალები ჭკვიანნი და ფხიზელნი. კრიალა, მაღალი ყელი მწვანე და ოქროსფერი კაბიდან ამომართული, მისვენებული, ღია ფერის ხელები გრძელნი და თხელნი, მაჯებზე განიერი ოქროს სამაჯურები.

ზიდჰარტა ხედავდა რა მშვენიერი იყო ქალი და იცინოდა მისი გული. მდაბლად მოიდრიკა იგი, როცა ტახტრევანი მიუახლოვდა და კვლავ წელში გამართული შეაცქერდა ქალის ნათელ, ტურფა სახეს, მის ჭკვიანურ მაღლად გადარკალულ თვალებს და შეისუნთქა უცნობი სურნელი. წამიერად ღიმილით დაუქნია თავი მშვენიერმა ქალბატონმა და გაუჩინარდა ბაღში, მსახურებიც მიჰყვნენ მას.

აი, ასე შევდივარ ამ ქალაქში, – გაიფიქრა ზიდჰარტამ, – ასეთი ლამაზი ნიშნით. რაღაცა ეზიდებოდა ბაღში დაუყოვნებლივ შესასვლელად, მაგრამ გაახსენდა და გააცნობიერა, როგორ აათვალიერ-ჩაათვალიერეს იგი მსახურებმა და მოახლეებმა, რა სიძულვილით, რა უნდობლობით, რა აგდებით.

მე ჯერ კიდევ სამანა ვარ. – გაიფიქრა მან , – ჯერ კიდევ ასკეტი და მათხოვარი. ასეთად ვეღარ დავრჩები, ასე ბაღში ვერ შევაბიჯებ და გაიცინა.

გზად მომავალ სხვა ადამიანებს გამოჰკითხა მან ბაღისა და ქალის შესახებ და შეიტყო, რომ ეს ბაღი კამალასი, განთქმული როსკიპისა იყო და რომ მას ამ ბაღის გარდა კიდევ ერთი სახლი ჰქონდა ქალაქში.

შემდეგ კი შეაბიჯა მან ქალაქში. ახლა მას ერთი მიზანი ჰქონდა. თავის მიზანს ადევნებული, მთლიანად შეიწოვა იგი ქალაქმა. მიჰყვებოდა იგი შუკების დინებას, ჩერდებოდა მოედნებზე, ისვენებდა ქვის კიბეებზე მდინარის პირას. საღამოხანს კი ერთ დალაქის შეგირდს დაუმეგობრდა, რომელიც ჯერ ჩარდახის ჩრდილში მუშაობისას დაინახა, მერე კი ვიშნუს ტაძარში ლოცვისას შეხვდა და რომელსაც ვიშნუსა და ლაკშმის ამბები მოუყვა. ღამეს, მდინარის პირას ნავებთან ეძინა და დილაუთენია, სანამ სხვა მუშტრები დაასწრებდნენ, დალაქის შეგირდს წვერი გააპარსინა, თმა შეაკრეჭინა და დაავარცხნინა და ნატიფი ზეთიც აცხებინა. შემდეგ კი მდინარისაკენ გაემართა საბანაოდ.

სამხრობისას, როდესაც მშვენიერი კამალა ტახტრევანით ბაღს უახლოვდებოდა, ზიდჰარტა უკვე შესასვლელში იდგა. მდაბლად მოიდრიკა თავი და როსკიპისგანაც მიიღო სალამი. ამალის ბოლოში მიმავალი მსახური კი შეაჩერა და სთხოვა, ქალბატონისთვის ეცნობებინა, რომ ყმაწვილ ბრაჰმანს სურდა მასთან საუბარი. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა მსახური და სთხოვა მომლოდინე ზიდჰარტას, გაჰყოლოდა. მდუმარედ გაუძღვა იგი ზიდჰარტას ფანჩატურისკენ, სადაც კამალა დივანზე მისვენებულიყო, და ისინი მარტოდ დატოვა.

შენ ის არა ხარ, გუშინ გარეთ რომ იდექი და მომესალმე?

მართლაც გნახე გუშინ და მოგესალმე.

კი მაგრამ, გუშინ წვერმოშვებული არ იყავი, გრძელი, მტვრიანი თმა არ გქონდა?

კარგად შეგიმჩნევია, ყველაფერი დაგინახავს. შენ ზიდჰარტა იხილე, ბრაჰმანის ვაჟი, ვინაც სამშობლო მიატოვა, რათა სამანა გამხდარიყო და სამი წელი იყო იგი სამანა. მაგრამ დავუტევე მე იგი ბილიკი და მოველ ამ ქალაქს და შენ იყავ პირველი ვინც შემხვდა, ვიდრე ქალაქში შევაბიჯებდი. სწორედ ამის სათქმელად მოვსულვარ შენთან, ო, კამალა! შენ პირველი ხარ ქალთაგან, რომელსაც ზიდჰარტა თვალგამართული ელაპარაკება. აღარასოდეს მსურს თვალნი დავხარო, როდესაც მშვენიერი ქალი შემხვდება.

კამალამ გაიღიმა, ფარშავანგის ფრთის მარაო შეათამაშა და ჰკითხა: მხოლოდ ამის სათქმელად მოვიდა ჩემთან ზიდჰარტა?

ამისა და კიდევ მადლობის სათქმელადაც, რომ ასეთი მშვენიერი ხარ. და თუ ამით არ შეწუხდები, მსურს გთხოვო, კამალა, იყო ჩემი მეგობარი და მასწავლებელი, რამეთუ არა გამეგება რა მე იმ ხელოვნებისა, რომელშიც ოსტატი ხარ შენ.

მაშინ კი გაიცინა კამალამ ხმამაღლა.

არასოდეს შემმთხვევია ასეთი რამ, მეგობარო, რომ ტყის სამანა მოსულიყო ჩემთან სასწავლებლად! არასოდეს შემმთხვევია ასეთი რამ, რომ ძველი, დაფხრეწილ არდაგიანი და გრძელთმიანი სამანა მოსულიყო ჩემთან! მრავალი ყმაწვილი მოდის ჩემთან, მათ შორის ბრაჰმანთა ძენიც, მაგრამ ისინი მოდიან ლამაზ სამოსში და თხელ წაღებში გამოწყობილნი, კეთილსურნელოვანი ნელსაცხებლებით თმანაპკურებნი და ფულით ქისასავსენი. აი, ასეთნი არიან, სამანავ, ის ყმაწვილები, რომლებიც მოდიან ჩემთან.

თქვა ზიდჰარტამ: უკვე ვიწყებ შენგან სწავლას. გუშინაც ვისწავლე შენგან. აი, ხომ გავიპარსე წვერი, დავივარცხნე და ზეთიც შევიზილე თმაში. მცირედი მაკლია მხოლოდ მშვენიერო: ლამაზი ტანისამოსი და ფეხსაცმელი და ფული ქისაში. იცოდე, უფრო რთული რამეც განუზრახავს ხოლმე ზიდჰარტას, ვიდრე მსგავსი წვრილმანები და მიუღწევია კიდეც მიზნისთვის. იმას როგორღა ვერ მივაღწევ, რაც გუშინ განვიზრახე: შენი მეგობარი გავხდე და შენგან ვისწავლო, სიყვარულისგან როგორ მივიღო სიხარული! აი. ნახავ, რა საზრიანი ვარ, კამალა. უფრო ძნელი რამეები მისწავლია, ვიდრე ის, შენ რაც უნდა მასწავლო. მაშასადამე, არ გაკმაყოფილებს ზიდჰარტა, ისეთი როგორიც არის: სურნელოვანი ზეთით თმაში, მაგრამ შეუმოსავი, უხამლო და უფულო? ღიმილით წამოიძახა კამალამ: არა, ძვირფასო, არ მაკმაყოფილებს, ტანისამოსი უნდა ჰქონდეს, მოხდენილი

ტანისამოსი და ფეხსაცმელები, კოხტა ფეხსაცმელები და ბევრი ფული ქისაში და კიდევ საჩუქრები კამალასათვის. გაიგე ტყიდან მოსულო სამანავ, დაიმახსოვრე?

ცხადია, დავიმახსოვრე, – წამოიძახა ზიდჰარტამ, – როგორ არ დავიმახსოვრებდი იმას, რაც შენს ბაგეთაგან ჩამესმის! ახლად გადაპობილი ლეღვივით არიან შენი ბაგენი, კამალა. ჩემი ტუჩებიც წითელი და ნორჩია, ნახავ, შენსას მოუხდებიან ისინი. მაგრამ, მითხარი, მშვენიერო კამალა, ნუთუ არავითარი შიში არ გაქვს ტყის სამანასი, რომელიც აქ სიყვარულის სასწავლებლად მოსულა?

რად უნდა მეშინოდეს მე სამანასი, ერთი ბრიყვი ტყის სამანასი, აფთრებისგან რომ მოდის და არც კი იცის, რანი არიან ქალები!

ოჰ, ღონიერია იგი, სამანა და უშიშარი. მან შეიძლება დაგიმორჩილოს მშვენიერო ასულო, გაგძარცვოს, ტკივილი მოგაყენოს.

არა, სამანავ, არ მაქვს მე ამის შიში. ნუთუ შიშობს რომელიმე სამანა ან ბრაჰმანი, რომ მოვა ვინმე, სტაცებს ხელს მას და განსწავლულობისგან, ღვთისმოსაობისაგან და ღრმააზროვნებისაგან განძარცვავს მას? ვერა, ვერავინ შეძლებს ამას, რამეთუ ოდენ მას ეკუთვნიან ეს სიქველეები და ისიც იმას გასცემს მათგან, რისი გაცემაც და ვისთვის გაცემაც მას სურს. ასეა ეს და ზუსტად ასევეა იგი კამალასთვისაც და სიყვარულისგან მიღებული სიხარულისთვისაც. მშვენიერი და წითელი არის კამალას ბაგენი, მგრამ, აბა, შეეცადე კამალას ნების გარეშე აკოცო მათ. ერთ მისხალ სიტკბოებასაც კი ვერ მიიღებ ამ ბაგეთაგან, რომელთაც მრავალი სიტკბოს გაცემა გაეგებათ. შენ საზრიანი ხარ, ზიდჰარტა, მაშ, დაისწავლე ესეც: სიყვარული შეგიძლია სამოწყალოდ ითხოვო, იყიდო ან საჩუქრად მიიღო, ქუჩაში იპოვო, მაგრამ მის წართმევას ვერ შეძლებ. მცდარ გზას დასდგომიხარ. არა, სამწუხარო იქნებოდა, შენსავით სანდომიანი ყმაწვილი ასე მცდარად თუ მოისურვებდა შემოტევას.

თავი მოიდრიკა ღიმილით ზიდჰარტამ. სამწუხარო იქნებოდა, მართალი ხარ, კამალა, უაღრესად სამწუხარო! არა, არც ჩემს და არც შენს ბაგეთაგან ერთი წვეთიც კი არ უნდა დაგვეკარგოს სიტკბოებისა! მაშ ასე, ზიდჰარტა დაბრუნდება, როცა ყველაფერი, რაც აკლია, ექნება: ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ფული. მაგრამ, მითხარ, ტურფა კამალა, შეგიძლია კიდევ ერთი რჩევა მომცე?

ერთი რჩევა?რატომაც არა? ვის არ მოუნდებოდა რჩევის მიცემა ერთ ღატაკ, უვიც სამანასათვის, ტყიდან, აფთრებისგან რომ მოდის? მაშ, მირჩიე, საყვარელო კამალა: საით წავიდე, უსწრაფესად ეს სამი რამ რომ ვიპოვო?

ბევრს სურს, მეგობარო, ამის გაგება. შენ ის უნდა აკეთო, რაც აქამდე გისწავლია და რისთვისაც სამაგიეროდ ფულს, ტანსაცმელს და ფეხსაცმელს მოგცემენ. სხვანაირად ფულს ვერ იშოვის შენნაირი ღატაკი. რა შეგიძლია?

მე შემიძლია ფიქრი, მე შემიძლია ლოდინი, მე შემიძლია მარხვა.

სხვა არაფერი?

არაფერი. ჰო, კიდევ გალექსვა შემიძლია. მაკოცებ, ერთ ლექსს თუ გეტყვი?

გაკოცებ თუკი მომეწონება. მაინც როგორია შენი ლექსი?

ზიდჰარტა წამით ჩაფიქრდა და შემდეგ ეს სტროფი წარმოთქვა: ჩრდილიან ბაღში შეაბიჯა მშვენიერმა კამალამ, ბაღის შესასვლელში იდგა მიწისფერი სამანა, მდაბლად მოიხარა, რა თვალი ჰკრა ლოტოსის ყვავილს დდა ღიმილით მოახსენა მან მადლობა კამალას. ხომ იქნებოდა ჰუმჯობესი, ფიქრობდა ყმაწვილი – ღმერთებს კი არა, ლამაზ კამალას შევწირო მსხვერპლი.

მაღალ ხმაზე შემოჰკრა ტაში კამალამ, ისე რომ მისმა ოქროს სამაჯურებმა ჟღრიალი დაიწყეს.

მშვენიერი ლექსია, მიწისფერო სამანავ, და ჭეშმარიტად, არაფერს დავკარგავ თუ შენი ლექსისთვის გაკოცებ.

მან თავისკენ მიიზიდა ზიდჰარტა, რომელმაც თავისი სახე მიიტანა კამალას სახესთან და თავისი ბაგეები შეახო ქალის ბაგეებს, რომლებიც ახლად გადაპობილ ლეღვს ჰგავდნენ. დიდხანს კოცნიდა კამალა ზიდჰარტას და

ღრმა გაოცებით გრძნობდა ზიდჰარტა, როგორ ასწავლიდა ქალი მას, რა ბრძენი იყო იგი, როგორ ეუფლებოდა, თავიდან იშორებდა, თავისკენ იტყუებდა მას და ამ პირველი კოცნის მომდევნოდ, რა გრძელი, კარგად დალაგებული, კარგად გამოცდილი, ერთი მეორისგან განსსხვავებულ კოცნათა რიგი ელოდებოდა. გახევებული, ღრმად სუნთქავდა ზიდჰარტა და ამ დროს იგი ვითარცა ბავშვი განცვიფრებული იყო ცოდნის იმ სიუხვის გამო, რომელიც მის თვალწინ გადაშლილიყო.

ძალიან კარგია შენი ლექსი, – წამოიძახა კამალამ, – მდიდარი რომ ვიყო, ოქროს ფულს მოგცემდი მაგისთვის. მაგრამ იცოდე, გაგიჭირდება ლექსებით შენ რომ გჭირდება, იმდენი ფულის შოვნა, რადგან ბევრი ფული გჭირდება, თუ კამალასთან მეგობრობა გსურს.

რა კარგად შეგიძლია კოცნა, კამალა, – ამოილუღლუღა ზიდჰარტამ.

ჰო, ეგ კი მართლაც შემიძლია, მაგიტომაც არ მაკლია კაბები, ფეხსაცმელები, სამაჯურები და სხვა მშვენიერი ნივთები. შენგან კი რა უნდა გამოვიდეს? სხვა მართლა არაფერი შეგიძლია ფიქრის, მარხვისა და ლექსის თხზვის გარდა? სამსხვერპლო საგალობლები ვიცი კიდევ, – თქვა ზიდჰარტამ, – მაგრამ აღარ მსურს მათი მღერა. ხელნაწერები წავიკითხე...

მოიცა! – შეაწყვეტინა კამალამ, – შენ, რა, კითხვა იცი? და წერაც?

ცხადია, ვიცი. ზოგმა იცის წერა-კითხვა.

ძალიან ბევრმა არ იცის. არც მე ვიცი. ძალიან კარგია, წერა-კითხვა რომ იცი, ძალიან კარგი. შელოცვების ცოდნაც გამოგადგება.

ამ დროს მოახლე ქალმა შემოირბინა და ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა ქალბატონს.

სტუმარი მომივიდა, – წამოიძახა კამალამ, – საჩქაროდ გაქრი აქედან, ზიდჰარტა, ისე რომ არავინ დაგინახოს.კკარგად დაიხსომე ეს. ხვალ კი ისევ შევხვდეთ ერთმანეთს.

მოახლეს კი უბრძანა, ღვთისმოშიში ბრაჰმანისთვის თეთრი მოსასხამი მიეცა. ვერც კი გამოერკვა ზიდჰარტა, ისე მოაშორა იქაურობას მოახლე გოგომ და შემოვლითი გზებით ბაღის ფანჩატურში მიიყვანა, მოსასხამით დაასაჩუქრა, ბუჩქნარში გადაიყვანა და დაბეჯითებით მოსთხოვა, დაუყოვნებლივ, სხვებისგან შეუმჩნევლად გადაკარგულიყო.

როგორც უბრძანეს, ყველაფერი ისე გააკეთა კმაყოფილმა. ტყეში ცხოვრებას ჩვეულმა, უჩუმრად გააღწია ბაღიდან და გასცდა ჯაგნარს. კმაყოფილი დაბრუნდა ქალაქში იღლიაში ამოდებული დაკეცილი მოსასხამით და მიადგა ერთ ღამის სათევს, სადაც მგზავრები დგებიან ხოლმე. მდუმარედ ითხოვა საჭმელი დამმდუმარედ აიღო ერთი ნაჭერი ბრინჯის ნამცხვარი. იქნებ, – გაიფიქრა მან, – ხვალ უკვე აღარავისთვის საჭმლის თხოვნა აღარ დამჭირდეს.

უცებ სიამაყე აგიზგიზდა მასში. აღარ იყო იგი სამანა. აღარ შეეფერებოდა მას მათხოვრობა. ბრინჯის ნამცხვარი ძაღლს გადაუგდო, თავად კი დარჩა საჭმლის გარეშე.

მარტივია ცხოვრება, რომელსაც ამქვეყნად ეწევა კაცი, – ფიქრობდა ზიდჰარტა, – არ არის იგი რთული. მძიმე იყო ყველაფერი, დამქანცველი და საბოლოოდ უიმედო, ოდეს სამანა ვიყავ. ახლა კი ადვილია ყველაფერი, ადვილია ვითარცა გაკვეთილი კოცნისა, კამალა რომ მიტარებს. მმე ახლა ტანისამოსი და ფული მჭირდება, სხვა არაფერი. პატარა და ახლო მიზნები არიან ესენი, ძილსაც რომ არ მიფრთხობენ ისეთნი.

კარგა ხანია, ზიდჰარტას დაზვერილი ჰქონდა კამალას ქალაქის სახლი. მეორე დღეს უკვე სახლის წინ იდგა იგი.

კარგადაა საქმეები, – დაუძახა კამალამ ზიდჰარტას, – კამასვამი გელოდება, ქალაქის უმდიდრესი სოვდაგარი. თუ მოეწონე, სამუშაოდაც აგიყვანს. შენს შესახებ სხვათა პირით შევატყობინე მას. ჭკვიანი და თავაზიანი იყავი მასთან მიწისფერო სამანა, მაგრამ არც ძალიან მოკრძალებული. არ მსურს, მისი მსახური იყო, მისი სწორი უნდა

გახდე, სხვაგვარად ვერ ვიქნები შენით კმაყოფილი. რაც უფრო ბერდება კამასვამი, მით უფრო დამყოლი ხდება იგი და თუ მოეწონე, ბევრ საქმესაც მოგანდობს.

ზიდჰარტამ მადლობა შესწირა კამალას და გაიცინა და რა შეიტყო კამალამ, უკვე ორი დღე არაფერი ეჭამა ზიდჰარტას, პური და ხილი მოატანინა და გაუმასპინძლდა მას.

ბედი გქონია, – უთხრა კამალამ დამშვიდობებისას ზიდჰარტას, – ყველა კარი ერთი მეორის მიყოლებით იღება შენს წინაშე. ნეტავ, როგორ ახერხებ ამას? რაიმე ჯადო ხომ არა გაქვს?

ზიდჰარტამ თქვა: აკი მოგახსენე გუშინ, ფიქრი, ლოდინი და მარხვა ვიცი მეთქი, თუმცა შენ ჩათვალე, რის მაქნისიაო ამათი ცოდნა. მაგრამ, აი, ნახავ, რომ დიდად სასარგებლონი არიან ისინი, კამალა. ნახავ, რომ ბევრ კარგ რამეს სწავლობენ ტყიური, სულელი სამანები და ბევრი ისეთიც შეუძლიათ, რაც თქვენ არ შეგიძლიათ. გუშინწინ ერთი თმაგაჩეჩილი გლახა ვიყავი მხოლოდ, გუშინ კამალას ვაკოცე უკვე, მალე კი ვაჭარი გავხდები, ფული და ყველა ის ნივთი მექნება, რასაც შენ ასე აფასებ.

ძალიან კარგი, – კვერი დაუკრა კამალამ, – მაგრამ როგორ იქნებოდა შენი საქმე უჩემოდ? რა გახდებოდი, მე რომ არ მოგხმარებოდი?

საყვარელო კამალა, – თქვა ზიდჰარტამ და წამოიმართა ფეხზე, – როდესაც შენს ბაღში მოვედი, ეს მე გადმოვდგი პირველი ნაბიჯი. მეს მე განვიზრახე, უმშვენიერესი ქალისგან სიყვარული მესწავლა, და რა ჩავწვდი მე ამ განზრახვას, ვიცოდი უკვე, რომ მას განვახორციელებდი კიდეც, ვიცოდი რომ შენც დამეხმარებოდი, შენი პირველივე შემოხედვისთანავე ბაღის შესასვლელში ვიცოდი ეს უკვე.

თუკი მე არ მოვისურვებდი?

მაგრამ ხომ მოისურვე. მისმინე, კამალა: როდესაც ქვას წყალში აგდებ, იგი უმოკლესი გზით ეშვება ფსკერზე. ასეა ზუსტად, როდესაც ზიდჰარტას რაიმე მიზანი, რაიმე განზრახვა აქვს. ზიდჰარტა არაფერს აკეთებს, იგი იცდის, იგი ფიქრობს, იგი მარხულობს, მაგრამ იგი ისე გადის სამყაროსეულ ყველა სხეულში, ვითარცა ქვა წყალში, რომელიც არაფერს შვრება, არც კი ინძრევა, რომელიც მხოლოდ მიიზიდება და ისე ეშვება ძირს. მისივე მიზანი მიიზიდავს მას, რადგან იგი ისეთს არაფერს უშვებს თავის სულში, რაც მიზანს შეეწინააღმდეგებოდა. ეს არის ის, რაც ზიდჰარტამ სამანებისგან ისწავლა. ეს არის ის, რასაც ბრიყვნი ჯადოს უწოდებენ და ჰგონიათ, დემონების ზემოქმედებით ხდებაო ეს ყველაფერი. არაფერზე შეუძლიათ დემონებს ზემოქმედება. არ არსებობენ დემონები. ყველას შეუძლია ჯადოქრობა, ყველას შეუძლია თავისი მიზნის მიღწევა, ვისაც კი ფიქრი, ლოდინი და მარხვა შეუძლია.

კამალა უგდებდა ყურს, უყვარდა მისი ხმა, უყვარდა მის თვალთა მზერა.

იქნებ, მართლაც ისეა, – თქვა კამალამ, – როგორც შენ ამბობ, მეგობარო. მაგრამ, იქნებ ისეცაა, რომ ზიდჰარტა ერთი სანდომიანი კაცია, რომ მისი მზერა მოსწონთ ქალებს და ამიტომაც უღიმის მას ბედი.

დამშვიდობებისას აკოცა ზიდჰარტამ კამალას. დაე ასე იყოს, ჩემო მასწავლებელო, დაე მუდამ მოგწონდეს ჩემი მზერა, დაე მუდამ შენგან მეწიოს მე იღბალი.

ბავშვადამიანებთან

ზიდჰარტა გაემართა სოვდაგარ კამასვამისთან, რომლის მდიდრულ სახლშიც იგი შეიპატიჟეს. მსახური ძვირფასი ფარდაგებით გაწყობილ ბუდუარში შეუძღვა მას, სადაც სახლის პატრონს უნდა დალოდებოდა. მალე კამასვამიც შემოვიდა, ერთი მკვირცხლი, მოქნილი კაცი, რომელსაც ძლიერ გაჭაღარავებული თმა, ძალზე გონიერი თვალები და ვნებიანი ტუჩები ჰქონდა. თავაზიანად მიესალმნენ ერთმანეთს სტუმარი და მასპინძელი.

მითხრეს, – თქვა ვაჭარმა, – რომ შენ ერთი სწავლული ბრაჰმანი ხარ, სამსახურს რომ ეძებს ვაჭრის კარზე. მითხარ, ბრაჰმანო, სიდუხჭირეში ჩავარდი, სამსახურის ძებნა რომ დაგიწყია?

არა, – თქვა ზიდჰარტამ, – მე არ მიჭირს და არც არასოდეს ვყოფილვარ გაჭირვებული. მინდა, იცოდე, რომ სამანებისგან მოვდივარ, რომლებთანაც დიდხანს ვცხოვრობდი.

შეიძლება კი არ გიჭირდეს, თუ შენ სამანებისგან მოდიხარ?

ხომ სრულიად უპოვარნი არიან სამანები?

უპოვარი ვარ მე, – თქვა ზიდჰარტამ, – თუ ეს ისაა, რასაც შენ გულისხმობ. უპოვარი ვარ მე ნამდვილად, თუმცა ჩემი ნებით ვარ მე ეს. ასე რომ, არ ვარ მე დუხჭირი.

კი მაგრამ, რითი ცხოვრობ შენ უპოვარი?

არასოდეს მიფიქრია ამაზე, ჩემო ბატონო. სამ წელზე მეტია, ასე უპოვრად ვცხოვრობ და არასოდეს დავფიქრებულვარ იმაზე, თუ რით ვარსებობ. რით და სხვისი ქონებით არსებობდი შენ.

ალბათ ასეა ეს. მაგრამ ვაჭარიც ხომ სხვისი ქონებით ცხოვრობს.

მართალს ამბობ, მაგრამ მუქთად არ იღებს იგი სხვისას. სამაგიეროდ თავის საქონელს გასცემს იგი.

როგორც ჩანს, მართლაც ასე ხდება: ყველა იღებს და ყველა გასცემს რაღაცას. ასე ყოფილა ცხოვრება.

მომეცი ნება, გკითხო: რა გინდა, რომ გასცე შენ, უპოვარმა?

თითოეული იმას გასცემს, რაც აქვს: მეომარი – თავის სიჩაუქეს, ვაჭარი – საქონელს, მასწავლებელი – სწავლებას, გლეხი – ბრინჯს და მეთევზე – თევზს.

სრული სიმართლეა, მაგრამ რა არის ის, რაც შენ გაქვს გასაცემად? რა არის ის, რაც შენ გისწავლია, რაც შეგიძლია?

მე ფიქრი შემიძლია, მე ლოდინი შემიძლია, მე მარხვა შემიძლია.

ეს არის ყველაფერი?

მე მგონია, ეს არის ყველაფერი.

და რაში გადგია ეს? მაგალითად, მარხვა: რისთვისაა ის კარგი?

ძალზე კარგი რამაა მარხვა, ჩემო ბატონო. კაცს რომ არაფერი აქვს საჭმელად, მარხვაა ყველაზე ჭკვიანური, რისი გაკეთებაც მას შეუძლია. მაგალითად, ზიდჰარტას მარხვა რომ არ სცოდნოდა, მაშინ მას დღესვე უნდა დაეწყო შენთან ან ვინმე სხვასთან მსახურება, რამეთუ შიმშილი აიძულებდა ამას. ახლა კი ზიდჰარტას შეუძლია, წყნარად ელოდოს. მან არ იცის არანაირი სულსწრაფობა, მან არ იცის არანაირი შეჭირვება. დიდი ხნითაც რომ მოაქციოს იგი შიმშილმა ალყაში, მას შეუძლია, იცინოს ამაზე. სწორედ ამისთვის არის, ბატონო, მარხვა კარგი.

მართალი ხარ, სამანავ, დამელოდე ერთი წამი.

კამასვამი ოთახიდან გავიდა და უკან დაბრუნდა გრაგნილით, სტუმარს მიაწოდა და ჰკითხა: შეგიძლია ეს წამიკითხო?

ზიდჰარტამ გადაათვალიერა გრაგნილი, რომელშიც სავაჭრო ხელშეკრულება იყო ჩაწერილი და შემდეგ ხმამაღლა წაიკითხა იგი.

ჩინებულია, – თქვა კავასვამიმ, – არ გინდა რაიმე დამიწერო ამ ფურცელზე? – მიაწოდა მან ფურცელი და კალამი და ზიდჰარტამაც რაღაც დაწერა ფურცელზე.

კამასვამიმ წაიკითხა: წერა კარგია, ფიქრი – უკეთესი. გონიერება კარგია, მოთმინება – უკეთესი.

საუცხოოდ შეგძლებია წერა, – შეაქო ვაჭარმა, – ჩვენ კიდევ გვაქვს ერთმანეთთან რაღაცები სალაპარაკო. ახლა კი გთხოვ, იყავ ჩემი სტუმარი და ამ სახლში დაიდე ბინა.

ზიდჰარტამ მადლობა მოახსენა ვაჭარს, შემოთავაზებაც მიიღო და დაბინავდა მასთან. მიართვეს ტანისამოსი და ფეხსაცმელები, ერთი მსახური კი ყოველდღიურად აბაზანას უმზადებდა მას. ორჯერ დღეში უხვი სუფრა იშლებოდა მისთვის, თუმცა დღეში ერთხელ ჭამდა იგი, და თანაც არც ხორცსა და არც ღვინოს პირს არ აკარებდა. კამასვამი მოუთხრობდა თავისი ვაჭრობის შესახებ, აჩვენებდა თავის ხვასტაგსა და ქარვასლებს, აცნობდა დავთრებს. ბევრს, ახალს სწავლობდა ზიდჰარტა, ბევრი ისმენდა, თავად კი ცოტას ლაპარაკობდა. ღრმად ჰქონდა კამალას სიტყვები მეხსიერებაში ჩაბეჭდილი, ამიტომაც არ მორჩილობდა ვაჭარს, პირიქით, აიძულებდა, ვითარცა თავისსავე სწორს და კიდევ მეტს, ვიდრე სწორი, მოპყრობოდა მას. კამასვამი გატაცებითა და გულდასმით უძღვებოდა თავის საქმეებს, ზიდჰარტა კი როგორც თამაშს, ისე შესცქეროდა ამ ყველაფერს, რომლის წესების სწავლას კი ცდილობდა, მაგრამ არსი ამ თამაშისა არ ეკარებოდა მის გულს.

არცთუ ისე დიდი დრო იყო გასული, რაც იგი კამასვამისთან ცხოვრობდა და უკვე მონაწილეობდა სახლის პატრონის საქმიანობაში. ყოველდღიურად, ზუსტად იმ დროს, რომელსაც მას კამალა უნიშნავდა, სტუმრობდა იგი კამალას ლამაზ სამოსში და თხელ წაღებში გამოწყობილი, სულ მალე კი საჩუქრებიც მიჰქონდა მასთან. ბევრ რამეს ასწავლიდნენ კამალას წითელი ტუჩები. ბევრ რამეს ასწავლიდნენ მისი ნაზი, ალერსიანი ხელები. მას, რომელიც სიყვარულის საქმეში ბავშვი იყო მხოლოდ და ეშურებოდა ბრმად, გაუმაძღრად გადაშვებულიყო ვნების უძირო მორევში, ასწავლიდა კამალა, რომ სიამოვნების გაუცემლად თავადაც ვერ მიიღებდა სიამოვნებას, რომ ყოველ ჟესტს, ყოველ მოფერებას, ყოველ შეხებას, ყოველ შემოხედვას, სხეულის ყოველ გოჯს თავისი საიდუმლო აქვს, რომელთა ამოხსნაც ბედნიერებას უმზადებს მათ მცოდნეს. იგი ასწავლიდა ზიდჰარტას, რომ სიყვარულის ზეიმის მერე შეყვარებულები არ უნდა დაშორდნენ ერთმანეთს ისე, რომ არ იყვნენ ერთმანეთით აღტაცებულნი, არ იყვნენ დამარცხებულნი და იმავდროულად გამარჯვებულნი, ისე რომ არცერთს მოყირჭება და სიცარიელე არ ეუფლებოდეს და არცერთს ჰქონდეს ცუდი გრძნობა, რომ მან იძალადა ან მასზე იძალადეს. საოცარ წუთებს ატარებდა ზიდჰარტა მშვენიერ და ჭკვიან ხელოვან ქალთან, გახდა იგი მისი მოწაფე, მისი საყვარელი, მისი მეგობარი. აქ, კამალასთან ჰქონდა ფასი და აზრი მის ახალ ცხოვრებას და არა კამასვამის სავაჭროში.

სოვდაგარმა ზიდჰარტას გადაულოცა მნიშვნელოვანი წერილებისა და ხელშეკრულებების შედგენა და იმასაც მიეჩვია, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მასთან ერთად განეხილა. მალე მიხვდა, რომ ზიდჰარტას ბევრი არაფერი გაეგებოდა ბრინჯის, მატყლის, ნაოსნობისა და ვაჭრობისა, მაგრამ ხელბედნიერი იყო და რომ ზიდჰარტამ მას, ვაჭარს, გადააჭარბა სიმშვიდითა და ცივი გონებით, აგრეთვე სხვისთვის მოსმენისა და უცხო ადამიანში შეღწევის ხელოვნებით. ეს ბრაჰმანი, – უთხრა კამასვამიმ ერთ თავის მეგობარს, – არ არის ნამდვილი ვაჭარი და ვერც ვერასოდეს გახდება იგი, მისი სული არასდროს არის საქმით აღტყინებული. მაგრამ იგი იმ ადამიანის საიდუმლოს ატარებს, რომელთანაც წარმატება თავისი ფეხით მიდის, სულ ერთია, ბედნიერ ვარსკვლავზეა იგი დაბადებული,ჯადოს ფლობს, თუ რაღაც სხვას, რაც მან სამანებისგან ისწავლა. მუდამ ისე ჩანს, რომ იგი მხოლოდ თამაშობს საქმეებით, მის შიგნით კი ვერ აღწევენ ისინი, ვერ იპყრობენ მას, არასოდეს ეშინია წარუმატებლობისა და არც წაგება აწუხებს არასოდეს.

მეგობარმა ურჩია ვაჭარს: იმ საქმეებიდან, რომელსაც იგი უძღვება, მიეცი მოგების მესამედი, მაგრამ ზარალის ისეთივე წილი შეახვედრე, თუკი ზარალს ნახავთ. მაშინ მეტ გულმოდგინეობას გამოიჩენს იგი კამასვამი დაჰყვა მეგობრის რჩევას, მაგრამ ზიდჰარტას უზრუნველობას არა დაეტყო რა. თუ მოგებას ნახავდა, გულგრილად მიითვლიდა მას, ხოლო წაგებისას იცინოდა და ამბობდა: ხედავ, რა ცუდად წაგვივიდა საქმე!

მართლაც ისე ჩანდა, არ ანაღვლებდა მას საქმე. ერთხელ წავიდა იგი რომელიღაც სოფელში, ბრინჯის მთელი მოსავლის შესასყიდად, მაგრამ იქ რომ მივიდა, ბრინჯი სხვა ვაჭარზე დახვდა გაყიდული. ზიდჰარტა მაინც დარჩა სოფელში, გლეხებს გაუმასპინძლდა, მათ ბავშვებს სპილენძის მონეტები აჩუქა, ქორწილში მოილხინა და სახლში უაღრესად ნასიამოვნები დაბრუნდა. კამასვამიმ უსაყვედურა ზიდჰარტას დაგვიანებისა და ფულის ფანტვის გამო. ზიდჰარტამ უპასუხა: მოეშვი თათხვას, კეთილო მეგობარო. როდის ყოფილა ვინმეს თათხვით მიეღწიოს რამესთვის. რახან წაგება ვნახე, ჩემს თავზე ვიღებ ამ წაგებას. მე ძალზე კმაყოფილი ვარ ამ

მგზავრობით: სხვადასხვანაირი ადამიანები გავიცანი, ერთი ბრაჰმანიც დავიმეგობრე, ბავშვები სულ ჩემს მუხლებზე ვაჭენავე. გლეხებმა თავიანთი ყანები მაჩვენეს. ვერც კი მიხვდნენ, მე რომ ვაჭარი ვარ.

რა კარგია! – წამოიძახა კამასვამიმ, – კი მაგრამ, შენ ხომ მართლა ვაჭარი ხარ, თუ მხოლოდ შენი სიამოვნებისთვის გაემგზავრე?

რასაკვირველია, – გაიცინა ზიდჰარტამ, – რასაკვირველია, ჩემი სიამოვნებისთვის გავემგზავრე. მაშ სხვა რისთვის? მე იქაური ადამიანები და ის მხარე გავიცანი, მათი ნდობა და თავაზიანობა დავიმსახურე, სამეგობრო ვიპოვე. მისმინე, ჩემო კეთილო: მე რომ კამასვამი ვყოფილიყავი, როგორც კი დავინახავდი, რომ მორიგება ჩამეშალა, ნაწყენი დაუყოვნებლივ უკან გამოვბრუნდებოდი. აი, მაშინ კი დრო და ფული მართლაც დაკარგული იქნებოდა. მე კი მშვენიერი დღეები გავატარე იქ, რაღაცები გავიგე და სიხარულიც ვიგემე, არც სხვას და არც საკუთარ თავს ჯავრობითა და ფაციფუცით არ ვავნე. და თუ ოდესმე კიდევ მივალ იქ ახალი მოსავლის საყიდლად ან სხვა მიზნით, ჩემი მეგობრები გულთბილად და მხიარულად მიმიღებენ და მეც ჩემს თავს შევაქებ, რომ არ ვიჩქარე მაშინ და არც ჩემი უკმაყოფილება დავანახე მათ. ასე რომ, ყველაფერი კარგადაა, მეგობარო და ტყუილად ნუ დაიღლები ლანძღვით! თუ კი ისეთი დღე დადგება, როცა შენ დაინახავ: ზიდჰარტას ზარალი მოაქვსო ჩემთვის, ერთი სიტყვა თქვი მხოლოდ და ზიდჰარტა თავის გზას გაუყვება. მანამდე კი ვიყოთ ერთმანეთთან სიამტკბილობაში.

ამაო იყო ვაჭრის მცდელობაც, ზიდჰარტა დაერწმუნებინა, რომ იგი მის, კამასვამის პურს ჭამდა. ზიდჰარტა თავის საკუთარ პურს ჭამდა, უფრო მეტიც, ორივენი სხვების, ყველას პურს ჭამდნენ. არასოდეს ზიდჰარტას კამასვამის წუხილი ყურად არ უღია, კამასვამის კი ბევრი ჰქონდა სადარდებელი: ვერაფრით არწმუნებდა თავის ამქარს, რომ როდესაც დაწყებულ საქმეს წარუმატებლობა ემუქრება, ან გამოგზავნილი ტვირთი არ ჩანს ან ვალს ვერ იხდის მოვალე, სწორედ მაშინ ეგების წუხილისა და რისხვის სიტყვების ამოთქმა, შუბლზე ნაოჭების გაჩენა და მშფოთვარე ძილი. ერთხელ, როდესაც კამასვამი ზიდჰარტას უმტკიცებდა, ყველაფერი ჩემგან გაქვს ნასწავლი, თუ რამე გაგეგებაო, უპასუხა ზიდჰარტამ: შენგან ვისწავლე, რა ღირს თევზით სავსე კალათა და გასესხებული ფულიდან რამდენი სარგებელი უნდა მოვითხოვო. ეს არის შენი მეცნიერება. მაგრამ ფიქრი არ მისწავლია მე შენგან, ძვირფასო კამასვამი, უმჯობესია შენ ისწავლო იგი ჩემგან.

მართლაც ვერ ჰგუობდა ზიდჰარტას სული ვაჭრობას. საქმე მხოლოდ იმისთვის იყო კარგი, რომ მას კამალასთან სასიარულოდ საკმარისი ფული და იმაზე ბევრად მეტიც კი მოჰქონდა, ვიდრე მას სჭირდებოდა. ზიდჰარტას თანაგრძნობა და ცნობისმოყვარეობა მხოლოდ ადამიანებისკენ იყო მიმართული, რომელთა საქმეები, ხელობა, წუხილი, გართობა თუ სიშმაგეები ადრე მთვარესავით უცხო და შორეული იყო მისთვის. რა ადვილადაც ახერხებდა იგი ყველასთან ლაპარაკს, ყველასთან თანაცხოვრებასა და ყველასგან რაღაცის სწავლას, ასევე ცხადად აცნობიერებდა, რომ არსებობს რაღაცა, რაც მას ამ ადამიანებისაგან მიჯნავდა და ეს მიჯნა სამანობა იყო. ადამიანები, მისი აზრით, ბავშვურად ანდა ცხოველურად უაზრო ცხოვრებას ეწეოდნენ, რომელიც იმავდროულად უყვარდა და სძულდა კიდეც. ხედავდა, როგორ წვალობდნენ, როგორ იტანჯებოდნენ და როგორ ჭაღარავდებოდნენ ადამიანები ისეთი რამეების გამო, ნამდვილად რომ არ ღირდა ამად, როგორ თათხავდნენ და შეურაცხყოფდნენ ერთმანეთს ფულის, პატარა სიამოვნების, პატარა ღირსების გამო, ხედავდა, როგორ წუწუნებდნენ ისეთი ტკივილების გამო, რისთვისაც სამანას გაეღიმებოდა მხოლოდ და როგორ ტანჯავდა მათ გასაჭირი, რასაც ვერც კი გრძნობს სამანა.

გულღიად ხვდებოდა ზიდჰარტა ყველაფერს, რასაც ადამიანები მასთან ურთიერთობისას მოიმოქმედებდნენ. სასურველი იყო მისთვის ვაჭარი, რომელიც ტილოს სთავაზობდა საყიდლად, სასურველი იყო ვალებში ჩავარდნილი კაცი, სესხს რომ ეძებდა, სასურველი იყო მათხოვარი, საათობით თავისი სიღატაკის ამბავს რომ უყვებოდა და რომელიც ნებისმიერ სამანაზე ორჯერ მდიდარი მაინც იყო. იგი ისევე ეპყრობოდა მდიდარ უცხოელ ვაჭარს, როგორც თავის მსახურს, რომელიც დილაობით წვერს პარსავდა ანდა როგორც ქუჩის გამყიდველს, რომელსაც ხურდა ფულში ატყუებინებდა თავს. როდესაც კამასვამი მასთან მიდიოდა თავის სადარდებელზე დასაჩივლელად, ან რომელიღაც საქმის გამო სასაყვედუროდ, ცნობისმოყვარედ და ხალისით უსმენდა მას ზიდჰარტა, უკვირდა მისი, ცდილობდა გაეგო მისთვის და გარკვეულწილად მისი სიმართლეც ეღიარებინა იმაზე ცოტათი მეტადაც კი, ვიდრე ეს აუცილებლად მიაჩნდა, შემდეგ აქცევდა მას ზურგს და

მიუბრუნდებოდა მავან მოყვასს თავისას, ვისაც მასთან ყოფნა სწყუროდა. მართლაც, მრავალნი მოდიოდნენ მასთან: მრავალნი – სავაჭროდ, მრავალნი – მის მოსატყუებლად, მრავალნი – ჭკუის საკითხავად და რჩევის მისაღებად. ისიც გასცემდა რჩევას, შეიცოდებდა, სჩუქნიდა, თავს ატყუებინებდა და მთელი ეს თამაში და ვნებიანობა, რომლითაც თამაშობს ყველა ადამიანი ამ თამაშს, მის გონებას ისე ძალუმად წარიტაცებდა, როგორც ოდესღაც ღმერთები და ბრაჰმან.

დროდადრო ღრმად მკერდში გრძნობდა რაღაც მომაკვდავ ჩუმ ხმას, რომელიც ჩუმად აფრთხილებდა, ჩუმად ჩიოდა, ისე ჩუმად, რომ ძლივს ესმოდა მისი. შემდგომ ამისა, მის შეგნებაში რაღაც ერთი საათით მოდიოდა შეგრძნება, რომ იგი უცნაურ ცხოვრებას ეწეოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ისეთ რამეებს აკეთებდა, თამაში რომ იყო ოდენ, რომ იგი, მართალია ხალისობდა და ზოგჯერ სიხარულსაც გრძნობდა, მაგრამ, ამის მიუხედავად ნამდვილი ცხოვრება გვერდით ჩაუდიოდა, მას არ ეკარებოდა. ისევე როგორც მობურთავე ათამაშებს ბურთებს, ასე თამაშობდა იგი სავაჭრო საქმეებით, გარშემომყოფი ადამიანებით, შესცქეროდა მათ და თავის სიამოვნებას ჰპოვებდა მათში მაგრამ გულით, თავისი არსებობის წყაროთი კი არ იყო მათთან. წყარო სადღაც მიედინებოდა, ისე შორს მისგან, და ისე უხილავად მიედინებოდა, რომ არაფერი საერთო მის ცხოვრებასთან არ ჰქონდა. რამდენჯერმე შეეშინდა მას ამგვარი ფიქრების და ისურვა, მასაც მისცემოდა უნარი, რომ ყველა ამ ყოველდღიურ ბავშვურ ქმედებაში მთელი სულითა და გულით მიეღო მონაწილეობა, ნაღდად ეცხოვრა, ნაღდად ექმნა, ნაღდად შეეტკბო, ნაცვლად იმისა, ვითარცა მოსეირე გვერდით მდგარიყო.

კვლავ და კვლავ მიდიოდა იგი მშვენიერ კამალასთან, სწავლობდა სიყვარულის ხელოვნებას, ავითარებდა ვნებიანობის კულტს, სადაც გაცემა და აღება ერთნი ხდებიან, ებაასებოდა მას, სწავლობდა მისგან, აძლევდა მას და იღებდა მისგან რჩევას. კამალას უკეთესად ესმოდა მისი, ვიდრე ოდესღაც გოვინდას. ისინი ჰგავდნენ ერთმანეთს. ერთხელ უთხრა ზიდჰარტამ კამალას: შენ ჩემნაირი ხარ, შენ სხვანაირი ხარ, ვიდრე ადამიანთა უმეტესობა. შენ კამალა ხარ, სხვა არავინ და შენში არის სიწყნარე და თავშესაფარი, სადაც შეგიძლია შეხვიდე და იყო შინ, ისევე როგორც ეს მე შემიძლია.

ყველა ადამიანი როდია ჭკვიანი, – თქვა კამალამ.

არა, – თქვა ზიდჰარტამ, ეს არ არის მთავარი. კამასვამი ისეთივე ჭკვიანია, როგორც მე, მაგრამ მას მაინც არ აქვს საყუდარი თავის თავში. სხვებს აქვთ იგი, მაგრამ ჭკუით არიან პატარა ბავშვები. ადამიანთა უმეტესობა, კამალა, მომწყდარი ფოთოლივით არის, რომელსაც ჰაერი აფრიალებს, მიწაზე აქანავებს და მიათრევს. სხვები კი, ცოტანი, ვარსკვლავებივით არიან, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ გზაზე მიექანებიან, ვერცერთი ქარი ვერ აღწევს იქამდე, საკუთარ თავში აქვთ მათ თავიანთი კანონი და თავიანთი გზა. ყველა სწავლულსა და სამანას შორის, რომელთაც მრავლად ვიცნობდი, ერთი იყო მხოლოდ ამგვარი, სრულქმნილი, რომელსაც ვერასდროს დავივიწყებ: იგი გოტამა, ამაღლებული, მახარობელი თავისი სწავლებისა. ათასობით შეგირდი მოისმენს ყოველდღე მის მოძღვრებას, მისდევს მის განაწესს, მაგრამ ისინი ყველანი მომწყდარი ფოთლები არიან, მათ თავიანთ თავში არ აქვთ მოძღვრება და კანონი.

კამალამ ღიმილით აათვალ-ჩაათვალიერა ზიდჰარტა: შენ ისევ მასზე ლაპარაკობ, – თქვა მან, – ისევ სამანას ფიქრები გაქვს.

ზიდჰარტა გაყუჩდა და მათ დაიწყეს სასიყვარულო თამაში, ერთ-ერთი იმ ოცდაათი თუ ორმოციდან, რომლებიც იცოდა კამალამ. დრეკადი იყო კამალას სხეული, ვითარცა ტანი იაგუარისა ანდა მშვილდი მონადირისა. ვისაც მისგან ესწავლა სიყვარული, მრავალ საიდუმლოში, მრავალ სიამოვნებაში იყო იგი გარკვეული. დიდხანს ეთამაშებოდა კამალა ზიდჰარტას, თავისკენ იტყუებდა, შემდეგ უკუაგდებდა მას, იმორჩილებდა მას, შემოეხლართებოდა მას, უხაროდა მისი ოსტატობა, სანამ არ დაამარცხა ზიდჰარტა, რომელიც ბოლოს დაქანცული მის გვერდით მიწვა დასასვენებლად.

ჰეტერა დაიხარა და დიდხანს ჩასცქეროდა ზიდჰარტას სახეში, დაღლილ თვალებში.

შენ საუკეთესო შეყვარებული ხარ მათ შორის, ვინც კი მყოლია, – თქვა კამალამ დაფიქრებით, – შენ სხვებზე ძლიერი, დამყოლი და მზადმყოფი ხარ. შენ კარგად დაეუფლე ჩემს ხელოვნებას, ზიდჰარტა. ოდესმე, როდესაც

ასაკი მომემატება, მინდა შვილი გავაჩინო შენგან. და მაინც, საყვარელო, სამანად დარჩი, არ გიყვარვარ, არავინ გიყვარს შენ. ასე არ არის განა?

შეიძლება, მართლაც ასეა. – თქვა ზიდჰარტამ დაღლილად..

– მე შენსავითა ვარ. არც შენ გიყვარს, თორემ სიყვარულს, როგორც ხელოვნებას, ვერ წარმართავდი. ჩვენნაირ ადამიანებს, ალბათ, არც შეუძლიათ სიყვარული. ბავშვადამიანებს შეუძლიათ იგი, ეს არის მათი საიდუმლო.

სამსარა

დდიდხანს ცხოვრობდა ზიდჰარტა ამქვეყნიური, სიამეთა ცხოვრებით, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ზიარებია მას. მისი გრძნობები, მხურვალე სამანურ წლებში ჩაკლულნი, ხელახლა გამოღვიძებულიყვნენ: სიმდიდრე იგემა მან, ხორციელი ტკბობა იგემა მან, ძალაუფლება იგემა მან, მაგრამ გულით მაინც სამანად დარჩა, რასაც ზუსტად მიხვდა ჭკვიანი კამალა. კვლავ ფიქრის, ლოდინისა და მარხვის ხელოვნება წარმართავდნენ მის ცხოვრებას. კვლავ უცხოებად რჩებოდნენ ადამიანები, ბავშვადამიანები მისთვის ამ წუთისოფელში, ისევე როგორც იგი იყო უცხო მათთვის.

წლები მიფრინავდნენ და კეთილდღეობით შემოგარსული ზიდჰარტა ოდნავღა თუ გრძნობდა მათ განქარებას. იგი მდიდარი იყო, დიდი ხანია უკვე საკუთარი სახლი ჰქონდა და საკუთარი ფარეშნი ჰყავდა და ერთი ბაღიც ქალაქგარეთ, მდინარის პირას მას ეკუთვნოდა. ადამიანებს უყვარდათ იგი, მიდიოდნენ მასთან, როდესაც ფული ან რჩევა სჭირდებოდათ, თუმცა მისთვის არავინ იყო ახლობელი, გარდა კამალასი.

ის მაღალი, ნათელი მღვიძარება, ოდესღაც ყმაწვილკაცობის ჟამს რომ განეცადა, გოტამას ქადაგების შემდგომ დღეებში, გოვინდასთან განშორების შემდეგ, ის დაძაბული მოლოდინი, ის ამაყი მარტოდმყოფობა უსწავლებოდ და უმასწავლებლოდ, ის მომართული მზაობა თავის გულში ღვთიური ხმის გაგონებისა ხსოვნადღა იქცა თანდათანობით, წარმავალი აღმოჩნდა მხოლოდ. შორით, უჩუმრად მიჩქაფუნებდა წმინდა წყარო, ოდესღაც მის სიახლოვეს რომ იყო, ოდესღაც მასში რომ მორაკრაკებდა. მართალია, ბევრი რამ, რაც მან სამანებისგან ისწავლა, გოტამასგან ისწავლა, მამისგან – ბრაჰმანისგან ისწავლა, კიდევ დიდხანს რჩებოდა მასში: ზომიერი ცხოვრება, ფიქრისგან მოგვრილი სიხარული, ჩაღრმავების წუთები, დაფარული ცოდნა თავის თავისა, მარადიული მესი, რაიც არ არის არცა სხეული, არცა გონი. ზოგიერთი რამ ამათგან დარჩა მასში, ერთი თუ მეორე კი მიინავლა და მტვრით დაიფარა. ვითარცა დაზგა მეთუნესი, ერთხელ აძრული, დიდხანს ტრიალებს და ნელად მოიღლება და შეწყვეტს ტრიალს, ასევე აგრძელებდა ტრიალს ზიდჰარტას სულში ბორბალი ასკეტობისა, ბორბალი ფიქრისა, ბორბალი გარჩევადობისა. ჯერ კიდევ ტრიალებდა იგი, თუმცა უკვე ნელა, ყოვნებით და ლამის გაჩერებულიყო კიდეც. როგორც სისველე ნელა აღწევს ხმობაშეპარულ ხის ტანში, ნელა ავსებს და ალპობს მას, ასევე შეეღწია ზიდჰარტას სულში ამქვეყნიურობასა და სიზანტეს, ნელა ავსებდნენ ისინი მის სულს, ამძიმებდნენ, ღლიდნენ და ძილს გვრიდნენ. სამაგიეროდ გრძნობები გამოცოცხლებულიყვნენ, ბევრი რამ ესწავლათ, ბევრი რამ გაეგოთ მათ.

ზიდჰარტა დაეუფლა ვაჭრობის საქმეს, სხვებზე თავის ძალაუფლების გავრცობას, დიაცებთან თავის შექცევას, ისწავლა ლამაზი ტანისამოსის ჩაცმა, მსახურთათვის ბრძანებების გაცემა, კეთილსურნელოვან წყალში ბანაობა, მიეჩვია ნაზი, გულმოდგინედ მომზადებული კერძების, მათ შორის თევზის, საქონლისა და ფრინველის ხორცის, სუნელებისა და ნუგბარების ჭამას, ისწავლა ღვინის სმაც, კაცს რომ ადუნებს და თავს ავიწყებინებს. ისწავლა, როგორ ეგორებინა კამათელი და ეთამაშა ჭადრაკი, ეცქირა მუტრიბთა ცეკვისთვის, მსახურებს ტახტრევანით ეტარებინათ, დაეძინა ფაფუკ ლოგინში. მაგრამ იგი კვლავ სხვებისგან განსხვავებულად, სხვებთან შედარებით აღმატებულად აღიქვამდა საკუთარ თავს, კვლავ მცირეოდენი ქირდვით უმზერდა მათ, მცირეოდენი გამქირდავი ზიზღით, სწორედ იმ ზიზღით, რასაც გრძნობს სამანა ერისკაცის მიმართ. ყოველთვის, როდესაც კამასვამი გულნატკენი და გაბრაზებული იყო, როდესაც იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, როდესაც თავისი ვაჭრული სადარდებლებისგან იტანჯებოდა, ქირდვით შესცქეროდა ყოველივე ამას ზიდჰარტა. მაგრამ გარდასულ ჭირნახულობისა და წვიმიანობის დროებთან ერთად ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მისუსტდა მისი

ქირდვა, მიჩუმდა აღმატებულობის შეგრძნება. ნელ-ნელა, სიმდიდრის ზრდასთან ერთად, ზიდჰარტამ თავად შეითვისა რაღაცები ბავშვადამიანთა ცხოვრების ნირიდან, რაღაცა მათი ბავშვურობიდან, რაღაცა მათი სიმხდლობიდან. და მაინც შურდა მათი; რაც უფრო ემსგავსებოდა მათ, მით მეტად შურდა მათი. შურდა მათი იმის გამო, რაც მას აკლდა და რაც მათ ჰქონდათ: იმ მნიშვნელოვნების გამო, რომლითაც ისინი თავიანთი ცხოვრების მოგვარებას ახერხებდნენ, მათი სიხარულებისა და შიშების ვნებიანობის გამო, მათი მარადიული შეყვარებულობის მხდალი, მაგრამ ტკბილი ბედნიერების გამო. თავიანთ თავში, ცოლებში, შვილებში, ცოლქმრობაში ან ფულში, გეგმებში ან იმედებში იყვნენ ეს ადამიანები განუწყვეტლივ შეყვარებულნი. მაგრამ ეს როდი შეითვისა ზიდჰარტამ მათგან, მაინცდამაინც ეს არა: ეს ბავშვური სიხარული და ბავშვური გიჟმაჟობა; მან ზუსტად ის უსიამო რამ ისწავლა მათგან, რაც თავადვე ეზიზღებოდა. ხშირად მომხდარა, რომ დილაობით, მხიარული საღამოს შემდეგ დაღლილი და გაბრუებული დიდხანს იწვა ხოლმე ლოგინში. ისეც მომხდარა, რომ გაბრაზებულა და მოთმინება დაუკარგავს, კამასვამი თავისი სადარდებლით თავს რომ მოაბეზრებდა. ისეც მომხდარა, რომ ზედმეტად ხმამაღლა უცინია, როდესაც კამათელში დამარცხებულა. მისი სახე სხვებთან შედარებით ჯერ კიდევ ჭკვიანური და გონიერი იყო, მაგრამ იშვიათად უცინოდა იგი და ერთი მეორის მიყოლებით ისეთ გამომეტყველებას იღებდა, რომელსაც კაცი ხშირად დაინახავს მდიდარი ადამიანის სახეზე: უკმაყოფილებას, უძლურებას, უხალისობას, უგუნებობას, უსიყვარულობას. თანდათან მდიდართა სულიერმა სენმა დარია ხელი ზიდჰარტას.

ვითარცა პირბადე, ვითარცა თხელი ნისლი გადაეფარებოდა ზიდჰარტას დაღლილობა: ნელ-ნელა, ყოველდღიურად უფრო სქლად, ყოველთვიურად უფრო მღვრიედ, ყოველწლიურად უფრო მძიმედ. როგორც ახალი კაბა ჟამთა სვლისას ძველდება, ხუნდება, ლაქავდება და ნაოჭდება, ქობაზე მოირღვევა და აქაიქ უშნოდ ძაფებიანი ადგილები გამოუჩნდება, ასევე დაემართა ზიდჰარტას ახალ ცხოვრებასაც, რომელიც მან გოვინდასთან განშორების მერე დაიწყო: ასაკში შევიდა, გარბენილ წლებთან ერთად დაკარგა ფერადოვნება და ბრწყინვალება, ნაოჭებითა და ლაქებით დაიფარა და ძირითადად დამალული, მაგრამ უკვე აქა-იქ საზიზღრად გამომზირალი, იმედგაცრუებისა და სიძულვილისთვის იყო განწირული. ზიდჰარტა ვერ ამჩნევდა ამას. იგი მხოლოდ იმას ამჩნევდა, რომ ის ნათელი და მტკიცე ხმა მისი სულისა, რომელმაც ოდესღაც მასში გაიღვიძა და თავისი ბრწყინვალების ჟამს მუდამ მას მიუძღოდა, დადუმებულიყო.

წუთისოფელს დაეტყვევებინა იგი: ჟინს, ავხორცობას, უხალისობას, და ბოლოს სწორედ იმ მანკს, რომელიც მას, როგორც უგუნურესი, ყველაზე მეტად სძაგდა და მუდამ აბუჩად ჰქონდა აგდებული – სიხარბეს. ბოლოს და ბოლოს საკუთრებამ, ავლა-დიდებამ და სიმდიდრემაც დაატყვევა იგი, რომლებიც თამაში და ზიზილ-პიპილები აღარ იყო მისთვის, ბორკილებად და ტვირთად ექცა მას. ამ უცნაურ და ვერაგ გზაზე კამათლის თამაშმა უკანასკნელ და უსაზიზღრეს დამოკიდებულებაში ჩააგდო ზიდჰარტა. მას შემდეგ, რაც გულში შეწყვიტა სამანად ყოფნა, გაშმაგებითა და გატაცებით დაიწყო ფულზე და ძვირფასეულობაზე თამაში, რაშიც ადრე ღიმილით, დაუდევრად თუ მონაწილეობდა, რადგან ამას ბავშვადამიანების ჩვევად მიიჩნევდა. ზაფრის მომგვრელი მოთამაშე გამოდგა იგი. ცოტანი თუ ბედავდნენ მასთან თამაშს, იმდენად მაღალ და თავხედურ ფსონებს ჩამოდიოდა. თავისი გულის ძახილით წარმართავდა იგი თამაშს. საძულველი ფულის წაგება და გაფლანგვა მძვინვარე სიხარულს ანიჭებდა მას, რამეთუ სხვა ვერანაირად ვერ გამოხატავდა ასე მკაფიოდ და აგდებულად თავის ზიზღს სიმდიდრის, ვაჭართა ამ ბომონის მიმართ. ასე თავდაუზოგავად, თავმოძულებით და თავის აგდებით იჯიბავდა ათასებს, ფანტავდა ათასებს, აგებდა ფულს, აგებდა სამკაულს, აგებდა სააგარაკო სახლს, შემდეგ კვლავ იგებდა და აგებდა კვლავ. ეს შიში, ეს საშინელი და დამთრგუნველი შიში, რომელიც კამათლის გორებისას, მაღალი ფსონის ჩამოსვლისას გრძნობდა, ეს შიში უყვარდა და სულ მუდამ ცდილობდა განეახლებინა, გაეზარდა, გაეღიზიანებინა იგი, რამეთუ ამ გრძნობაში პოულობდა რაღაცას ბედნიერებასავით, რაღაცას თრობასავით, თითქოსდა ამაღლებულ ცხოვრებას, თავის გამაძღარ, მოსაწყენ, უღიმღამო ყოფაში. ყოველი დიდი წაგების შემდეგ ახალი სიმდიდრეების მოხვეჭას იზრახავდა, მეტი გულმოდგინებით ეწეოდა ვაჭრობას, მევალეებს მეტი სიმკაცრით აიძულებდა ვალის გასტუმრებას, რამეთუ კვლავ თამაში სურდა, კვლავ ფლანგვა სურდა, კვლავ სიმდიდრისათვის თავისი სიძულვილის ჩვენება სურდა. წაგებისას უშფოთველობა დაკარგა ზიდჰარტამ, დაგვიანებული გადამხდელების მიმართ მოთმინება დაკარგა, მათხოვრების მიმართ გულკეთილობა დაკარგა, მთხოვნელებისთვის ფულის ჩუქებისა და განათხოვრების სურვილი დაკარგა. იგი,

ვინაც კამათლის ერთი გაგორებით ათიათასობით აგებდა და ამაზე ეცინებოდა, ვაჭრობისას მკაცრი და მეწვრილმანე გახდა, ხანდახან ფულს ხედავდა სიზმრად! დდა როცა კი იგი ამ საზიზღარი ჯადოსგან ფხიზლდებოდა, როცა კი საძინებელი ოთახის კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში თავის სახეს დაბერებულსა და დაუშნოებულს ხედავდა, როცა კი სირცხვილი და ზიზღი შემოაწვებოდა, გადაიხვეწებოდა იგი შორს, გადაიხვეწებოდა ახალ თამაშში, ავხორცობასა და ღვინით თრობაში, იქიდან კი კვლავ დაგროვებისა და მოხვეჭისკენ მიისწრაფოდა. ამ უაზრო წრებრუნვაში ტრიალებდა იგი ქანცგაწყვეტამდე, დაბერებამდე, დასნეულებამდე.

ერთხელ, ძილად ყოფნისას, ნიშანი მიეცა ზიდჰარტას: საღამოხანს კამალას ესტუმრა, მის მშვენიერ ბაღში, ხის ძირში ისხდნენ და საუბრობდნენ. ფიქრიანად ალაპარაკდა კამალა. სევდა და დაღლილობა იმალებოდა მისი სიტყვების უკან. სთხოვა ზიდჰარტას, გოტამაზე მოეთხრო. უსმენდა და ვერ ძღებოდა გაგონილით, თუ რა სუფთა იყო გოტამას თვალები, რა წყნარი და ლამაზი მისი ტუჩები, რა კეთილი მისი ღიმილი, რა მშვიდობიანი მისი სიარული. დიდხანს აყოლინებდა იგი ზიდჰარტას ბუდას შესახებ. შემდეგ ამოიოხრა კამალამ და თქვა: ერთხელაც, იქნებ სულ მალე, მეც ბუდას გავყვები. ჩემს ბაღს ვაჩუქებ მას და მის სწავლებაში ვპოვებ თავშესაფარს.

შემდეგ ალერსი დაუწყო ზიდჰარტას, სასიყვარულო თამაშისას ტკივილიანი გზნებით, ტუჩების კვნეტით და თვალცრემლიანმა მიიკრა იგი, თითქოსდა სურდა კიდევ ერთხელ წარმავალი და ამაო ჟინიდან სიტკბოების უკანასკნელი წვეთები გამოეწურა. არასდროს ასე უცნაური სიცხადით არ დაუნახავს ზიდჰარტას, თუ რა ახლოა ხორციელი ტკბობა სიკვდილთან. ზიდჰარტა გვერდით მიუწვა კამალას, ისე რომ იქვე ხედავდა ქალის პირისახეს და მისი თვალების ქვეშ და ტუჩის კუთხეში, აშკარად, ისე როგორც ჯერ არასდროს თვალი მოჰკრა მფრთხალ ნაწერს, ნატიფი ხაზებით, ჩუმი ხვეულებით ნაწერს, რომელიც შემოდგომასა და სიბერეს აგონებდა ისევე, როგორც მისსავე – ზიდჰარტას შავ თმაში აქა-იქ გამორეული ჭაღარა, თუმცა ჯერ მხოლოდ ორმოციოდე წლის იყო იგი. დაღლილობა ეწერა ლამაზ სახეზე კამალას, დაღლილობა უსიხარულო მიზნისაკენ გრძელ გზაზე სიარულისა, დაღლილობა, დაწყებული ჭკნობა და ფარული, ჯერ ართქმული, ალბათ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი შიში: შიში სიბერისა, შიში შემოდგომისა, შიში სიკვდილის გარდუვალობისა. ოხვრით დაემშვიდობა ზიდჰარტა კამალას, სულს სავსეს უხალისობით, სავსეს მალული შიშით.

ღამე თავის სახლში მუტრიბებთან ერთად, ღვინის სმაში გაატარა ზიდჰარტამ. თავისი წოდების ხალხთან აღმატებულად ეჭირა თავი, თუმცა აღარ იყო იგი ასეთი. ბევრი ღვინო დალია და შუაღამე გადასული იყო, სარეცელს რომ მიაშურა. დაღლილი, მაგრამ აღგზნებული, ქვითინთან და სასოწარკვეთილებასთან სულ ახლოს მყოფი, დიდხანს ამაოდ ცდილობდა დაძინებას. გული ისე ჰქონდა ბოღმით სავსე,ეეგონა გაუსკდებოდა. გული ისე ჰქონდა ზიზღით სავსე თბილი გულისამრევი გემოს ღვინისაგან, მეტისმეტად ტკბილი და მოსაწყენი მუსიკისაგან, მუტრიბთა ნაზი ღიმილისაგან, მათი თმებისა და ძუძუების მეტისმეტად ტკბილი სურნელისაგან, რომ ლამის წაელეკა ამ გრძნობას. მაგრამ ყველაფერზე მეტად საკუთარი თავი ეზიზღებოდა ზიდჰარტას, თავის თმის სურნელი, ღვინის სუნი პირში, თავისი დუნე დაღლილობა და კანის უგრძნობელობა. კაცი მეტისმეტად ბევრს რომ შეჭამს ან დალევს და მერე ყველაფერს ტანჯვა-წვალებით ამოაღებინებს და გახარებულია, შვება რომ იგრძნო, ასევე ნატრობდა ძილგამტყდარი ზიდჰარტა ზიზღის ამ შემზარავ ნიაღვარში სიამეებს, ამ უაზრო ცხოვრების წეს-ჩვეულებებსა და საკუთარ თავს განშორებოდა. მხოლოდ გამთენიისას, თავისი სახლის წინ ქუჩა საქმიანად რომ ახმაურდა, ჩათვლიმა, რამდენიმე წამით გაყუჩდა, რაღაც ძილის მაგვარი მოერია და სწორედ ამ წამს იხილა მან სიზმარი: კამალას ერთი პატარა, იშვიათი მგალობელი ჩიტი ჰყავდა ოქროს გალიაში. სწორედ ეს ჩიტი ესიზმრა ზიდჰარტას. ესიზმრა, დადუმებულიყო ჩიტი, რომელიც დილაობით გალობდა მუდამ, და რა შეამჩნია ეს, მიუახლოვდა გალიას და შიგ შეიხედა. მკვდარი იყო პაწია ჩიტი, გალიაში ეგდო გაშეშებული. გამოიყვანა იგი გალიიდან. ჩიტით ხელში, ერთი წამი მხოლოდ აწონ-დაწონა, როგორ მოქცეულიყო და მერე შორს, ქუჩაში მოისროლა იგი. იმავე წამს საზარელმა შიშმა დაუარა და გულში ტკივილი იგრძნო, თითქოსდა ყველაფერი ფასეული და ყველა სიკეთე ამ მკვდარ ჩიტთან ერთად მოესროლოს.

შემკრთალი გამოერკვა სიზმრიდან ზიდჰარტა, გრძნობდა, როგორ მოეცვა მთელი მისი არსება ღრმა ნაღველს. ასე ეჩვენებოდა, უაზროდ და უვარგისად გაეტარებინა თავისი ცხოვრება. არაფერი ცოცხალი, არაფერი ძვირფასი

ან დასამახსოვრებელი არ შერჩენოდა ხელთ. მარტოდმარტო, არაფრის მქონე იდგა იგი, ვითარცა ზღვაში ჩაძირული გემიდან ნაპირზე გარიყული მგზავრი.

მოქუფრული გაემართა ზიდჰარტა თავისი გასართობი ბაღისკენ, ჩაკეტა ჭიშკარი და მანგოს ხის ძირში ჩამოჯდა. გულში შიშსა და ძრწოლას გრძნობდა და ხვდებოდა, რომ სიცოცხლე ჭკნებოდა, კვდებოდა მასში, დასასრულისკენ მიექანებოდა. თანდათანობით მოიკრიბა აზრები და გონებაში მთელ თავის განვლილ ცხოვრებას გადახედა იმ პირველი დღიდან, რომლის მოგონებაც კი შეეძლო.

მაინც როდის განიცადა მან ბედნიერება, როდის იგრძნო ჭეშმარიტი ნეტარება? ოჰ კი, ბევრჯერ განუცდია მას ასეთი რამ, თავის ბიჭობაში, როდესაც ბრაჰმანებისგან ქება დაუმსახურებია, ანდა ტოლებთან შედარებით ბევრად მეტის მცოდნეს თავი გამოუჩენია წმინდა ლექსების ზეპირად წარმოთქმით, სწავლულებთან პაექრობისას, მსხვერპლშეწირვის დროს დახმარებისას. მაშინ კი უგრძნია თავის გულში: აი, გზა დევს შენ წინ, რომელზე სავალადაც შენ ხარ მოწოდებული, ღმერთები გელიან შენ. ყყმაწვილკაცობაშიც, როდესაც სულ უფრო ზემოთ აღმავალმა მიზანმა ყოველივეზე ფიქრისა, იმავე მიზნისაკენ მიმავალთა გუნდისგან გამოარჩია იგი, როდესაც ტკივილით ეძებდა ბრაჰმანის არსს, როდესაც ყოველი მიღწეული მიზანი მხოლოდ ახალ წყურვილს ბადებდა, სწორედ მაშინ, შუაგულ წყურვილში, შუაგულ ტკივილში ისევ იგივეს გრძნობდა იგი: წინ! წინ! შენ მოწოდებული ხარ! ამ ხმას მიუგდო მან ყური, როდესაც სამანას ცხოვრება არჩია, როდესაც სამანებისგან შორს, სრულქმნილთან და მერეც, როდესაც მისგან შორს, გაურკვევლობაში გაემართა. რამდენი ხანია, მას ეს ხმა არ გაეგონა, რამდენი ხანია სიმაღლისთვის აღარ მიეღწია, რა სწორ და უდაბურ გზას მიუყვებოდა იგი, მრავალი გრძელი წელი, მაღალი მიზნის გარეშე, წყურვილის გარეშე, ამაღლების გარეშე, მცირე სიამეებით კმაყოფილი, მაგრამ მაინც ვერასდროს კმარი! მთელი ეს წლები, ისე რომ თავადაც ვერ ხვდებოდა, მხოლოდ იმისთვის ირჯებოდა, იმას ნატრობდა, ისეთივე ადამიანი გამხდარიყო, როგორც სხვა დანარჩენი, როგორც ეს ბავშვები, მაგრამ მისი ცხოვრება ბევრად საწყალობელი, ბევრად ღარიბი აღმოჩნდა, რამეთუ მათი მიზნები თუ სადარდებლები არ ჰგვანდნენ მისას, მთელი ეს სამყარო კამასვამი-ადამიანებისა მისთვის თამაშს წარმოადგენდა, ცეკვას, რომელსაც უცქერდა, კომედიას ოდენ. ერთადერთი კამალა უყვარდა, მხოლოდ ის იყო ძვირფასი მისთვის, მაგრამ იყო კი კიდევ? სჭირდებოდა კიდევ მას იგი ან პირიქით? ხომ არ თამაშობდნენ ისინი თამაშს, რომელსაც დასასრული არ აქვს? ღირდა კი ამისთვის სიცოცხლე? არა, არ ღირდა! ამ თამაშს სანსარა ერქვა, ეს თამაში ბავშვებისთვის იყო მოგონილი, იქნებ გატაცებით სათამაშოდაც ერთხელ, ორჯერ, ათჯერ – მაგრამ სულ? სულ მუდამ?

უკვე იცოდა ზიდჰარტამ, დასასრულს უახლოვდებოდა თამაში, მეტი აღარ შეეძლო მას თამაში. ჟრჟოლამ დაუარა სხეულში, სულში. გრძნობდა რაღაცა მომკვდარიყო მასში.

მთელი დღე მანგოს ხის ძირში გაატარა, მამას იხსენებდა, გოვინდას იხსენებდა, გოტამას იხსენებდა. ნუთუ ისინი უნდა მიეტოვებინა, რომ ვიღაც კამასვამი გამხდარიყო? ღამე ჩამოწვა, იგი კვლავ ხის ძირში იჯდა.გღამის ცაში ვარსკვლავებს ახედა და გაიფიქრა: აი, ჩემი მანგოს ხის ძირში, ჩემს ბაღში ვზივარ მე.

ჩაეღიმა: იყო კი აუცილებელი, იყო კი სწორი, არ იყო განა სიგიჟე, რომ მას საკუთარი მანგოს ხე და საკუთარი ბაღი ჰქონდა?

მორჩა ამასაც, ესეც მოკვდა მასში. წამოდგა, დაემშვიდობა მანგოს ხეს, დაემშვიდობა ბაღს. ძალიან მოშიებოდა მთელი დღის უჭმელს. მოაგონდა ქალაქის სახლი, თავისი ოთახი, საწოლი, მაგიდა და საჭმელი. გაეღიმა დაღლილად, შეიბერტყა მხრები და დაემშვიდობა მათაც.

იმავე ღამეს დატოვა ზიდჰარტამ თავისი ბაღი, დატოვა ქალაქი და აღარასოდეს მობრუნებულა უკან. დიდხანს ეძებდა მას კამასვამი.ეეგონა, ყაჩაღებს ჩაუვარდათო ხელთ ზიდჰარტა. კამალას არც უცდია მისი მოძებნა. არც კი გაკვირვებია, ზიდჰარტას გაუჩინარება რომ შეიტყო. სულ ამას არ მოელოდა იგი? განა სამანა არ იყო ზიდჰარტა, ერთი უთვისტომო პილიგრიმი? ყველაზე კარგად ქალმა ეს მათი უკანასკნელი შეხვედრისას იგრძნო და მიუხედავად დანაკარგით გამოწვეული ტკივილისა, უხაროდა, რომ ბოლოჯერ მაინც ღმად ჩაიკრა იგი გულში, კიდევ ერთხელ იგრძნო, სრულიად შეპყრობილი, სრულიად განწონილი რომ იყო მისგან.

როდესაც ზიდჰარტას გაუჩინარების ამბავი შეიტყო, მივიდა სარკმელთან, სადაც ოქროს გალიაში იშვიათი მგალობელი ჩიტი ჰყავდა. გამოაღო გალიის კარი, გამოიყვანა ჩიტი და გაუშვა. დიდხანს შესცქეროდა გაფრენილ ჩიტს. ამ დღის მერე ჩაიკეტა იგი სახლში და აღარასოდეს მიუღია სტუმარი. ცოტა დრო იყო გასული ამ დღიდან, როდესაც იგრძნო, რომ ზიდჰარტასთან უკანასკნელი შეხვედრისას დაორსულებულიყო.

მდინარესთან

ტყეში მიაბიჯებდა ზიდჰარტა, უკვე შორს იყო ქალაქიდან და ერთადერთი ის იცოდა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა უკან, რომ ცხოვრება, როგორსაც იგი მრავალი წელი ეწეოდა, ჩავლილი და დასრულებული და გულის არევამდე ნაგემი და გამოწოვილი იყო. მკვდარი იყო ჩიტი, რომელიც მას ესიზმრა. მკვდარი იყო ჩიტი მის გულში. ღრმად იყო იგი სანსარაში ჩათრეული, ზიზღი და სიკვდილი შეეწოვა მას ყოველი მხრიდან, ისევე როგორც ღრუბელი იწოვს წყალს სანამ მთლიანად არ გაიჟღინთება. გაჟღენთილი იყო იგიც მოყირჭებით, გაჟღენთილი უბედურებით, გაჟღენთილი სიკვდილით, აღარაფერი მოიძევებოდა ამქვეყნად ისეთი, რასაც მისი დატყვევება, რასაც მისი გახარება, რასაც მისი ნუგეში შეეძლო. სურვილი წვავდა, თავი დაევიწყებინა, დამშვიდებულიყო, მკვდარი ყოფილიყო. მეხი დასცემოდა და გაეთავებინა! ვეფხვი მოსულიყო და შეესანსლა იგი. ღვინო ან შხამი ჰქონოდა, რომელიც გააბრუებდა, ყველაფერს დაავიწყებდა, დააძინებდა და აღარასოდეს გააღვიძებდა. არსებობდა კი ისეთი წვირე, რომლითაც არ გასვრილიყოს, ისეთი ცოდვა, ისეთი სიგიჟე, მას არ ჩაედინოს, ისეთი სულის სიცარიელე, რომლითაც მთელი თავისი არსება არ დაემუხტოს? იყო კი შესაძლებელი, კიდევ რომ ეცოცხლა? იყო კი შესაძლებელი, კიდევ და კიდევ ჩაესუნთქა და ამოესუნთქა, შიმშილი ეგრძნო, ეჭამა, კვლავ დასძინებოდა, კვლავ წოლილიყო ქალთან? არ იყო, ნეტავ, ეს წრებრუნვა მისთვის ამოწურული და დასრულებული?

ტყეში დიდ მდინარეს მიაღწია ზიდჰარტამ, იმავე მდინარეს, რომელზეც მებორნემ გადაიყვანა, როდესაც იგი, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი გოტამას ქალაქიდან მოდიოდა. მდინარესთან შეჩერდა და დადგა ასე მოჭოჭმანე მის ნაპირას. დაქანცულობასა და შიმშილს დაეუძლურებინა იგი. რისთვისღა უნდა განეგრძო გზა, მაინც საითკენ, რომელი მიზნისკენ? არა, აღარ არსებობდა მიზანი, აღარაფერი არსებობდა გარდა ღრმა, მტანჯავი ნატვრისა, ეს ტიალი სიზმარი ჩამოეფერთხა, ეს წამხდარი ღვინო ამოენთხია, ამ საცოდავი და სამარცხვინო ცხოვრებისთვის ბოლო მოეღო.

ნაპირიდან მდინარეზე ხე გადაწოლილიყო, ქოქოსის ხე, მის ტანს მხრით მიეყრდნო ზიდჰარტა, ხელი შემოხვია და მწვანე წყალს ჩახედა, მის ქვემოთ რომ მიედინებოდა და მიედინებოდა, იცქირებოდა ქვემოთ და გრძნობდა, როგორ ივსებოდა სურვილით, ხელი გაეშვა ხისთვის და წყალში ჩაძირულიყო. წყლიდან შემაძრწუნებელი სიცარიელე შემოდიოდა ზიდჰარტაში, რომელსაც მის სულში დაბუდებული საშინელი სიცარიელე ეგებებოდა. დიახ, თავის აღსასრულს უახლოვდებოდა იგი. აღარაფერი არსებობდა მისთვის გარდა იმისა რომ ჩაეკლა თავისი არსება, დაემსხვრია ეს თავისი უხეიროდ ნაგები ცხოვრება და ნამსხვრევები ფერხთით მიეყარა ახარხარებული ღმერთებისთვის. სიკვდილი, მისთვის საძულველი ფორმის მსხვრევა – აი ამათ ამონთხევას ნატრობდა იგი. დაე, თევზებს შეეჭამათ იგი, ეს ძაღლი ზიდჰარტა, ეს შეშლილი, ეს გახრწნილი და დამპალი სხეული, ეს დაღლილი და წარყვნილი სული! დაე, თევზებსა და ნიანგებს შეესანსლათ, დემონებს დაენაკუწებინათ იგი! სახემოჭმუხნული ჩაშტერებოდა იგი წყალს, ხედავდა მასში არეკლილ საკუთარ სახეს და აფურთხებდა მას. სრულიად ძალაგამოცლილმა შეუშვა ხელი ხეს, ოდნავ მოტრიალდა, რათა შვეულად ჩავარდნილიყო და დამხრჩვალიყო ბოლოს და ბოლოს. თვალდახუჭული ეშვებოდა იგი სიკვდილთან შესახვედრად.

და სწორედ ამ დროს მისი სულის მიყრუებული კუნჭულებიდან, მისი დაქანცული ცხოვრების წარსულიდან რაღაც ხმა გამოკრთა. ეს იყო სიტყვა, მარცვალი, რომელიც დაუფიქრებლად, ენის ბორძიკით წარმოთქვა, ყველა ბრაჰმანული ლოცვის საწყისი და სასრული სიტყვა – წმინდა ომ, რაც სრულქმნილს ან სრულქმნილებას ნიშნავს.

და რა წამს, სიტყვა ომ ყურთ ესმა ზიდჰარტას, მყის გაიღვიძა მისმა ჩათვლემილმა გონმა და თავისი ქმედების სიშლეგე შეიცნო.

ძლიერ შეშინდა ზიდჰარტა. ნუთუ ისე იყო მისი საქმე, ისე თავდაკარგული, გზააბნეული, ყოველგვარი ცოდნისგან მიტოვებული, რომ შეეძლო სიკვდილი ეძებნა. ნუთუ იმდენად დიდი გამხდარიყო ეს სურვილი, ეს ბავშვური სურვილი სიმშვიდის პოვნისა, რომ შეეძლო თავისი სხეული ჩაექრო. რაც აბოლო დროის ყველა წამებამ, ყველა იმედის გაცრუებამ და სასოწარკვეთილებამ ვერ აღძრეს მასში, ამ ერთმა წამმა შესძლო იგი, რამეთუ ომმა შეაღწია მის შეგნებაში: მან თავი შეიცნო თავის უბედურებაში და თავის შეშლილობაში.

ომ!– წარმოთქვა მან, – ომ! და კვლავ იცოდა ის, რაც დავიწყებული ჰქონდა: ცოდნა ბრაჰმანისა, ცოდნა სიცოცხლის უმსხვრევობისა, ცოდნა ყოველივე ღვთიურისა.

ერთი წამი, ერთი გაელვება იყო ეს მხოლოდ. ქოქოსის ხის ძირში დაეშვა იგი, დაღლილობისგან ფეხზე ვეღარ მდგომმა, ომის მობუტბუტემ თავი ხის ფესვზე მიდო და ღრმა ძილს მიეცა.

ღრმა და სიზმრებისგან თავისუფალი იყო მისი ძილი. არც კი ახსოვდა, ბოლოს როდის ეძინა ასე. რამოდენიმე საათის მერე რომ გამოეღვიძა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ათი წელი გასულიყოს, ესმოდა მდინარის წყნარი შხუილი და ვერც კი იხსენებდა, სად იყო ან ვინ მოიყვანა იგი აქ. გაახილა თვალები, გაოცებით ახედა ხესა და ცას და გაახსენდა, სად იყო და როგორ მოვიდა აქ, თუმცა კარგა ხანი დასჭირდა მას ამისთვის. ხოლო წარსულს თითქოსდა ფარდა ჩამოფარებიაო, ისე უსასრულოდ შორი, უსაზღვროდ უმნიშვნელო ეჩვენებოდა იგი. მხოლოდ ის იცოდა, რომ თავისი ადრინდელი ცხოვრება (პირველსავე წამს გონზე მოსვლისა ეს ადრინდელი ცხოვრება შორს მოტოვებულად, ოდინდელ ხორცშესხმად, თავისი ახლანდელი მეს წინარედაბადებად მოეჩვენა.) მიეტოვებინა და ზიზღით, უბედურებით აღსავსეს ამ სიცოცხლის შორს მოსროლა სურდა, და რომ მდინარის პირას, ქოქოსის ხის ძირას გონს მოგებულიყო: ბაგეებზე წმინდა სიტყვით ომ ჩაეთვლიმა, ახლა კი ახალ ადამიანად გამოღვიძებული შესცქეროდა სამყაროს. ჩუმად წარმოთქვამდა სიტყვას ომ და ისე ეჩვენებოდა, რომ მთელი მისი ხანგრძლივი ძილი სხვა არა იყო რა, თუ არა ჩაღრმავებით ომის თქმა, ომ-ზე ფიქრი, ომ-ში ჩაღრმავება და სრული შეღწევა მასში, სრულქმნილში, რომლისაც არ ითქმის სახელი.

მაინც რა საოცარი ძილი იყო! არასოდეს იგი ძილს ასე არ გამოუცოცხლებია, ასე არ გაუხალისებია, ასე არ გაუახალგაზრდავებია! იქნებ მართლა მოკვდა იგი, წყალმა წაიღო და ახალი სახით კვლავ დაიბადა? მაგრამ არა, ის ცნობდა თავის თავს, თავის ხელებსა და თავის ფეხებს, ცნობდა ადგილს, სადაც იწვა, ცნობდა ამ მეს თავის მკერდში, ამ ზიდჰარტას, ჯიუტსა და უცნაურს. მაგრამ გარდაქმნილი იყო ეს ზიდჰარტა, განახლებული იყო, საოცრად გამოძინებული იყო, საოცრად ფხიზელი, მხიარული და ცნობისმოყვარე.

ზიდჰარტა წამოიმართა და ადამიანი დაინახა მის წინ მჯდომარე, უცხო კაცი, ბერი, ყვითელ სამოსში, თავგადაპარსული, ფიქრის მდგომარეობაში. მან შეათვალიერა ეს უთმო და უწვერო კაცი. ერთი შეხედვით შეიცნო მან ბერში გოვინდა, თავისი ყრმობის მეგობარი, რომელმაც თავშესაფარი ჰპოვა ამაღლებულ ბუდასთან. დაბერებულიყო იგიც, მაგრამ მის სახეს ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ძველ იერი, რომელიც გულმოდგინებას, ერთგულებას და სიმხდალეს მეტყველებდა. მაგრამ როდესაც გოვინდამ მისკენ მიმართული მზერა იგრძნო, თვალები გაახილა და მას შეხედა, მიხვდა ზიდჰარტა, რომ გოვინდამ ვერ იცნო იგი. გოვინდას გაუხარდა, რა დაინახა იგი მღვიძარე. ეტყობოდა, დიდი ხანი გასულიყო, რაც აქ იჯდა და ზიდჰარტას გამოღვიძებას ელოდებოდა, თუმცა არც კი იცნობდა მას.

მე მეძინა, – თქვა ზიდჰარტამ, – კი მაგრამ, შენ აქ როგორ მოხვდი?

შენ გეძინა, – უპასუხა გოვინდამ, – არ ვარგა ასეთ ადგილას ძილი, სადაც გველი იცის და ტყის ნადირებსაც თავიანთი ბილიკები გაუკვალავთ. მე, ჩემო ბატონო, ერთი მოწაფეთაგანი ვარ ამაღლებული გოტამასი, ბუდასი, საკიამუნისა. რამდენიმე ჩემიანთან ერთად ამ გზას ვადექი მოსალოცად მიმავალი, როდესაც შენ დაგინახე მძინარე აქ, სადაც სახიფათოა ძილი. ვეცადე შენს გაღვიძებას, ბატონო, მაგრამ ღრმად გეძინა, მეც ჩამოვრჩი ჩემიანებს და შენ დაგიჯექი. მერე, როგორც ჩანს, მე თავადაც ჩამეძინა, თუმცა შენი ძილისთვის ვაპირებდი

დარაჯობას. ცუდად შევასრულე მე ჩემი სამსახური, დაღლილობამ მძლია. ახლა კი, რახან გღვიძავს უკვე, მომეცი ნება წავიდე, რათა დავეწიო ჩემს ძმებს.

მადლობელი ვარ შენი, სამანავ, ჩემს ძილს რომ გაუფრთხილდი – თქვა ზიდჰარტამ – გულითადები ხართ თქვენ, ამაღლებულის შეგირდები. ახლა კი წადი, თუკი ასე გსურს.

წავალ მე, ბატონო. დაე, ჯანმრთელად იყოს მუდამ ბატონი.

გმადლობ, სამანავ.

გოვინდამ დამშვიდობების ნიშანი მისცა ზიდჰარტას და თქვა: მშვიდობით მშვიდობით, გოვინდა,– თქვა ზიდჰარტამ. ბერი შედგა.

დამრთე ნება, ბატონო, გკითხო, საიდან იცი ჩემი სახელი?

გაეღიმა ზიდჰარტას.

მე გიცნობ შენ, ო გოვინდა, მამაშენის ქოხიდან, ბრაჰმანთა სკოლიდან და მსხვერპლშეწირვიდან, ჩვენი სამენებთან წასვლიდან და იმ საათიდან, როდესაც ჯეტავანას ბაღში ამაღლებულთან თავშესაფარი მიიღე.

შენ ზიდჰარტა ხარ! – წამოიძახა გოვინდამ. – ახლა კი გცნობ და ვერ გამიგია, მაშინვე როგორ ვერ შევძელ შენი ცნობა. კეთილი იყოს შენთან შეხვედრა, ზიდჰარტა, დიდია ჩემი სიხარული კვლავ შენი ნახვისა.

მეც მახარებს შენთან შეხვედრა. შენ დარაჯი იყავ ჩემი ძილისა, რისთვისაც გმადლობ კიდევ ერთხელ, თუმცა არ ვსაჭიროებდი მე დარაჯს. საით გაგიწევია, მეგობარო?

არსაით, მუდამ, სანამ წვიმების დრო დადგება, ვყარიბობთ ჩვენ, ბერები. ერთი ადგილიდან მეორისკენ მივიწევთ მუდამ, ვცხოვრობთ ჩვენი წესებით, ვღაღადებთ სწავლებას, ვიღებთ მოწყალებას და მერე ვაგრძელებთ ისევ გზას, ასეა ეს მუდამ. შენ კი, ზიდჰარტა, შენ საითღა გაგიწევია?

თქვა ზიდჰარტამ: ჩემი საქმეც ისეა, როგორც შენი. არსაით მივდივარ . მხოლოდ გზას ვადგავარ, სალოცავად დავიარები. თქვა გოვინდამ: შენ ამბობ რომ სალოცავად დაიარები და მე მჯერა შენი. მაგრამ, შემინდე, ო ზიდჰარტა, მომლოცველს არ ჰგავხარ შენ. მდიდარი კაცის კაბა გმოსავს, წარჩინებულის ფეხსაცმელი გაცვია, შენი თმა კი, რომელსაც კეთილსურნელოვანი წყლის სუნი ასდის, არ არის პილიგრიმის, სამანას თმა.

მართალია, ძვირფასო, კარგად შეამჩნიე, ყველაფერს ხედავს შენი მახვილი თვალი. თუმცა არ მითქვამს მე შენთვის, სამანა ვარ-თქო. მე ვთქვი: სალოცავად დავიარები. და ეს ასეა: მე დავიარები სალოცავად.

შენ სალოცავად დაიარები, – თქვა გოვინდამ, – მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაიარება სალოცავად ამნაირ სამოსში, ცოტა ვინმე ამნაირ ფეხსაცმელებში, ცოტა ვინმე ამნაირი თმით. მრავალი წელია, სალოცავად დავდივარ და ჯერ არ შემხვედრია ამგვარი მომლოცველი.

მე მჯერა შენი, გოვინდა. მაგრამ დღეს, ახლა შეხვდი შენ ამგვარ მომლოცველს, ამნაირ ფეხსაცმელში, ამნაირი სამოსით. გახსოვდეს, ძვირფასო: წარმავალია სახებათა სამყარო, წარმავალი, უაღრესად წარმავალი ჩვენი სამოსი, ჩვენი თმის მორთულობა და თავად ჩვენი თმა და სხეული. მე მდიდრული ტანისამოსი მაცვია, შენ სწორად შეამჩნიე. მე ასე მაცვია, რადგან მდიდარი ვიყავ, და ვარცხნილობასაც ისეთი მაქვს, როგორიც ერისკაცებს და ავხორცებს აქვთ, რამეთუ ერთი იმათგანი ვიყავ მე.

ახლა, ახლა კი რა ხარ შენ, ზიდჰარტა?

არ ვიცი, მეც ისევე ცოტა ვიცი, როგორც შენ. მე გზაში ვარ. მე მდიდარი ვიყავი და აღარ ვარ; და არ ვიცი, ხვალ რა ვიქნები.

შენ დაკარგე შენი სიმდიდრე?

მე დავკარგე ის, ანდა მან მე. სწრაფად ტრიალებს სახეებათა ბორბალი, გოვინდა. სად არის ბრაჰმანი ზიდჰარტა? სად არის სამანა ზიდჰარტა? სად არის მდიდარი ზიდჰარტა? სწრაფად იცვლება ყოველივე წარმავალი, გოვინდა, იცი ეს შენ.

დიდხანს შესცქეროდა ეჭვის თვალით გოვინდა თავის სიყრმის მეგობარს. შემდეგ თავი დაუკრა, როგორც წარჩინებულის წინაშე აკეთებენ ხოლმე ამას და წავიდა თავის გზაზე.

ზიდჰარტამ ღიმილით გააყოლა თვალი გოვინდას, მას კიდევ უყვარდა იგი, ეს ერთგული, ეს მხდალი კაცი. ანდა, როგორ არ უნდა ჰყვარებოდა ვინმე ან რამე, ამ წამს, ამ დიდებულ წამს საოცარი ძილის მერე ომისგან განწონილს! მთელი ხიბლი იმისა, რაც მას ძილში ომისგან ეწვია, ხომ იმაში მდგომარეობდა, რომ მას ყველაფერი უყვარდა, რომ ყველაფრის მიმართ, რასაც ხედავდა, სიხარულიანი სიყვარულით იყო აღსავსე.

მომღიმარი გასცქეროდა მიმავალ ბერს ზიდჰარტა. ძილმა მოაღონიერა იგი, მაგრამ შიმშილი ტანჯავდა, რადგან ორი დღე არაფერი ეჭამა და მას შემდეგაც დიდი დრო იყო გასული, როცა მედგრად უხვდებოდა შიმშილს. დარდნარევი სიცილით გაიხსენა ის დრო. მაშინ, როგორც მას ახსოვდა, სამი რამით მოიწონა თავი კამალას წინაშე, სამი კეთილშობილური და დაუძლეველი ხელოვნების ფლობით: მარხვით, ლოდინით, ფიქრით. ეს იყო მისი ქონება, მისი ძალაუფლება, მისი ღონიერება, მისი მტკიცე კვერთხი. თავისი ახალგაზრდობის ბეჯით და მომქანცველ წლებში ეს სამი რამ ისწავლა მან, სხვა არაფერი. აახლა კი მიეტოვებინათ მათ ზიდჰარტა, ერთი მათგანიც კი აღარ იყო მისი: არც მარხვა, არც ლოდინი, არც ფიქრი. ყველაზე დიდ უბედურებაზე გაეცვალა ზიდჰარტას ისინი, ყველაზე წარმავალზე: გრძნობიერ სიამოვნებაზე, კეთილდღეობაზე, სიმდიდრეზე! მართლაც უცნაურად წასვლოდა მას საქმეები. და ახლა, ასე ეჩვენებოდა, მართლა ბავშვიადამიანი გამხდარიყო იგი.

ზიდჰარტა დიდხანს უფიქრდებოდა თავის მდგომარეობას. უჭირდა ფიქრი, კაცმა რომ თქვას, არც კი ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ მაინც აძალებდა თავს.

ახლა ფიქრობდა იგი: როცა ყოველივე წარმავალი ისევ განმშორდა, ისევ ვდგავარ მე მზის ქვეშ, როგორც ერთხელ ბავშვობისას ვიდექი, არაფერია ჩემი, არაფერი შემძლებია, არაფრის უნარი მქონია, არაფერი მისწავლია. რა საოცარია! ახლა, როცა აღარც ნორჩი ვარ, თმა ნახევრად გამიჭაღარავდა და უკვე ძალაც მღალატობს, ახლა ვიწყებ ისევ თავიდან, ბავშვობიდან ყველაფერს! დაღმა წასვლოდა საქმე და ახლა კვლავ ცარიელი, შიშვლად და სულელურად იდგა იგი ამქვეყნად. მაგრამ წუხილს ვერ გრძნობდა იგი ამის გამო, წუხილს კი არა, დიდად ეწადა, რომ ეცინა: ეცინა საკუთარ თავზე, ეცინა ამ უცნაურ, გადარეულ სამყაროზე.

დაღმა მიდის ჩემი საქმე, – თქვა მან თავისთვის და გაეცინა თავის ნათქვამზე. როცა ამას ამბობდა, ჰკიდა თვალი მდინარეს. ხედავდა, მდინარეც დაღმა მიდიოდა, მუდამ დაღმა მიეხეტებოდა, მომღერალი და მხიარული. მოსწონდა კიდეც ეს ზიდჰარტას: გულიანად შეჰღიმოდა იგი მდინარეს. ეს ის მდინარე არ იყო, რომელშიც ერთხელ, ასობით წლის წინ, თავის დახრჩობა სურდა, თუ ესიზმრა ეს ამბავი მას?

მართლაც საკვირველი იყო ჩემი ცხოვრება, საკვირველ გზებზე მატარა მან. პატარაობისას მხოლოდ ღმერთებთან და მსხვერპლშეწირვასთან მქონდა საქმე. სიყმაწვილისას ასკეტობას, ფიქრს და ჩაღრმავებას მივდევდი, ბრაჰმანის ძიებაში ვიყავ, მარადიულს ვეთაყვანებოდი ატმანში. ახალგაზრდობისას მონანიეებს მივყვებოდი, ტყეში ვცხოვრობდი, ყინვასა და ხვატში ვიტანჯებოდი. შიმშილს ვსწავლობდი და ხორცს ჩემსას ვასწავლიდი, ჩამკვდარიყო. მერე კი ვითარცა სასწაული მოვიდა ცოდნა დიადი ბუდას მოძღვრებისა. ვგრძნობდი, თუ როგორ მიმოიქცეოდა ჩემში ცოდნა სამყაროს ერთიანობისა ვითარცა საკუთარი სისხლი. მაგრამ განვშორდი ბუდასაც და დიდ ცოდნასაც. წავედი და კამალასგან სასიყვარულო სიამეები ვისწავლე, კამასვამისთან ვაჭრობა ვისწავლე, მოვიხვეჭე ფული, გავფლანგე ფული, კუჭის პატივისცემა ვისწავლე და გრძნობებთან პირფერობა ვისწავლე. და მრავალი წელი უნდა მეცხოვრა ასე, რომ გონი დამეკარგა, ფიქრს რომ გადავჩვეოდი, ერთიანობა რომ დამევიწყებინა. განა ეს ასე არ არის, თითქოსდა ნელ-ნელა და შორ გზებზე სიარულისგან კაცი ბავშვად ქცეულიყოს, მოაზროვნე კი ბავშვადამიანად? და მაინც ძალიან კარგი იყო ეს გზა, და მაინც არ მომკვდარა ჩიტი ჩემს გულში. მაინც რა გზა იყო! ბევრი სისულელე, ბევრი ცოდვა, ბევრი შეცდომა, ბევრი საზიზღრობა, იმედგაცრუება და უბედურება უნდა მეგემა, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, კვლავ ბავშვად რომ ვქცეულიყავი და ცხოვრების თავიდან დაწყება შემძლებოდა. მაგრამ ხომ მართლაც ასე იყო ეს, ჩემი გული ეთანხმება ამას, ჩემი

თვალები იცინიან ამაზე. სასოწარკვეთილება უნდა განმეცადა, ყველაზე შლეგურ ფიქრებამდე, თვითმკვლელობის ფიქრებამდე უნდა დავშვებულიყავი, წყალობა რომ მიმეღო, კვლავ ომ რომ მომესმინა, კვლავ ნამდვილად დაძინება და ნამდვილად გაღვიძება შემძლებოდა, ბრიყვად უნდა ვქცეულიყავი, კვლავ ატმან რომ მეპოვა, უნდა შემეცოდა, კვლავ ცხოვრება რომ შემძლებოდა. კიდევ საით წამიყვანს ჩემი გზა? გიჟურია ეს ჩემი გზა, დაკლაკნილად მიდის იგი, შეიძლება წრეზეც კი ტრიალებს. დაე წავიდეს როგორც უნდა. მე მსურს, ამ გზას გავუყვე.

ძალუმად გრძნობდა ზიდჰარტა, როგორ თუხთუხებდა სიხარული მკერდში.

კი მაგრამ, საიდან? – ეკითხებოდა იგი თავის გულს, – საიდან მოვიდა ასეთი სიმხიარულე? ნუთუ იმ გრძელი, ტკბილი ძილიდან მოვიდა, რომელიც ასე მომიხდა? თუ სიტყვიდან ომ, რომელიც წარმოვთქვი? თუ იქიდან რომ თავდაღწეული ვარ, რომ ჩემი ლტოლვილება აღსრულებულია, რომ ბოლოს და ბოლოს კვლავ თავისუფალი ვარ და ვითარცა ბავშვი ვდგავარ ღია ცის ქვეშ. ო რა კარგია ეს სრბოლად ყოფნა, ეს თავისუფლებამოპოვებულად ყოფნა! რა სუფთა და მშვენიერია აქ ჰაერი, რა კარგია სუნთქვა! იქ, საიდანაც მე გავიქეცი, ყველაფერს ნელსაცხებლის, სანელებლების, ღვინის, ზედმეტობისა და სიმძიმის სუნი ასდიოდა. როგორ მძულებია ეს მდიდართა, მოქეიფეთა, მოთამაშეთა სამყარო! როგორ მძულებია ჩემივე თავი, რომ ამდენ ხანს ამ საზარელ სამყაროში დავრჩი! როგორ მძულებია ჩემივე თავი, როგორ განმიძარცვავს, მომიშხამავს, გამიტანჯავს ჩემივე თავი, როგორ გამიბოროტებია და დამიბერებია იგი! არა, აღარასოდეს წარმოვიდგენ, ბრძენი არისო ზიდჰარტა, როგორც ამას ერთ დროს ვშვრებოდი! ეს კი კარგად ვქენი, ეს მომწონს, ეს საქებარია მართლაც, ბოლო რომ მოვუღე საკუთარი თავის სიძულვილს და შეშლილ, უაზრო ცხოვრებას! გაქებ შენ, ზიდჰარტავ, ამდენწლიანი შეშლილობის მერე, კიდევ ერთხელ რაღაც აზრი რომ გაგიჩნდა, რაღაც ჰქენი, მკერდში ჩიტის გალობა გაიგე და ამ ჩიტს გაჰყევი.

ასე აქებდა იგი საკუთარ თავს, ასე შეხაროდა იგი საკუთარ თავს, ცნობისმოყვარედ მიუგდებდა ყურს თავის შიმშილისგან აყმუვლებულ კუჭს. გრძნობდა, ბოლო დროს მრავალი ტანჯვა და უბედურება სრულიად ეგემა და ამოენთხია, სასოწარკვეთილებამდე და სიკვდილის პირამდე ამოეთქვლიფა. დიახაც, კიდევ დიდხანს შეეძლო მას კამასვამისთან დარჩენილიყო, ფული ეშოვნა, ფული ეფლანგა, მუცელი ესუქებინა, სული კი წყურვილით მოეკლა, კიდევ დიდხანს შეეძლო მას ამ ნაზად მოფიანდაზებულ ჯოჯოხეთში ეცხოვრა, ეს რომ არ მოსულიყო: სრული სასოწარკვეთილებისა და უნუგეშობის წამი, ის უკიდურესი წამი, როდესაც წყლის ნაკადზე გადამხობილი, მზად იყო საკუთარი სიცოცხლის გასანადგურებლად. ის რომ მან ეს სასოწარკვეთილება, ეს ღრმა ზიზღი იგრძნო და რომ ამ ზიზღს არ ემსხვერპლა, რომ ჩიტი, მხიარული წყარო და ხმა მასში ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ, ამიტომაც გრძნობდა იგი ამ სიხარულს, ამიტომაც იცინოდა იგი, ამიტომაც ანათებდა მისი სახე გაჭაღარავებული თმის ქვემოდან.

კარგია, – ფიქრობდა იგი, – კაცმა ყველაფერი, რისი ცოდნაც კი საჭიროა, თავად იგემოს. ის რომ ამმსოფლიური სიამე და სიმდიდრე სიკეთის მომტანი არ იყო, ეს მე ჯერ კიდევ ბავშვმა ვისწავლე, მაგრამ მხოლოდ ახლა გამოვცადე. ახლა კი ვიცი ეს, ვიცი, არა მარტო მეხსიერებით, არამედ ჩემი თვალებით, ჩემი გულითა და ჩემი კუჭით. კარგია, რომ ვიცი ეს.

დიდხანს უფიქრდებოდა იგი თავის გარდასახვას, ყურს მიუგდებდა სიხარულისგან ამღერებულ ჩიტს. მაშასადამე, არ მომკვდარა ჩიტი მასში, არ უგრძნია მისი სიკვდილი? არა, რაღაც სხვა მოკვდა მასში, რაღაცა, რაც დიდი ხანია უკვე სიკვდილს შენატროდა. ხომ არ იყო ეს ის, რისი ჩაკვლაც მას ერთ დროს, თავისი მხურვალე მონანიეობის წლებში სურდა? ხომ არ იყო ეს მისი მე, მისი პატარა, მხდალი და ამაყი მე, რომელსაც ამდენი წელი ებრძოდა, რომელიც მუდამ იმარჯვებდა მასზე, რომელიც ყოველი ჩაკვლის მერე მყოფობდა მაინც, მხიარულებას იკრძალავდა, შიშს შეიგრძნობდა? ხომ არ იყო ეს ის, ვინც დღეს, როგორც იქნა, სიკვდილი ჰპოვა აქ, ტყეში, ამ ლამაზ მდინარესთან? განაამ სიკვდილის გამო არ იყო იგი ახლა ბავშვივით აღსავსე ნდობით, შიშის გარეშე, აღსავსე სიხარულით?

ახლა კი ხვდებოდა ზიდჰარტა, რატომ ებრძოდა იგი ბრაჰმანი მონანიე ამაოდ ამ მეს? მეტისმეტი ცოდნა აბრკოლებდა მას, მეტისმეტი წმინდა ლექსები, მეტისმეტი სამსხვერპლო წესები, მეტისმეტი თვითგვემა,

მეტისმეტი ქმედება და სწრაფვა! ქედმაღლობით აღსავსე იყო იგი, მუდამ უჭკვიანესი, მუდამ უბეჯითესი, სხვებთან შედარებით მუდამ ერთი ნაბიჯით წინმყოფი, მუდამ მცოდნე და გონიერი, მუდამ ქურუმი ან ბრძენი. ამ ქურუმობაში, ამ ქედმაღლობაში, ამ გონიერებაში შეფორთხდა მისი მე, იქ მოკალათდა და გაიზარდა, ეგონა კი, რომ მარხვით და მონანიებით ჩაკლავდა მას. ახლა კი, როდესაც ხედავდა ამ თავის მეს, ხვდებოდა, რომ მართალი ყოფილა იდუმალი ხმა: არცერთ მოძღვარს მისი ხსნა არ შეეძლო. ამიტომაც ქვეყანა უნდა შემოეარა, სიამეებში, ძალაუფლებაში, ქალებში და ფულში ჩაკარგულიყო, ვაჭარი, ყომარბაზი, მემთვრალე და ხარბი გამხდარიყო, სანამ ქურუმი და სამანა არ მოკვდებოდა მასში. ამიტომაც ბოლომდე, მწარე სასოწარკვეთილებამდე უნდა აეტანა ეს საძულველი წლები, ზიზღისთვის გაეძლო, სიცარიელე, ტიალი, დაკარგული ცხოვრების უაზრობა აეტანა, სანამ არ მოკვდებოდა ავხორცი ზიდჰარტა, ხარბი ზიდჰარტა. იგი მკვდარი იყო, ახალი ზიდჰარტა გამოღვიძებულიყო ძილიდან. ეს ზიდჰარტაც დაბერდებოდა, ოდესღაც ესეც მოკვდებოდა, წარმავალი იყო ზიდჰარტა, წარმავალი იყო ყოველი სახება. დღეს კი ნორჩი იყო იგი, ბავშვი იყო ახალი ზიდჰარტა და სიხარულით იყო იგი აღსავსე.

ამ ფიქრებში იყო გართული ზიდჰარტა, ღიმილით აყურადებდა თავის კუჭს, მადლიერი უსმენდა მოზუზუნე ფუტკარს. მხიარულად შესცქეროდა მდინარეს, არასოდეს წყალი ასე არ მოსწონებია, მდინარის ხმა ასე ძლიერ და ლამაზად არ ჩასმენია. ეჩვენებოდა, რომ მდინარეს მისთვის რაღაც განსაკუთრებული ჰქონდა სათქმელი, რაღაცა, რაც მან ჯერ არ იცოდა, რაც ჯერ კიდევ ელოდებოდა მას. ამ მდინარეში უნდოდა ზიდჰარტას თავის დახრჩობა, მასში დღეს დაიხრჩო ძველი, დაღლილი, სასოწარკვეთილი ზიდჰარტა. ახალი ზიდჰარტა კი ღრმა სიყვარულს გრძნობდა ამ მდინარი წყლის მიმართ და თავისთვის გადაწყვიტა, აღარ მიეტოვებინა იგი.

მებორნე

ამ მდინარესთან მსურს დარჩენა, ფიქრობდა ზიდჰარტა, ეს ისაა, საიდანაც ბავშვადამიანებისაკენ მიმავალ გზას დავადექი, თავაზიანმა მებორნემ დამაკვალიანა მაშინ. მინდა, მივიდე მასთან. მისი ქოხიდან დაიწყო ოდესღაც ჩემი გზა ახალ ცხოვრებაში, რომელსაც ხანმა უწია და მკვდარია – დაე ჩემმა ახლანდელმა გზამაც, ახლანდელმა ცხოვრებამაც აქ ჰპოვოს სათავე!

ალერსით ჩასცქეროდა იგი მდინარ წყალს, მის გამჭვირვალე სიმწვანეს, მისი იდუმალებით აღსავსე გამოსახულების კრისტალურ ხაზებს. ხედავდა სიღრმიდან ამომავალ ნათელ მარგალიტებს, ზედაპირზე ჩუმად მოცურავე ჰაერის ბუშტებს, ცის ლაჟვარდს მასში აღბეჭდილს. ათასი თვალით მისჩერებოდა მას მდინარე: მწვანეთი, თეთრით, კრისტალურით, ლაჟვარდოვანით. როგორ უყვარდა მას ეს წყალი, როგორ ხიბლავდა, როგორი მადლიერი იყო მისი! გულში ხმა ელაპარაკებოდა ზიდჰარტას და იგი, ახლად – გამოღვიძებული, ეუბნებოდა: გიყვარდეს ეს წყალი! დარჩი მასთან! ისწავლე მისგან! ო, დიახაც, სურდა ზიდჰარტას მისგან ესწავლა, სურდა მისთვის ყურის ეგდო. ვინც ამ წყალს და მის საიდუმლოებებს შეიცნობს, ასე ეჩვენებოდა მას, იგი ბევრ სხვა რამესაც შეიცნობს: ბევრ საიდუმლოს, ყველა საიდუმლოს.

მდინარის საიდუმლოებათაგან მხოლოდ ერთს ხედავდა იგი დღეს, რომელსაც დაეპყრო მისი სული. იგი ხედავდა: ეს წყალი მიედინებოდა და მიედინებოდა, განუწყვეტლივ მიედინებოდა და მაინც სულ აქ იყო, მუდამ და ნებისმიერ დროს იგივე და მაინც ყოველ წამს ახალი! ო, ვინც მდინარეს ჩაწვდებოდა, ვინც მას გაუგებდა! იგი ვერ ხვდებოდა, ვერ წვდებოდა მას. მხოლოდ გუმანის თრთოლვას, შორეულ მოგონებებს, ღვთიურ ხმებს გრძნობდა.

ზიდჰარტა წამოიმართა, აუტანელი გამხდარიყო შიმშილის შემოტევა მის სხეულში. ცნობისმოყვარეობით აღსავსე გაუდგა გზას, აღმა, დინების საწინააღმდეგოდ აუყვა მდინარის პირა ბილიკს, უგდებდა ყურს დინებას, უგდებდა ყურს აღმუვლებულ შიმშილს საკუთარ სხეულში.

როდესაც ბორნის ალაგს მიაღწია, იქვე დახვდა ნავიც, ხოლო ნავში ისევ ის მებორნე იდგა, რომელმაც ოდესღაც ყრმა სამანა მდინარეზე გადაიყვანა. იცნო იგი ზიდჰარტამ, ძალზე დაბერებულიყო ისიც.

გადამიყვან იქით? – ჰკითხა ზიდჰარტამ.

გაოცდა მებორნე, ასეთი დიდგვაროვანი კაცი მარტოდმარტო ფეხით მომავალი რომ დაინახა, ჩასვა იგი ნავში და ბიძგით მოაშორა ნავი ნაპირს.

კარგი ცხოვრება აგირჩევია შენთვის, – თქვა მგზავრმა, – კარგი უნდა იყოს ყოველდღე ამ მდინარეზე ცხოვრება და ცურვა ღიმილით ირწეოდა მენიჩბე: კი, კარგია, ბატონო, შენი თქმისა არ იყოს. მაგრამ განა ყოველი ცხოვრება და ყოველი შრომა კარგი არ არის?

შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ მე შენი საქმის გამო მშურს შენი.

შენ ალბათ სულ მალე დაგეკარგებოდა ამ საქმის კეთების სურვილი. შენნაირ ლამაზ სამოსში გამოწყობილი კაცისთვის ეს არაფერია.

ზიდჰარტამ გაიცინა. დღეს ერთხელ უკვე განმიკითხეს ჩემი ტანსაცმლის გამო, უნდობლად განმიკითხეს. არ გინდა, მებორნევ, ეს სამოსი, თავი რომ მომაბეზრა, მიიღო ჩემგან? რადგან მინდა იცოდე, მე არ მაქვს ფული ბორნის საფასური რომ გადაგიხადო.

ხუმრობს ბატონი – გაიცინა მებორნემ მე არ ვხუმრობ, მეგობარო. შემომხედე, შენ ერთხელ უკვე გადამიყვანე შენი ნავით ამ მდინარეზე სამოწყალოდ. ჰქენი დღესაც ასე, სამაგიეროდ კი მიიღე ჩემი ტანსაცმელი.

და მერე ბატონს უტანსაცმლოდ სურს გზის გაგრძელება?

აჰ, ყველაზე მეტად გზის გაგრძელებას არ ვისურვებდი. ჩემთვის ყველაზე კარგი ის იქნებოდა, მებორნევ, ერთ ძველ წინსაფარს თუ მომცემდი და შენს დამხმარედ დამაყენებდი, უფრო სწორად, შენს შეგირდად, რადგან ჯერ ნავთან ურთიერთობა მაქვს სასწავლი.

დიდხანს მაძიებელი თვალები შესცქეროდა მებორნე უცხოს.

ახლა კი გიცანი, – თქვა მან ბოლოს, – ერთხელ ჩემს ქოხში გეძინა. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ალბათ ოცი წელი მაინც. მდინარეზე გადაგიყვანე და ჩვენ კარგი მეგობრებივით დავშორდით ერთმანეთს. შენ სამანა არ იყავ? ვეღარ ვიხსენებ მე შენს სახელს.

ზიდჰარტა მქვია და სამანა ვიყავ, ბოლოს რომ ვნახეთ ერთმანეთი.

მაშ, კეთილი იყოს შენი გამოჩენა ჩემთან, ზიდჰარტა, ვაზუდევა მქვია მე. იმედი მაქვს, დღესაც ჩემი სტუმარი იქნები, ჩემს ქოხში დაიძინებ და მომიყვები, საიდან მოდიხარ და რად მოგბეზრებია ეს შენი ლამაზი სამოსი.

მიაღწიეს მდინარის შუაგულს, ვაზუდევამ ღონივრად მოუსვა ნიჩბები, დინების საწინააღმდეგოდ რომ გაეცურათ.

მშვიდად მუშაობდა იგი თავისი ჯანიანი მკლავებით, ნავის წვერზე მზერამიბჯენილი. ზიდჰარტა იჯდა და შესცქეროდა და იხსენებდა, მისი სამანობის ბოლო დღეს როგორ აღიძრა მის გულში სიყვარული ამ კაცის მიმართ. მადლიერებით მიიღო მან ვაზუდევას მიპატიჟება. როდესაც ნაპირს მიადგნენ, ნავის პალოზე მიბმაში დაეხმარა იგი მებორნეს. შემდეგ ქოხში შეიპატიჟა მებორნემ ზიდჰარტა, შეთავაზა მას პური და წყალი და ზიდჰარტაც მადიანად შეექცა. მადიანადვე მიირთვა ვაზუდევას მიწოდებული მანგოს ნაყოფიც. შემდეგ, მზე გადაწვერილიყო უკვე, ჩამოსხდნენ მდინარის ნაპირას ხის მორზე და ზიდჰარტა მოუყვა თავის წარმომავლობასა და ცხოვრებაზე, როგორაც იგი დღეს, სასოწარკვეთის ჟამს წარმოუდგა თვალწინ. გვიან ღამემდე გაურძელდა მას თავისი ამბის თხრობა.

დიდი ყურადღებით უსმენდა მას ვაზუდევა. მდუმარედ ისრუტავდა იგი ზიდჰარტას წარმომავლობისა და ბავშვობის, ყველა სწავლების, ყველა ძიების, ყველა სიხარულისა და ყველა გაჭირვების ამბებს. ეს იყო მებორნის ერთ-ერთი უდიდესი სიქველეც: ცოტა ვინმეს თუ გაეგებოდა მოსმენის ხელოვნება, ისე როგორც მას. მთხრობელი გრძნობდა, თავად სიტყვის ამოუღებლად როგორ შთანთქავდა ვაზუდევა მის სიტყვებს, ჩუმად, ღიად, მომლოდინედ, ისე რომ ერთსაც არ კარგავდა, ერთსაც არ ელოდებოდა სულსწრაფად, ერთი ქება ან აუგი არ

დასცდებოდა, მხოლოდ უსმენდა. ზიდჰარტა გრძნობდა, თუ რა ბედნიერებაა მიენდო ასეთ მსმენელს: მის გულში ჩაწნა შენი ცხოვრება, შენი ძიება, შენი ტანჯვა.

თხრობის ბოლოს კი, როდესაც ზიდჰარტა მდინარის პირას მდგომ ხეზე, თავის დაცემაზე, წმინდა ომზე ჰყვებოდა, და კიდევ იმაზე, თუ როგორ იგრძნო სიყვარული მდინარის მიმართ ჩათვლემის შემდგომ, გაორმაგებული ყურადღებით უსმენდა მას მებორნე, თვალებდახუჭული, თხრობისთვის სრულიად თავმიცემული.

როდსაც ზიდჰარტა დადუმდა და ხანგრძლივმა სიჩუმემ დაისადგურა, თქვა ვაზუდევამ: ისეა, როგორც ვფიქრობდი. მდინარე გელაპარაკებოდა. შენი მეგობარიცაა იგი, შენც გელაპარაკება იგი. ეს კარგია, ეს ძალზე კარგია. დარჩი ჩემთან, ზიდჰარტა, ჩემო მეგობარო. ერთ დროს ცოლი მყავდა. ერთმანეთის გვერდით იდგა ჩვენი საწოლები. დიდი ხანია, რაც იგი გარდაიცვალა. დიდ ხანს მომიწია მარტო ცხოვრებამ. ახლა კი შენ იცხოვრე ჩემთან, ადგილი და სარჩო საკმარისია ორივესათვის.

მადლობელი ვარ შენი, – თქვა ზიდჰარტამ, – მადლობელი ვარ და თანახმა. და კიდევ იმისთვის გმადლობ, ვაზუდევა, ასე კარგად რომ მომისმინე! იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელმაც იცის თუ რა არის მოსმენა. მე არავინ შემხვედრია, რომელმაც შენსავით იცოდეს ეს. აი, ამასაც ვისწავლი მე შენგან.

შენ ისწავლი ამას, – თქვა ვაზუდევამ, – მაგრამ არა ჩემგან. მოსმენა მე მდინარემ მასწავლა და შენც მისგან ისწავლი. ყველაფერი იცის მდინარემ. ყველაფრის სწავლა შეიძლება მისგან. ნახე, შენ უკვე ისწავლე რაღაცა წყლისგან, ის რომ კარგია, ქვემოთ მიისწრაფოდე, ქვემოთ ეშვებოდე, სიღრმეს ეძიებდე. მდიდარი და წარჩინებული კაცი ზიდჰარტა მენიჩბის მსახური უნდა გახდეს, სწავლული ბრაჰმანი ზიდჰარტა მებორნე უნდა გახდეს: ესეც მდინარემ გითხრა. შენ კიდევ სხვა რამეებსაც ისწავლი მისგან.

თქვა ზიდჰარტამ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ: სხვას რას, ვაზუდევა?

ვაზუდევა წამოდგა: გვიანია უკვე, ძილის დროა. მე ვერ გეტყვი ეამ სხვას, მეგობარო, შენ მას ისწავლი, შესაძლოა, იცი კიდეც უკვე. შენ ხედავ, მე არ ვარ სწავლული, ლაპარაკისა არა გამეგება რა, არც ფიქრისა გამეგება რამე. მმე მხოლოდ ის გამეგება, ყური ვუგდო და თვინიერი ვიყო. მე რომ ამ სხვის თქმა და სწავლება შემძლებოდა, ბრძენი ვყოფილიყავი იქნებ, მაგრამ მებორნე ვარ მხოლოდ და ადამიანების მდინარეზე გადაყვანაა ჩემი საქმე. მრავალი გადავიყვანე, ათასობით და მათთვის, ყველასთვის მდინარე სხვა არა იყო თუ არა დაბრკოლება მათი მოგზაურობისას. ისინი მიემგზავრებოდნენ ფულის საშოვნელად, საქმეებზე, ქორწილებში, მოსალოცავად და მდინარე გზას უღობავდა მათ და მებორნეც მისთვის იყო აქ, ამ წინაღობის იქით გადაეყვანა ისინი. მაგრამ ამ ათასთა შორის, მცირედნი, ოთხი თუ ხუთი იყო ისეთი, რომელთათვისაც შეწყვიტა მდინარემ დაბრკოლებად ყოფნა, მათ უსმინეს მდინარეს და იგი ისეთივე წმინდა გახდა მათთვის როგორიც მანამდე გახდა იგი ჩემთვისაც. ახლა კი წავიდეთ, მოვისვენოთ, ზიდჰარტა.

ზიდჰარტა დარჩა მებორნესთან და სწავლობდა ნავის მართვას და როდესაც ბორანზე საქმე არ იყო გასაკეთებელი, იგი ვაზუდევასთან ერთად შრომობდა ბრინჯის ყანაში, აგროვებდა შეშას, კრეფდა ხილს პიზანგის ხიდან. იგი სწავლობდა ნიჩბის გამოთლას, სწავლობდა ნავის შეკეთებას, კალათების წვნას და ყველაფერს, რასაც კი სწავლობდა. შეჰხაროდა იგი და გარბოდნენ დღეები და თვეები სწრაფად. უფრო მეტს, ვიდრე ვაზუდევას შეეძლო მისთვის ესწავლებინა, ასწავლიდა მდინარე. განუწყვეტლივ სწავლობდა ზიდჰარტა მისგან. უპირველესად მოსმენას სწავლობდა მისგან, მშვიდი გულით მიყურადებას, მომლოდინე, გახსნილი სულით, ვნებათაღელვის გარეშე, სურვილის გარეშე, განსჯის გარეშე, საზრისის გარეშე.

შეხმატკბილებულად ცხოვრობდა იგი ვაზუდევასთან, დროგამოშვებით სიტყვებს თუ გაუცვლიდნენ ერთმანეთს, ცოტას და დიდხანს ნაფიქრს. მწყრალად იყო სიტყვასთან ვაზუდევა, იშვიათად თუ მოუხერხდებოდა ზიდჰარტას მისი სალაპარაკოდ გამოწვევა.

შენც ისწავლე მდინარისგან ის საიდუმლო, რომ დრო არ არსებობს? – ჰკითხა ერთხელ ზიდჰარტამ მებორნეს.

სახეზე ნათელი ღიმილი გადაეფინა ვაზუდევას: ჰო, ზიდჰარტა, ეს არის ხომ ის, რასაც შენ გულისხმობ: ის, რომ მდინარე ყველგანაა ერთდროულად, სათავეში და შესართავში, ჩანჩქერში, საბორნეზე, ჩქერებში, ზღვაში, მთაში, სულ ყველგან ერთდროულად და რომ მისთვის მხოლოდ აწმყო არსებობს, არცა აჩრდილი წარსულისა, არცა აჩრდილი მომავლისა?

ჰო, ეს არის, – თქვა ზიდჰარტამ, – და რა მივხვდი ამას, ჩავუკვირდი ჩემს ცხოვრებას და იყო იგიც ვითარცა მდინარე და ბიჭი ზიდჰარტა კაცი ზიდჰარტასგან და ბებერი ზიდჰარტასგან მხოლოდ აჩრდილით იყო გამოყოფილი და არა არსებითით. აარც ზიდჰარტას წინარე დაბადებები იყო წარსული, და არც მისი სიკვდილი და ბრაჰმასთან დაბრუნება მომავალი. არარა იყო და არარა იქნება; ყველაფერი არის, ყველაფერს აქვს არსი და აწმყო.

აღტაცებით ლაპარაკობდა ზიდჰარტა. ღრმად გაებედნიერებინა იგი ამ აღმოჩენას. ო, ნუთუ მაშინვე, როგორც კი კაცი დროს დაძლევდა, დროის ფიქრებიდან განდევნას შეძლებდა, არ იქნებოდა ჟამი ყოველგვარი ტანჯვისა, ყველა წამებისა და შიშისა, ყოველნაირი სიმძიმე და ყოველივე მტრული გამქრალი და დაძლეული? აღტაცებით წარმოთქვა ეს სიტყვები ზიდჰარტამ. ვაზუდევამ ღიმილი შეანათა მას და თავი დაუქნია დასტურის ნიშნად, მდუმარედ დაუქნია თავი, მხარზე მოუთათუნა ხელი და თავის სამუშაოს მიუბრუნდა.

ერთხელ კიდევ, წვიმების დროს, ადიდებული მდინარე რომ მოქუხდა, თქვა ზიდჰარტამ: მართალი არაა, მეგობარო, რომ მდინარეს ბევრნაირი ხმა, ძალიან ბევრი ხმა აქვს? არ აქვს განა მას ხმა მეფისა, ანდა მეომრისა ანდა მოზვრისა ანდა ღამის ჩიტისა, ანდა მშობიარესი, ანდა მეოხარისა და ათასობით კიდევ სხვა ხმა?

ასეა ეს, – დაეთანხმა ვაზუდევა, – ყოველი ქმნილების ხმებია მის ხმაში.

და იცი, რა სიტყვას წარმოთქვამს იგი, თუკი ყველა ამ ათიათასობით ხმის ერთდროულად მოსმენას შეძლებ?

ბედნიერებისგან სახე უცინოდა ვაზუდევას, იგი გადაიხარა ზიდჰარტასკენ და ყურში წმიდა ომ ჩასჩურჩულა. და ეს იყო ზუსტად ის, რაც ზიდჰარტასაც ესმა.

და ჟამთასვლასთან ერთად ხდებოდა მისი ღიმილი მსგავსი მებორნის ღიმილისა, ხდებოდა თითქმის ისეთივე გასხივოსნებული, თითქმის ისეთივე ბედნიერებისგან გაკაშკაშებული, ისეთივე ათასობით მცირე ნაოჭთაგან მანათობელი, ისეთივე ბავშვური და ისეთივე ბებრული. ბევრ მოგზაურს, ორივე მებორნის ერთად დანახვისას, ძმებადაც კი მიუჩნევია ისინი. ხშირად ისხდნენ ერთად მდინარის პირას ხის მორზე, დუმდნენ და წყალს უგდებდნენ ყურს, რომელიც მათთვის წყალი კი არა, ცხოვრების ხმა იყო, ხმა მყოფისა, მუდამ ქმნადისა. ხანდახან მდინარის სმენისას ერთსა და იმავეზე იყო ორივე ჩაფიქრებული: ორი დღის წინანდელ საუბარზე, რომელიღაც მოგზაურზე, რომლის ხატი და ბედი ჩაბეჭდოდათ მეხსიერებაში, სიკვდილზე, თავიანთ ბავშვობაზე, ანდა ერთსა და იმავე წამს, როდესაც მდინარე რაიმე კარგს ეტყოდა მათ, ერთმანეთს გადახედავდნენ ერთსა და იმავეზე მოფიქრალნი, ორთავ გაბედნიერებული ერთსა და იმავე კითხვაზე გაცემული ერთსა და იმავე პასუხით.

რაღაც მოდიოდა ბორნისაგან და მებორნეებისაგან ისეთი, რასაც შეიგრძნობდა მოგზაურთაგან ზოგიერთი. ისეც მომხდარა, ვინმე მგზავრი, რომელიმე მებორნეს სახეში რომ ჩახედავდა, თავისი ცხოვრების მოყოლას იწყებდა, სადარდებელს დაიჩივლებდა, ბოროტის ქმნას აღიარებდა, ნუგეშსა და რჩევას ითხოვდა. ხანდახან საღამოობით მათთან დარჩენის ნებართვას ითხოვდა ვინმე, რათა მდინარისთვის მიეგდო ყური. ხანდახან კი ცნობისმოყვარენიც მოდიოდნენ, სხვათაგან რომ გაეგოთ, საბორნეზე ორი ბრძენი ანდა ორი ჯადოქარი თუ წმინდანი ცხოვრობსო. ბევრ კითხვას სვამდნენ ეს ცნობისმოყვარენი, თუმცა პასუხს ვერ იღებდნენ და ვერც ბრძენსა და ვერც ჯადოქარს ვერ შეიცნობდნენ მათში, მხოლოდ ორ თავაზიან კაცუნას ხედავდნენ, რომლებიც მუნჯები და თანაც, ცოტა არ იყოს, უცნაურები და გამოჩურჩუტებულებიც უნდა ყოფილიყვნენ. შემდეგ იცინოდნენ ეს ცნობისმოყვარენი და მუსაიფობდნენ, იმაზე, თუ რა უაზროდ და ზერელედ ავრცელებს ამგვარ ხმებს ხალხი.

წლები გარბოდნენ ისე, რომ არავინ ითვლიდა მათ. ერთხელაც მოსალოცავად მიმავალი ბერები გამოჩნდნენ ბორანთან, გოტამას, ბუდას მიმდევარნი, და ითხოვეს გაღმა ნაპირზე გადაყვანა. მათგან შეიტყვეს მებორნეებმა, რომ თავინთ დიდ მოძღვართან ბრუნდებოდნენ ისინი სასწრაფოდ, რამეთუ ამბავი მოსვლოდათ, უიმედოდ ავად

არისო ამაღლებული, მალე ბოლოჯერ მოკვდებაო ადამიანური სიკვდილით, რათა ხსნაში შევიდესო იგი. დიდი დრო არ იყო გასული, სხვა გუნდი ბერებისა მოადგა ბორანს, შემდეგ კიდევ სხვა და ბერებიც და უბრალო მგზავრთაუუმეტესობაც სხვაზე არაფერზე ლაპარაკობდა, გარდა გოტამასი და მისი მოახლოებული სიკვდილისა. ვითარცა ლაშქრობისას ანდა მეფედ კურთხევისას ყოველი მხრიდან მოედინებიან კაცნი და ირაზმებიან მსგავსად ჭიანჭველებისა, ასე მოედინებოდნენ ისინი, თითქოსდა ჯადო ეზიდებაო მათ იქით, სადაც დიადი ბუდა თავის სიკვდილს ელოდებოდა, სადაც გაუგონარი რამ უნდა მომხდარიყო და დიად სრულქმნილს ბრწყინვალებაში უნდა შეებიჯებინა.

ბევრჯერ მოიგონა ამ დღეებში ზიდჰარტამ მომაკვდავი ბრძენი, დიდი მოძღვარი, რომლის ხმამაც ხალხები შეძრა და ასიათასობით ადამიანი გამოაღვიძა, რომლის ხმაც მან ოდესღაც ისმინა, მის წმინდა სახეს ოდესღაც მოწიწებით შეხედა. თბილად იგონებდა იგი მას, თვალწინ ედგა მისი გზა სრულქმნილებისა და ღიმილით იხსენებდა სიტყვებს, რომლითაც მან, ყმაწვილმა კაცმა ოდესღაც მიმართა მას, ამაღლებულს. ეს სიტყვები, როგორც მას ახლა ეჩვენებოდა, ამაყი და ნაადრევად დაჭკვიანებული კაცის სიტყვები იყო. ღიმილით იხსენებდა ზიდჰარტა მათ. დიდი ხანია უკვე, აღარ გრძნობდა თავის თავს გოტამასგან შორეულად, თუმცა მოძღვრება მისი ვერ მიიღო მან. არა, ჭეშმარიტი მაძიებელი, იგი ვისაც ჭეშმარიტად სურდა პოვნა, ვერ მიიღებდა ვერანაირ სწავლებას. ხოლო მას, ვინც იპოვა, შეეძლო ყოველი მოძღვრება, ყოველი გზა, ყოველი მიზანი მოეწონებინა, აღარაფერი ჰყოფდა მას იმ სხვა მრავალ ათასთაგან, რომლებიც მარადიულში ცხოვრობდნენ, რომლებიც ღვთიურით სუნთქავდნენ.

ერთ ასეთ დღეს, როდესაც მრავალი მომაკვდავი ბუდასაკენ მიეშურებოდა, კამალაც, ერთ დროს უმშვენიერესი კურტიზანთა შორის, მისკენ გაემართა. დიდი დრო იყო გასული, მას შემდეგ რაც იგი თავის პირვანდელ ცხოვრებას გამოეთხოვა, თავისი ბაღი გოტამას ბერებს უსახსოვრა, ხოლო თავად მის მოძღვრებას შეაფარა თავი, მომლოცველთა შემწე და მეგობარი გახდა და როგორც კი ამბავი მიუვიდა გოტამას მოახლოებული სიკვდილისა, თავის ვაჟიშვილთან, პატარა ზიდჰარტასთან ერთად, უბრალო კაბაში გამოწყობილი, ფეხით დაადგა გზას. თავის ბიჭუნასთან ერთად მიუყვებოდა იგი გზას მდინარისაკენ. ბიჭი დაქანცული იყო, სახლში დაბრუნებას, დასვენებას, ჭამას ითხოვდა, ჯიუტობდა და ტიროდა. კამალაც ჩერდებოდა მასთან ერთად დასასვენებლად. ბიჭი ჩვეული იყო, საკუთარი ნება თავს მოეხვია დედისათვის და კამალაც დააპურებდა, ანუგეშებდა, თათხავდა მას. ბიჭი ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა დასდგომოდა ამ მძიმე და მწუხარე მომლოცველობის გზას, უცნობ მხარეში, უცხო კაცთან, რომელიც წმინდანი იყო და რომელიც ახლა სასიკვდილოდ იყო გადადებული. დაე მომკვდარიყო, ბიჭს რა ესაქმებოდა ამასთან?

ცოტაღა უკლდათ მომლოცველებს ვაზუდევას ბორნამდე, როდესაც პატარა ზიდჰარტამ უკვე მერამდენედ დაჟინებით სთხოვა დედას დასვენება. თავად კამალაც დაქანცული იყო, და სანამ ბიჭი ბანანს ღეჭავდა, მიწაზე ჩაიმუხლა, დახუჭა თვალები და გაინაბა. უეცრად განწირული კივილი აღმოხდა კამალას, ბიჭმა, დამფრთხალმა შეხედა დედას და მის სახეზე ძრწოლა ამოიკითხა. კაბის კალთიდან კი ამ დროს შავი გველი გამოსრიალდა, რომელსაც კამალა დაეგესლა.

სირბილით განაგრძეს გზა, როგორმე ადამიანებამდე რომ მიეღწიათ. ბორნის სიახლოვეს იყვნენ მისულნი, ჩაიკეცა კამალა ძალაგამოცლილი. საწყალობლად ატირდა ბიჭი, ყელზე ეხვეოდა და კოცნიდა დედას, შველას ითხოვდა ხმამაღლა, კამალაც ცდილობდა, ხმა მიეშველებინა მისთვის. ვაზუდევა ბორანთან იდგა, როდესაც ყურს მისწვდა მათი ხმა. ჩქარი ნაბიჯით გაემართა, ხელში აიტატა ქალი და ნავისკენ წაიყვანა იგი. ბიჭიც სირბილით მიჰყვა მებორნეს. მალე მიაღწიეს ქოხს, სადაც ზიდჰარტა კერასთან იდგა და ცეცხლს აჩაღებდა. შემოსულებს ამოხედა ზიდჰარტამ, თავდაპირველად ბიჭის სახეს მოჰკრა თვალი, რომელიც საოცრად ნაცნობი ეჩვენა, რაღაცას მივიწყებულს ახსენებდა იგი, შემდეგ კამალა დაინახა, მებორნის მკლავებში უგონოდ მყოფი, უმალ იცნო და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ბიჭი, აგრე რიგად რომ ეცნო, შვილი იყო მისი და გულმა რეჩხი უყო მკერდში.

გაზრდილიყო და გაშავებულიყო კამალას ჭრილობა, მთელი ტანი გასიებოდა, სამკურნალო სითხე დაალევინეს მას მებორნეებმა. ქოხში, ზიდჰარტას საწოლზე იწვა კამალა, გონზე რომ მოვიდა. თავთან მოხრილი დასდგომოდა ზიდჰარტა, ასე ძალიან რომ უყვარდა ოდესღაც. თავი სიზმარში ეგონა კამალას, ღიმილით

შეაცქერდა სახეში თავის მეგობარს, ნელ-ნელა აცნობიერებდა თავის მდგომარეობას, შემდეგ გველის ნაკბენიც გაახსენდა და შეშინებულმა მოუხმო ბიჭს.

დარდი ნურაფრისა გექნება, აქ არის, შენთან, – თქვა ზიდჰარტამ.

კამალა თვალებში ჩააცქერდა ზიდჰარტას. შემდეგ შხამისგან გაბუჟებული და დამძიმებული ენით ალაპარაკდა. დაბერებულხარ, საყვარელო, გაჭაღარავებულხარ, მაგრამ მაინც იმ ყრმა სამანას გავხარ, ერთხელ ტანშიშველი და მტვრიანი ფეხებით ჩემთან რომ მოვიდა ბაღში. ახლა უფრო მეტად ჰგავხარ მას, ვიდრე მაშინ, როდესაც მე და კამასვამის გაგვშორდი. თვალებით ჰგავხარ მას, ზიდჰარტა. ეჰ, მეც დავბერდი – თუ მიცანი მაინც?

ზიდჰარტამ გაიღიმა: მაშინვე გიცანი, კამალა, ჩემო სიყვარულო.

კამალამ ბიჭზე ანიშნა: ამასაც იცნობ? შვილია შენი. თვალები აემღვრა და შემდეგ დაეხუჭა კამალას. ბიჭი ატირდა, ზიდჰარტამ მუხლებზე დაისვა იგი, აცალა, გული ეჯერებინა ტირილით, თმაზე მოეფერა, სახეში შეაცქერდა ბავშვს და ერთი ბრაჰმანული ლოცვა გაახსენდა, ოდესღაც, პატარა ბიჭობაში რომ ესწავლა. ნელა, წამღერებით წარმოსთქვამდა ლოცვას, წარსულიდან, ბავშვობიდან მოედინებოდნენ მისკენ სიტყვები. და მის ამ ღიღინში დაწყნარდა ბიჭი, დროდარო წამოისლუკუნებდა ხოლმე და ბოლოს ჩაეძინა კიდეც. ზიდჰარტამ ვაზუდევას საწოლზე დააწვინა იგი. ვაზუდევა კერასთან იდგა და ბრინჯს ხარშავდა. ზიდჰარტამ გადახედა მას. ღიმილით აირიდა ვაზუდევამ მეგობრის მზერა.

მოკვდება – თქვა ზიდჰარტამ ჩუმად.

ვაზუდევამ თავი დაუქნია. კერიიდან წამოსულმა ცეცხლის ნათელმა გადაურბინა მის კეთილ სახეს.

კვლავ მოვიდა გრძნობაზე კამალა, ტკივილისაგან სახე მოჭმუხვნოდა. ზიდჰარტამ ტანჯვა ამოიკითხა მის ტუჩებზე, მის გაფითრებულ ღაწვებზე. ჩუმად აკვირდებოდა მისი თვალები ქალს, ყურადღებით, მოთმინებით, მის ტანჯვაში ჩაღრმავებული. კამალა გრძნობდა ამას და მზერით მის თვალებს ეძებდა. იგი შეაცქერა ზიდჰარტას და თქვა: ახლა ვამჩნევ, რომ შენი თვალებიც შეცვლილან. სულ სხვანაირნი გამხდარან ისინი. რითღა უნდა გიცნო, რომ შენ ზიდჰარტა ხარ? შენ ხარ იგი და აღარც ხარ.

არაფერი უპასუხა ზიდჰარტამ, ჩუმად ჩახედა თვალებში კამალას.

მიაღწიე, რასაც ეძებდი? – ჰკითხა კამალამ ზიდჰარტას, –

იპოვე შენი მშვიდობა?

ზიდჰარტამ გაუღიმა და მისი ხელი თავისაში მოიქცია.

ახლა კი ვხედავ, – თქვა ქალმა, – ახლა კი ვხედავ, მეც ვიპოვი მშვიდობას.

შენ იპოვე იგი, – თქვა ზიდჰარტამ ჩურჩულით. თვალმოუწყვეტლად შესცქეროდა კამალა ზიდჰარტას თვალებში. გაახსენდა, რომ ბუდასთან მიდიოდა იგი მოსალოცავად, სრულქმნილის სახე რომ ეხილა, მისი მშვიდობა რომ ესუნთქა და რომ ბუდას მაგიერ ზიდჰარტას შეხვდა და რომკ ეს ისევე კარგი იყო, თითქოს გოტამას შეხვედროდა იგი. შეეცადა, ეს ყველაფერი ზიდჰარტასთვის ეთქვა, მაგრამ ენა აღარ ემორჩილებოდა მის ნება-სურვილს. მდუმარედ შესცქეროდა იგი ზიდჰარტას და ზიდჰარტა ხედავდა ქალის თვალებში თუ როგორ ილეოდა სიცოცხლე. და როდესაც კამალას უკანასკნელი ტკივილი ჩაუდგა თვალებში და გაქრა შემდეგ, როდესაც უკანასკნელმა ჟრჟოლამ დაუარა სხეულის ყველა ასოში, თითებით თვალის ქუთუთოები დაუხურა მას ზიდჰარტამ.

დიდხანს იჯდა ზიდჰარტა და შესცქეროდა მის მიძინებულ სახეს, დიდხანს აკვირდებოდა მის პირს, მის დაბერებულ, დაღლილ პირს, გათხელებულ ბაგეებს და ახსენდებოდა, ოდესღაც, თავისი ცხოვრების გაზაფხულზე ახლად გადაპობილ ლეღვს რომ შეადარა ისინი. დიდხანს იჯდა, დასცქეროდა კამალას გაცრეცილ სახეს, მის დაღლილ ნაოჭებს, მისი ცქერა ავსებდა მას, ხედავდა თავის სახეს ისეთსავე გაშეშებულს, ისეთსავე

თეთრს, ისეთსავე ჩამქრალს და იმავდროულად ხედავდა თავის და კამალას ნორჩ სახეებს, წითელ ტუჩებს, მობრიალე თვალებს და შეგრძნებას აწმყოობისა, ერთდროულობისა, შეგრძნებას მარადიულობისა განეწონა იგი სრულიად. ღრმად, უფრო ღრმად ვიდრე ოდესმე, შეიგრძნობდა იგი ამ წუთს, ყოველი სიცოცხლის უმსხვრევობას, ყოველი წამის მარადიულობას.

როდესაც იგი წამოდგა, ვაზუდევას ბრინჯი უკვე მომზადებული ჰქონდა მისთვის. პირი არ დააკარა საჭმელს ზიდჰარტამ. გომურში, სადაც თხა ეყენათ, ნამჯა გაფინეს ბერიკაცებმა და ვაზუდევა ზედ დაწვა დასაძინებლად. ზიდჰარტა კი გარეთ გავიდა და მთელი ღამე ქოხის წინ მჯდომარემ გაატარა, მდინარეს უსმენდა, წარსული შემოჯაროდა გარს, ყოველი წამი თავისი ცხოვრებისა ერთდროულად ეხმიანებოდა და ეხვეოდა მას. დროდადრო წამოდგებოდა ხოლმე, ქოხის კართან მიდიოდა და ბიჭის ძილს აყურადებდა.

დილაუთენია, მზის ამოსვლამდე, გამოვიდა ვაზუდევა გომურიდან და მიუახლოვდა თავის მეგობარს.

შენ არ გეძინა, – თქვა მან.

არა, ვაზუდევა. აქ ვიჯექი, მდინარეს ვუგდებდი ყურს. ბევრი რამ მითხრა მდინარემ, მკურნალი ფიქრებით ამავსო, ერთიანობის ფიქრებით.

შენ უბედურება დაგატყდა თავს, ზიდჰარტა, თუმცა ვხედავ, მწუხარება არ მიჰკარებია შენს გულს.

არა, ჩემო კარგო, რად უნდა ვიყო მწუხარე? მე მდიდარი ვიყავ და ბედნიერი, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მდიდარი და ბედნიერი ვარ. ბედმა ვაჟიშვილი მაჩუქა.

ჩემთვისაც დიდი სიხარულია შენი ვაჟის გამოჩენა. ახლა კი, ზიდჰარტა, დროა, საქმეს შევუდგეთ, ბევრი გვაქვს საკეთებელი. კამალა იმ საწოლზე მიიცვალა, რომელზეც ჩემი ცოლი და მისთვისაც იმ გორაკზე ავანთებთ კოცონს, რომელზეც ჩემი ცოლის ნეშტი დავწვი.

სანამ ბიჭს ეძინა, კოცონისთვის შეშას აგროვებდნენ კაცები.

ვაჟი

დამფრთხალი და ატირებული ესწრებოდა ბიჭი დედის დაკრძალვას, დაღვრემილი და დამფრთხალი უსმენდა იგი ზიდჰარტას, რომელმაც მას, როგორც თავის ვაჟს მიმართა და ვაზუდევას ქოხში მიიპატიჟა საცხოვრებლად. მთელი დღეები ფერწასული იჯდა იგი მკვდრების გორაკზე, უსმელ-უჭმელი, უკარება მზერით, უკარება გულით, ბედისწერის წინააღმდეგ აღმდგარი და მებრძოლი.

ზიდჰარტა უფრთხილდებოდა მას, თავის ნებაზე ამყოფებდა, პატივს მიაგებდა მის მწუხარებას. ესმოდა ზიდჰარტას, რომ მის შვილს იგი, როგორც მამა, ვერ ეყვარებოდა, რამეთუ არც კი იცნობდა მას. ნნელ-ნელა ისიც დაინახა და გაიგო, რომ მისი შვილი – ჯერ მხოლოდ თერთმეტი წლისა, ერთი განებივრებული დედიკოს ბიჭი, სიმდიდრეს, დახვეწილ საჭმელს, რბილ საწოლს და მსახურთათვის ბრძანებების მიცემას იყო ნაჩვევი. იმასაც ხვდებოდა, რომ იგი, მგლოვიარე და განებივრებული, უცხოობას და სიღატაკეს უცებ და თავისი ნებით ვერ შეეთვისებოდა. ზიდჰარტა არაფერს აძალებდა ბიჭს, თავად აკეთებდა მის გასაკეთებელ საქმეს, სულ მუდამ საუკეთესო ლუკმას ურჩევდა საჭმელიდან. იმედი ჰქონდა, რომ ნელ-ნელა, კეთილგანწყობილი მოთმინებით მოიგებდა მის გულს.

როდესაც შვილი იპოვა, მდიდარ და ბედნიერ კაცად ჩათვალა თავი ზიდჰარტამ. მაგრამ, რაც დრო გადიოდა და ბიჭი ისევ უცხო და დაღვრემილი, ჯიუტი და ამაყი რჩებოდა, არაფრის გაკეთებას არ კადრულობდა, არც მოწიწებას ამჟღავნებდა მოხუცების მიმართ და ვაზუდევას ბაღიდან ხილს იპარავდა, მიხვდა ზიდჰარტა, რომ შვილმა ბედნიერება და სიხარული კი არ მოუტანა მას, არამედ დარდი და წუხილი. მაინც უყვარდა ზიდჰარტას იგი და ეს სიყვარულიანი დარდი და წუხილი ერჩივნა ბიჭის გარეშე ბედნიერებასა და სიხარულს.

მას მერე, რაც პატარა ზიდჰარტა მათთან ცხოვრობდა ქოხში, კაცებმა გადაინაწილეს სამუშაო. ვაზუდევამ კვლავ მარტომ განაგრძო მებორნეობა, ხოლო ზიდჰარტა, თავის ვაჟთან რომ ყოფილიყო, სახლში და ყანაში უძღვებოდა საქმეებს.

დიდხანს, მრავალი თვე ელოდა ზიდჰარტა იმას, რომ შვილი მას გაუგებდა, მამის სიყვარულს იგრძნობდა და იგივეთი უპასუხებდა. მრავალი თვე მდუმარედ ადევნებდა თვალ-ყურს ვაზუდევა მათ. მაგრამ ერთ დღეს, როდესაც უმცროსმა ზიდჰარტამ მამამისი თავისი ჯიუტობითა და ახირებებით გააწამა და მერე კიდევ ბრინჯის ორი თასი დაუმსხვრია, ვაზუდევამ სალაპარაკოდ განზე გაიყვანა თავისი მეგობარი.

მაპატიე, – თქვა მან, – კეთილი გულით მსურს შენთან საუბარი. ვხედავ, რომ იტანჯები, ვხედავ, რომ წუხხარ. შენმა შვილმა, ჩემო კარგო, ბევრი სადარდებელი გაგიჩინა, მეც ძალიან მადარდებს მისი ბედი. სხვანაირ ცხოვრებას, სხვანაირ კარ-მიდამოს არის იგი მიჩვეული. შენსავით ზიზღით და მოყირჭებისგან როდი გამოქცევია იგი სიმდიდრესა და ქალაქს, თავისი ნების საწინააღმდეგოდ იყო იძულებული, ეს ყველაფერი მიეტოვებინა. მე მდინარეს დავეკითხე რჩევა ო, მეგობარო, ბევრჯერ დავეკითხე მე მას. მდინარე კი იცინის, დამცინის, მე და შენ დაგვცინის და იშმუშნება ჩვენს სიშლეგეზე. წყალს წყალთან სურს ყოფნა, სიყმაწვილეს – სიყმაწვილესთან. შენი შვილი არ არის იქ, სადაც ზრდა და გაფურჩქვნა შეეძლება. ჰკითხე შენც მდინარეს, დაუჯერე შენც მას.

შეწუხებული შესცქეროდა ზიდჰარტა ვაზუდევას კეთილ სახეს, რომლის ნაოჭებიდან უცვლელი სიხალისე გამოსჭვიოდა. მაშასადამე, უნდა დავშორდე მას? – იკითხა ზიდჰარტამ ჩუმად, დარცხვენილად. – ცოტა კიდევ მადროვე, ჩემო კარგო! ხომ ხედავ, მე ვიბრძვი მისთვის, მისი გულის მოგებას ვცდილობ. სიყვარულით, კეთილგანწყობილი მოთმინებით მსურს მისი გულის მოგება. ოდესმე მასაც უნდა ესაუბროს მდინარე, იგიც მოწოდებულია.

თბილი ღიმილი დასთამაშებდა ვაზუდევას სახეზე. ო, დიახ, ისიც არის მოწოდებული, ისიც საუკუნო სიცოცხლისათვის არის ნიშანდებული. მაგრამ ვიცით კი ჩვენ, შენ და მე, რისთვის არის იგი მოწოდებული, რომელი გზისთვის, როგორი საქმეებისთვის, როგორი ტანჯვისათვის? მცირე არ იქნება მისი ტანჯვა, ამაყი და მკაცრია მისი გული, ბევრ ტანჯვას ნახულობენ ასეთნი, ბევრს ცდებიან, ბევრ უსამართლობას სჩადიან, ბევრ ცოდვას ტვირთულობენ. მითხარი, ჩემო კარგო, მკაცრად ზრდი შენ შენს შვილს? იძულებით აკეთებინებ მას რამეს? სცემ მას? სჯი მას?

არა, ვაზუდევა, არაფერს ამის მსგავსს მე არ ვაკეთებ.

მე ვიცი ეს. შენ არას აძალებ მას, არ სცემ, არ უბრძანებ, რადგან იცი: რბილი უფრო მტკიცეა, ვიდრე მაგარი, წყალი უფრო მტკიცეა ვიდრე, ყინული, სიყვარული კი უფრო მტკიცეა ვიდრე, ძალა. მაგრამ, ხომ არ ცდები, როცა გგონია, რომ არას აძალებ, არ სჯი მას? ხომ არ იბამ მას შენზე შენი სიყვარულით? ხომ არ ამუნათებ მას ყოველდღიურად და კიდევ უფრო უმძიმებ ცხოვრებას შენი გულკეთილობითა და მოთმინებით? ხომ არ აძალებ მას, ქედმაღალსა და განებივრებულ ბიჭუნას ქოხში ცხოვრებას ორ ბებერ ბანანჭამიასთან ერთად, რომელთაც ბრინჯიც კი ნუგბარად მიაჩნიათ, რომელთა ფიქრებიც არ არიან მისი, რომელთა გულებიც დაბერებულნი და ჩაწყნარებულნი არიან და რომლებიც სხვანაირად ფეთქავენ ვიდრე მისი? ხომ არ არის იგი ყოველივე ამით ნაიძულევი, ხომ არ არის დასჯილი?

ნირწამხდარი დასცქეროდა ზიდჰარტა მიწას. რას ფიქრობ, როგორ მოვიქცე? – ჩუმი ხმით იკითხა მან.

თქვა ვაზედუვამ: ქალაქში წაიყვანე და დედამისის სახლში მიიყვანე იგი. კიდევ იქნებიან იქ მსახურები დარჩენილნი და მათ ჩააბარე. და თუ იქ ვეღარავის ნახავ, მაშინ მასწავლებელს მიუყვანე, არა სწავლების გამო, არამედ სხვა ბიჭებთან და გოგოებთან ერთად და იმ სამყაროში რომ იყოს, რომელიც მისია. არასოდეს გიფიქრია ამაზე?

ჩემს გულში იხედები, ვაზუდევა, – სთქვა ზიდჰარტამ მწუხარედ, – ხშირად მიფიქრია ამაზე, მაგრამ მითხარი, ამ ქვეყანაზე როგორ უნდა გავუშვა იგი, ვისაც ისედაც არ აქვს მშვიდი გული,? მერე და არ გაზულუქდება იგი, ნდომა და ძალაუფლება არ აუბნევს თავგზას, არ გაიმეორებს მამამისის შეცდომებს, არ გაითქვიფება იგი სრულიად სანსარაში?

ნათელ ღიმილს ასხივებდა მებორნე;. ოდნავ შეეხო იგი ზიდჰარტას მკლავზე: ჰკითხე ამის შესახებ მდინარეს, მეგობარო! მოისმინე, თუ როგორ გაიცინებს იგი ამაზე! ნუთუ მართლა გგონია, რომ სიგიჟეები იმიტომ ჩაიდინე, რომ ამით შენი ვაჟი დაგენდო მათგან? გგონია, შეგიძლია შენი ვაჟი სანსარასგან დაიცვა? კი მაგრამ, როგორ? სწავლებით, ლოცვებით, გაფრთხილებებით? ნუთუ, სულ დაგავიწყდა, ჩემო კარგო, ის ჭკუისსასწავლი ამბავი ბრაჰმანის ვაჟ ზიდჰარტასი, ერთხელ აქ, ამ ადგილას რომ მომიყევი? ვინ დაიხსნა სამანა ზიდჰარტა ცოდვისაგან, სიხარბისაგან, სიშლეგისაგან? მამამისის ღვთისმოსაობამ, მასწავლებლების მოწოდებებმა, თავისმა ცოდნამ, თავისმა ძიებამ შეაძლებინა მას, თავი ეხსნა? რომელ მამას, რომელ მოძღვარს შეეძლო მისი დაცვა იმისგან, რომ თავად არ ეცხოვრა განცხრომით, რომ თავად არ გასვრილიყო ცხოვრების ჭუჭყით, რომ თავად არ ეზიდა დანაშაული, რომ თავად არ დაელია მწარე სასმელი, თავად რომ არ ეპოვნა თავისი გზა? ნუთუ გგონია, ჩემო კარგო, რომ ვინმე გადაურჩება ამ გზას? იქნებ შენი შვილიკო, რადგან გიყვარს იგი და ძალიანაც გსურს ტანჯვას, ტკივილსა და იმედის გაცრუებას აარიდო იგი? ათჯერაც რომ მოკვდე მისთვის, ერთ ნამცეცსაც კი ბედისწერისას ვერ ააშორებ მას.

ამდენი სიტყვა ერთად არასოდეს წარმოეთქვა ვაზუდევას. გულითადი მადლობა უთხრა მას ზიდჰარტამ, დარდიანი შევიდა ქოხში. დიდხანს რული არ ეკარებოდა მის თვალებს. ისეთი არაფერი უთქვამს მისთვის ვაზუდევას, რაც თავადაც არ ეფიქრა და არ სცოდნოდა. მაგრამ ეს ის ცოდნა იყო, რომლის ხორცშესხმა მას არ შეეძლო. ამ ცოდნაზე უფრო მტკიცე იყო მისი სიყვარული, მისი სინაზე ბიჭის მიმართ, მისი შიში ბიჭის დაკარგვისა. ჩავარდნია კი ოდესმე ასე ძლიერ რაიმე გულში, ასე ჰყვარებია ვინმე, ასე ბრმად, ასე მტანჯავად, ასე უნაყოფოდ და მაინც ასე ტკბილად?

ვერ გაჰყვებოდა ზიდჰარტა მეგობრის რჩევას, ვერ გაუშვებდა იგი თავის შვილს. მისცა ბიჭს ნება, ემბრძანებლა მასზე, უპატივცემულოდ მოპყრობოდა მას. დუმდა და ელოდა. დაიწყო ზიდჰარტამ ყოველდღიური მუნჯი ბრძოლა გულითადობისა, უხმო ომი მოთმინებისა. ვაზუდევაც დუმდა და ელოდა, თავაზიანად, მცოდნედ, შემწყნარედ. თმენის ოსტატები იყვნენ ორთავე.

ერთხელ ბიჭის სახემ კამალა გაახსენა, გონებაში კამალას ნათქვამი ამოუტივტივდა, დიდი ხნის წინ, სიყმაწვილის წლებში რომ უთხრა ზიდჰარტას. შენ არ შეგიძლია სიყვარული – უთხრა მაშინ კამალამ და ზიდჰარტამ აღიარა კიდეც მისი სიმართლე და საკუთარი თავი ვარსკვლავს, ხოლო ბავშვადამიანები მომწყდარ ფოთლებს შეადარა, თუმცა იქვე იგრძნო კიდეც, საყვედურმა რომ გამოჟონა კამალას სიტყვებიდან. მართლაც, არასდროს შეეძლო ზიდჰარტას სხვის გამო თავ-გზა დაეკარგა, სხვისთვის მიეძღვნა თავი სრულიად, საკუთარი თავი დაევიწყებინა, სხვისი სიყვარულის გამო სიგიჟეები ჩაედინა. ეს არასდროს შეეძლო და ეს იყო, როგორც მაშინ ეჩვენებოდა, ის დიდი განსხვავება, რომელიც მას ბავშვადამიანებისგან აშორებდა. ახლა კი, რაც მისი ვაჟი მასთან იყო, ახლა ისიც, ზიდჰარტაც, ბავშვადამიანად ქცეულიყო სრულიად, სხვის გამო ტანჯული, სხვისი მყვარებელი, სიყვარულისგან თავდავიწყებული, სიყვარულისგან ბრიყვადქცეული. ახლა კი გრძნობდა ისიც ცხოვრებაში პირველად ამ ყველაზე ძლიერ და უცნაურ ვნებას. იტანჯებოდა ამის გამო, იტანჯებოდა საწყალობლად და იყო მაინც ბედნიერი, რაღაცით გახალისებული, რაღაცით გამდიდრებული.

კარგად გრძნობდა იგი, რომ ეს სიყვარული, ეს ბრმა სიყვარული თავისი ვაჟის მიმართ, ეს ვნება, ეს რაღაც ძალზე ადამიანური, რომ ყოველივე ეს სანსარა იყო – მღვრიე წყარო, ბნელი წყალი. დამმაინც ხვდებოდა იმავდროულად, რომ ისიც ფასეული, ისიც საჭირო იყო, ისიც მისი არსიდან მოდიოდა დაეეს ვნებაც უნდა მოენანია, ეს ტკივილებიც უნდა ეგემა, ეს სიგიჟეც უნდა ჩაედინა. და ბიჭიც აიძულებდა მამას, ჩაედინა სიგიჟეები, ებრძოლა მისი გულის მოსაგებად, დამორჩილებოდა მის ახირებებს. არაფერი ჰქონდა ამ მამას ისეთი, რაც მას მოხიბლავდა, არაფერი ისეთი რისი რიდიც მას ექნებოდა. კარგი კაცი ჩანდა ეს მამა, კარგი, კეთილი, უწყინარი, შეიძლება ძალზე ღვთისმოსავი, სულაც წმინდანი – თუმცა არცერთი იყო იმ თვისებათაგანი, რითაც ბიჭის კეთილგანწყობას მოიპოვებდა. მომაბეზრებელი იყო ეს მამა, თავის საცოდავ ქოხში რომ ჰყავდა შვილი დატყვევებული, რომელიც მის ყოველ უსაქციელობას ღიმილით, ყოველ უკმეხობას თავაზიანობითა და ყოველ ბოროტებას სიკეთით პასუხობდა. ყველაზე მეტად ბებერი გაიძვერას ეს სიცბიერე სძულდა ბიჭს. ბევრად ერჩივნა, მამისგან გვემული და დაშინებული ყოფილიყო.

ერთხელაც დადგა დღე, როდესაც ნორჩ ზიდჰარტაში დაგროვილმა ბოღმამ ამოხეთქა და მან აშკარად გაილაშქრა მამის წინააღმდეგ. ზიდჰარტამ ფიჩხის მოგროვება დაავალა შვილს. მაგრამ ბიჭი არ გავიდა ქოხიდან. ჯიუტად, გამძვინვარებული შედგა იგი, ერთ ადგილს დაუწყო ტკეპნა, მომუშტა ხელები და მთელი ზიზღი და სიძულილი შეაფრქვია მამას სახეში.

შენ თვითონ მოიტანე ეგ შენი ფიჩხი! – ყვიროდა გაცეცხლებული, – მე შენი ყმა არ ვარ. კარგად ვხვდები, არ მცემ, რადგან ვერ ბედავ ამას, შენი სათნოებითა და ლმობიერებით გინდა ჩემი დასჯა და დამცირება. შენ გინდა, მეც შენნაირი გავხდე, შენსავით სათნო და უწყინარი და შენსავით ბრძენი. მაგრამ კარგად გაიგე: მიჯობს, შენი გულის გასახეთქად, შარაგზის ყაჩაღი და მკვლელი გამოვიდე და ჯოჯოხეთში წავიდე, ვიდრე შენნაირი გავხდე! მძულხარ, შენ არ ხარ ჩემი მამა, თუნდაც ათგზის ყოფილიყავი დედაჩემის კურო.

რისხვა და წუხილი დუღდა მასში და ასობით ბინძურ და ბრაზიან სიტყვად იფრქვეოდა მამამისის მიმართ. შემდეგ გავარდა გარეთ და მხოლოდ გვიან საღამოს დაბრუნდა შინ.

მეორე დილით სადღაც გამქრალიყო ბიჭი. მასთან ერთად აღარც პატარა, ორმაგი ხრალისგან მოწნული კალათი ჩანდა, რომელშიც მებორნეები გასამრჯელოდ მიღებულ სპილენძისა და ვერცხლის ფულს აგროვებდნენ. გამქრალიყო ნავიც, ზიდჰარტამ მდინარის გაღმა ნაპირზე მოჰკრა მას თვალი. ბიჭი გაქცეულიყო.

უნდა გავეკიდო, – თქვა ზიდჰარტამ, რომელიც ბიჭის წინადღის ლანძღვა-გინების მერე მწუხარებისაგან კანკალებდა, – ტყეში ვერ გაიგნებს გზას მარტოხელა ბავშვი, დაიღუპება. ტივი უნდა შევკრათ, ვაზუდევა, მდინარეზე გადასასვლელად.

ჩვენ უნდა შევკრათ ტივი, – თქვა ვაზუდევამ, – რათა ჩვენი ნავი დავიბრუნოთ, რომელიც ყმაწვილმა გაიტაცა. ის თავად კი უნდა გაუშვა, მეგობარო, აღარაა იგი ბავშვი და ისიც იცის, როგორ უშველოს თავს. იგი ქალაქის გზას ეძებს და მართალიც არის ამაში, არ დაივიწყო ეს. იგი იმას აკეთებს, რომლის გაკეთებაც შენ დააგვიანე. თავის თავზე ზრუნავს, თავის გზაზე მიდის იგი. ეჰ, ზიდჰარტა, ვხედავ რომ იტანჯები, მაგრამ შენ იმ ტკივილების გამო იტანჯები, რომელთა გამოც იცინოს უნდა კაცმა და რომელთა გამო შენც სულ მალე გაიცინებ.

ზიდჰარტამ არაფერი უპასუხა. მას უკვე ნაჯახი ეჭირა ხელში, ბამბუკებისაგან ტივის შეკვრას შეუდგა. ვაზუდევა ეხმარებოდა, ბალახისგან მოწნული თოკით ბამბუკებს კრავდა. შემდეგ მდინარის გადაცურვას შეუდგნენ, დინებამ ქვემოთ წაიღო ისინი და მდინარის მეორე მხარეს აღმა მოუწიათ ტივის ათრევა.

რად წამოიღე ნაჯახი? – ჰკითხა ვაზუდევას ზიდჰარტამ.

შეიძლება, დაკარგული იყოს ჩვენი ნავის ნიჩაბი, – თქვა ვაზუდევამ.

თუმცა ხვდებოდა ზიდჰარტა, რასაც ფიქრობდა მისი მეგობარი. იგი ფიქრობდა, რომ ბიჭს შესაძლოა, გადაეგდო ან დაემტვრია ნიჩაბი, რათა სამაგიერო გადაეხადა და დევნა გაეძნელებინა კაცებისათვის. მართლაც, ნიჩაბი აღარ იყო ნავში. ვაზუდევამ ნავის ფსკერზე ანიშნა და ღიმილით შეხედა მეგობარს, თითქოს უნდოდა ეთქვა: ვერ ხედავ, რისი თქმა სურს შენთვის შენს ვაჟიშვილს? ვერ ხედავ, არ სურს, რომ შენ იგი ეძებო! უსიტყვოდ თქვა მან ეს და ნიჩბის გამოთლას შეუდგა. ზიდჰარტა კი დაემშვიდობა მეგობარს და გაქცეული ბიჭის საძებრად გასწია. ვაზუდევა აღარ შეწინააღმდეგებია მას.

კარგა დიდი გზა ჰქონდა უკვე ზიდჰარტას ტყეში გავლილი, როდესაც იაზრა, თუ რა ამაო იყო მისი ძიება. ბიჭი ან უკვე კარგა ხანია გასცდა ტყეს და ქალაქს მიაღწია, ფიქრობდა ზიდჰარტა, ანდა თუ ჯერ კიდევ გზაშია, მაშინ შეეცდება, მას, მადევარს დაემალოს. ზიდჰარტამ კვლავ განაგრძო ფიქრი და მიხვდა იმასაც, რომ შვილის გამო არ ღელავდა, რამეთუ შინაგანად იცოდა, ბიჭი არც დაღუპული იყო და არც რაიმე საფრთხე ელოდა ტყეში. მაინც შეუსვენებლივ მირბოდა ზიდჰარტა, არა იმისთვის რომ შვილი გადაერჩინა, არამედ წადილი შვილის კიდევ ერთხელ ნახვისა რომ აესრულებინა. ასე სირბილ-სირბილით იარა მან ქალაქამდე.

ქალაქის ახლოს, ფართო შარაზე გავიდა და ლამაზი ბაღის შესასვლელთან შედგა ზიდჰარტა, ბაღისა, რომელიც კამალას ეკუთვნოდა ოდესღაც, სადაც ტახტრევანზე მჯდომი პირველად ნახა იგი. იმდროინდელი სურათი ამოიმართა ზიდჰარტას სულში, კვლავ თავის თავი დაინახა იქ მდგომი, ახალგაზრდა, წვერმოშვებული,

შიშველი, თმადამტვერილი სამანა. დიდხანს იდგა ზიდჰარტა და იცქირებოდა ბაღის ღია კარიბჭეში. ლამაზი ხეების ჩრდილში მოსიარულე ყვითელ კუკნკულებიან ბერებს ხედავდა იგი.

დიდხანს იდგა იგი. ჩაფიქრებული წარსულის სურათებს ხედავდა, თავისი ცხოვრების ამბავს მიუგდებდა ყურს. დიდხანს იდგა, შესცქეროდა ბერებს, მათ მაგივრად ყრმა ზიდჰარტას ხედავდა, ყრმა კამალას ხედავდა, მაღალი ხეების ძირში მიმავალს. ცხადად ხედავდა, როგორ გაუმასპინძლდა კამალა, როგორ აკოცა პირველად, როგორ ამაყად და აგდებით გასცქეროდა თავის წარსულ ბრაჰმანობას, როგორ ამაყად და მოწადინებით შეუდგა ერისკაცობას. ხედავდა კამასვამის, ხედავდა მსახურებს, ღრეობას, კამათლის მოთამაშეებს, მუსიკოსებს, ხედავდა კამალას მგალობელ ჩიტს გალიაში, ყოველივე ამით ცხოვრობდა ისევ, სუნთქავდა სანსარას, იყო ისევ ბებერი და დაღლილი, გრძნობდა ისევ ზიზღს, გრძნობდა ისევ სურვილს თავისი თავის გაქრობისა, იკურნებოდა ისევ ომის მიერ.

ბაღის კარიბჭესთან დიდი ხნის დგომის შემდეგ, შეიცნო ზიდჰარტამ, რომ გიჟური იყო საწადელი, რომელიც აქეთკენ მოერეკებოდა, რომ ვერაფრით დაეხმარებოდა შვილს და რომ არც მასზე მიჯაჭვული უნდა ყოფილიყო. ღრმა ჭრილობასავით შეიგრძნობდა სიყვარულს გაქცეული შვილის მიმართ და გრძნობდა იმავდროულად, რომ ეს ჭრილობა იმისთვის არ მისცემოდა, მასში რომ ეჩიჩქნა, რომ ეს ჭრილობა უნდა აყვავილებულიყო და გაბრწყინებულიყო.

და დარდობდა აქამდე რომ არ ყვაოდა, ჯერ რომ არ ბრწყინავდა ეს ჭრილობა. იმ სასურველი მიზნის ნაცვლად, რამაც აქეთკენ, თავისი შვილისკენ გამოაქანა, სიცარიელეს დაესადგურებინა. დარდიანი დაეშვა მიწაზე, გრძნობდა, რაღაცა კვდებოდა მის გულში, სიცარიელეს გრძნობდა, ვეღარაფერს სასიხარულოს, ვეღარანაირ მიზანს ვეღარ ხედავდა. იჯდა ჩაღრმავებული და მომლოდინე. ეს მდინარესთან ისწავლა მან: ლოდინი, მოთმინება, ყურის გდება. იჯდა და უგდებდა ყურს, ქუჩის მტვერში თავის გულს მიუგდებდა ყურს, იმას თუ როგორ დაღლილად და დამწუხრებულად ფეთქავდა იგი, რაღაც ხმას ელოდებოდა. რამდენიმე საათი ასე მიყურადებული იჯდა ჩაცუცქული, ვერაფერს ამჩნევდა თავის გარშემო, ინთქმეოდა სიცარიელეში, მინებდა ამ დანთქმას, ისე რომ გზას ვეღარ ხედავდა ვერანაირს. და როდესაც ჭრილობა აეწვებოდა, ამბობდა უხმოდ ომს, ივსებოდა ომით. ბერები ბაღიდან ხედავდნენ მას, ჩაცუცქულს თითქმის მთელი დღის განმავლობაში, ჭაღარა თმაზე მტვერი რომ ედებოდა. ერთი ბერი მივიდა მასთან და ორი პიზანგი დაუწყო წინ მიწაზე. მოხუცს არც კი დაუნახავს ისინი.

მხარზე ხელის შეხებამ გამოაფხიზლა ზიდჰარტა ამ გარინდებიდან. უმალ იცნო ეს ნაზი, მორიდებული შეხება და გონს მოეგო. ზიდჰარტა წამოდგა და მიესალმა ვაზუდევას, რომელიც მას გამოჰყოლოდა. და როდესაც მან ვაზუდევას კეთილ სახეს, მის პატარა, თითქოსდა ხმამაღალი ღიმილით ავსებულ ნაოჭებს, მის ნათელ თვალებს შეხედა, გაიღიმა თავადაც. მაშინვე თავის წინ დალაგებული პიზანგის ორი ნაყოფიც დაინახა, აიღო ისინი, ერთი მებორნეს მისცა, მეორე კი თვითონ შეჭამა.

შემდეგ კი ვაზუდევასთან ერთად მდუმარედ გაემართა ტყისკენ და შინ, ბორანთან დაბრუნდა. არცერთს ხმა არ ამოუღია იმაზე, რაც ამ დღეს მოხდა, არცერთს ბიჭის სახელი არ უხსენებია, არც მის გაქცევაზე ულაპარაკიათ და არც ჭრილობაზე. ქოხში თავის სარეცელზე მიწვა ზიდჰარტა და ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ვაზუდევა მიეახლა, თასით ქოქოსის რძე რომ მიეწოდებინა, ჩაძინებული დახვდა იგი.

ომ

კიდევ დიდხანს ეწვოდა ჭრილობა. ზოგიერთ მგზავრს, რომლებიც მდინარეზე გადაჰყავდა ზიდჰარტას, ვაჟი ან ქალი ახლდათ ხოლმე და ვერავის ამათგან ვერ შესცქეროდა შურის გარეშე, რომ არ ეფიქრა: ასე უამრავ, ათასობით ადამიანს აქვს სანუკვარი ბედნიერება – და რატომ მე არა? ბოროტ ადამიანებსაც, ქურდებსა და ყაჩაღებსაც ჰყავთ და უყვართ შვილები და მათგანაც იღებენ სიყვარულს, მხოლოდ მე არა. ასე უბრალოდ, ჭკუა-გონების გარეშე ფიქრობდა იგი ახლა, ასე დამსგავსებოდა იგი ბავშვადამიანებს;

ადრინდელისგან განსხვავებულად ხედავდა იგი ადამიანებს: ნაკლებად გონების თვალით, ნაკლებად სიამაყით, სამაგიეროდ მეტი სითბოთი, მეტი ცნობისმოყვარეობით, თანაგრძნობით. როდესაც, ჩვეულებრივ, მდინარეზე გადაჰყავდა მგზავრები: ბავშვადამიანები, ვაჭრები, მეომრები, დედაკაცები, ისე უცხოდ, როგორც ოდესღაც, აღარ ეჩვენებოდა ეს ხალხი. ესმოდა მათი, ესმოდა და იზიარებდა მათ, არა ფიქრებისა და შორსმჭვრეტელობისგან, არამედ ოდენ მისწრაფებებისა და სურვილებისგან წარმართულ ცხოვრებას, მათნაირად აღიქვამდა იგი საკუთარ თავსაც. მიუხედავად იმისა, რომ ახლო იყო სრულქმნილებასთან, და უკანასკნელი ჭრილობაღა აწვალებდა, ეჩვენებოდა მაინც, რომ ეს ბავშვადამიანები მისი ძმები იყვნენ. მათი მედიდურობა, გაუმაძღრობა, სასაცილოობა კარგავდნენ სასაცილოობას მისთვის, ხდებოდნენ გასაგებნი, სიყვარულის, ზოგჯერ კი თაყვანისცემის ღირსნიც. დედის ბრმა სიყვარული შვილის მიმართ, გაფუყული მამის სულელური, ბრმა სიამაყე თავის ერთადერთი ვაჟის გამო, ამპარტავანი ყმაწვილი ქალის სწრაფვა სამკაულის, მამაკაცის აღტაცებული მზერის მიმართ, ყველა ეს მისწრაფება, ყველა ეს ბავშვურობა, ყველა ეს უბრალო, გიჟური მაგრამ საოცრად მტკიცე, ძლიერ ცოცხალი, ყველაფრის გამტანი მისწრაფება და ვნებიანობა ახლა აღარ იყო ზიდჰარტასთვის ბავშვურობა. ხედავდა რომ სწორედ ამისთვის ცხოვრობდნენ ადამიანები, ხედავდა რომ ამისთვის ირჯებოდნენ უსაზღვროდ, მოგზაურობდნენ, ომიანობდნენ, უსაზღვროდ იტანჯებოდნენ, უსაზღვროდ ითმენდნენ. სწორედ ამათ გამო შეეძლო ზიდჰარტას მათი სიყვარული, ხედავდა სიცოცხლეს, ცოცხალს, უმსხვრევს, ბრაჰმანს ყოველ მათ ვნებაში, ყოველ მათ საქციელში. სიყვარულის ღირსნი, აღფრთოვანების ღირსნი იყვნენ ეს ადამიანები თავიანთ ბრმა ერთგულებაში, თავიანთ ბრმა სიმტკიცესა და შეუპოვრობაში.

არაფერი აკლდათ მათ, არაფრით აღემატებოდნენ მათ მცოდნენი და მოაზროვნენი, გარდა ერთი პაწაწინა რამისა: ცნობიერებისა, სიცოცხლის ერთიანობის ცნობიერი გააზრებისა. და ზიდჰარტა ზოგჯერ ეჭვობდა კიდეც, ასე დასაფასებელი თუ იყო ეს ცოდნა, ეს აზრი, ესეც მოაზროვნე ადამიანების, მოაზროვნე ბავშვადამიანების ბავშვურობა ხომ არ იყო. სხვა დანარჩენში კი ერისკაცი თანასწორი იყო ბრძენკაცისა, ხშირად კი მასზე აღმატებულიც, ისევე როგორც ზოგჯერ ცხოველები თავიანთ ჯიუტ, ურყევ ქმედებაში შეიძლება ადამიანზე აღმატებულადაც გამოიყურებოდნენ.

ნელა იფურჩქნებოდა, ნელა მწიფდებოდა ზიდჰარტაში შეცნობა, ცოდნა იმისა, თუ რა არის სიბრძნე, თუ რა არის მიზანი მისი ხანგრძლივი ძიებისა. ეს სხვა არა იყო რა, თუ არა მზაობა სულისა, უნარი, იდუმალი ხელოვანება, ყოველ წამს, შუაგულ ცხოვრებაში ერთიანობის ფიქრები ეფიქრა, ერთიანობის შეგრძნება და შესუნთქვა შესძლებოდა. ნელა იფურჩქნებოდა ეს მასში, შემოესხივებოდა ვაზუდევას ბავშვური სახიდან: ჰარმონია, ცოდნა სამყაროსი, ღიმილის, ერთიანობის მარადიული სრულყოფილებისა.

მაგრამ ისევ ეწვოდა ჭრილობა, გზნებითა და სიმწრით იხსენებდა ზიდჰარტა თავის ვაჟს, გულში თავის სიყვარულსა და სინაზეს უფრთხილდებოდა, ტკივილს აჭმევინებდა თავს, სჩადიოდა სიყვარულის ყველა სიგიჟეს. არ ქრებოდა თავისით ეს ალი.

დდა ერთ დღესაც, როცა მწარედ ეწვოდა ჭრილობა, მდინარეზე გადადიოდა ზიდჰარტა. მონატრებული გადმოვიდა ნაპირზე და ქალაქში შვილის მოსაძებნად წასვლა ისურვა. მდორედ, ჩუმად მოედინებოდა მდინარე – წლის მშრალი დრო იდგა – მაგრამ უცნაურ ხმას გამოსცემდა იგი: იცინოდა, აშკარად იცინოდა. მდინარე იცინოდა, ნათლად და მკაფიოდ დასცინოდა მოხუც მებორნეს. ზიდჰარტა შედგა, წყალზე გადაიხარა, უკეთ რომ მოესმინა მდინარისთვის და წყნარად მიმავალ წყალში არეკლილი თავისი სახე დაინახა და ამ ანარეკლ სახეში იყო რაღაცა, რაც მას რაღაც მივიწყებულს ახსენებდა. რომ დაუფიქრდა, მიხვდა კიდეც: ეს სახე სხვისას ჰგავდა, ვისაც იცნობდა, ვინც უყვარდა და ვისიც ეშინოდა კიდეც ოდესღაც. იგი მამამისის, ბრაჰმანის სახეს ჰგავდა. და გაახსენდა, დიდი ხნის წინათ როგორ აიძულა ერთმა ყმაწვილმა მამამისი, მონანიეებთან გაეშვა იგი, როგორ დაემშვიდობა მამას, როგორ წავიდა და აღარ დაბრუნებულა აღარასოდეს. განა მამამისიც იმ სატანჯველით არ გაიტანჯა, რომლითაც იგი თავისი ვაჟის გამო ახლა იტანჯებოდა? განა მამამისი დიდი ხნის წინ ეულად, შვილის უნახავად არ გარდაიცვალა? არ იყო განა ეს კომედია, უცნაური და სულელური რამე, ეს განმეორება, ეს სრბოლა საბედისწერო წრეზე?

მდინარე იცინოდა. დიახ, ასე იყო ეს, ყველაფერი, რაც ბოლომდე ტანჯვაგანცდილი და ამოხსნილი არ იყო, კვლავ უკან ბრუნდებოდა, ერთი და იგივე ტანჯვა განიცდებოდა სულ მუდამ. ზიდჰარტა ისევ ჩაჯდა ნავში და უკან, ქოხისკენ გაცურა მამაზე მოფიქრალმა, შვილზე მოფიქრალმა, მდინარისგან საცინლად აგდებულმა, საკუთარ თავთან მოდავემ, სასოწარკვეთისკენ მიდრეკილმა და არანაკლებ მიდრეკილმა იმისკენ, რომ საკუთარ თავზე და მთელს სამყაროზე ეცინა მასაც ხმამაღლა. ეჰ, ჯერ არ იფურჩქნებოდა ჭრილობა, ჯერ კიდევ ებრძოდა მისი გული ბედს, ჯერ არ ასხივებდა სიხალისე და გამარჯვება მისი სატანჯველიდან. და მაინც იმედს გრძნობდა იგი, და როდესაც ქოხთან დაბრუნდა, დაუძლეველ საწადელს შეეპყრო, მთლიანად გახსნილიყო ვაზუდევას წინაშე, ყველაფერი გადაეშალა, ყველაფერი ეთქვა მისთვის, ყურის გდების ოსტატისათვის.

ვაზუდევა ქოხში იჯდა და კალათს წნავდა. საბორნე ნავს აღარ დაატარებდა იგი, თვალში ჩინი, ხოლო მკლავებში ჯანი დაჰკლებოდა. უცვლელი და მოყვავილე მას მხოლოდ სიხარული და სახეზე ხალისიანი კეთილგანწყობა შემორჩენოდა.

ზიდჰარტა გვერდით მიუჯდა ბერიკაცს და ნელ-ნელა წამოიწყო ლაპარაკი. იმაზე რაზეც არასოდეს ულაპარაკიათ. ახლა ჰყვებოდა ზიდჰარტა მაშინ ქალაქში წასვლაზე, მწველ ჭრილობაზე, თავის შურზე ბედნიერი მამების ნახვისას, თავის ცოდნაზე ამგვარი სურვილების გიჟურობის შესახებ და ამ სურვილებთან თავის ბრძოლაზე. ყველაფერს მოახსენებდა იგი ვაზუდევას. ყველაფრის ამოთქმა, ყველაფრის მოყოლა, ყველაფრის გამოაშკარავება შესძლო მან, ყველაზე საჩოთიროსიც კი. გააშიშვლა თავისი ჭრილობა, მოჰყვა დღევანდელ გაქცევაზე: როგორ გადავიდა იგი, ბავშვურად ლტოლვილი, მდინარეზე, როგორ სურდა ქალაქში გამგზავრება, როგორ იცინა მდინარემ.

ვიდრე იგი ლაპარაკობდა, დიდხანს ლაპარაკობდა, ვიდრე ვაზუდევა წყნარად უგდებდა ყურს, ზიდჰარტა გრძნობდა ვაზუდევას ამ მოსმენას უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე უგრძნია იგი, ზიდჰარტა გრძნობდა, როგორ იფანტებოდა მისი ტკივილები და შეშფოთებები, როგორ ქრებოდა მისი იდუმალი იმედი, და შემდეგ კვლავ როგორ უბრუნდებოდა ისინი მას. ამ მსმენელისთვის თავისი ჭრილობა რომ დაენახვებინა, ეს იგივე იყო, მდინარეში განებანა ჭრილობა მანამ, სანამ არ გაგრილდებოდა და ერთი არ გახდებოდნენ იგი და მდინარე. ვიდრე ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, ჯერ კიდევ აღიარებასა და აღსარებას ეუბნეოდა ვაზუდევას, გრძნობდა ზიდჰარტა სულ უფრო და უფრო, რომ ის ვინც მას უსმენდა, აღარ იყო ვაზუდევა, აღარ იყო ადამიანი, რომ ეს გაქვავებული მსმენელი მის აღსარებას, ვითარცა ხე წვიმას, ისე შეიწოვდა, რომ იგი თავად ღმერთი, თავად მარადიული იყო. და როდესაც ზიდჰარტამ შეწყვიტა თავის თავზე და თავის ჭრილობაზე ფიქრი, ამ შეგნებამ ვაზუდევას შეცვლილი ბუნებისა, მთლიანად დაიპყრო იგი და რაც უფრო მეტად შეიგრძნობდა და ღრმად წვდებოდა ამას, მით უფრო მეტად ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი სწორი და ბუნებრივი იყო, რომ ვაზუდევა უკვე დიდი ხანია, ლამის სულ მუდამ, ასეთი იყო, რომ უბრალოდ იგი, ზიდჰარტა თავად ვერ ხვდებოდა ბოლომდე ამას, და რომ თავადაც ოდნავ თუ განსხვავდებოდა ვაზუდევასგან. გრძნობდა, რომ იგი მოხუც ვაზუდევას ისევე ხედავდა, როგორც ხალხი ხედავს ღმერთებს და რომ ეს დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა; გულში ვაზუდევასთან დამშვიდობებას შეუდგა ზიდჰარტა და თანაც შეუსვენებლივ ლაპარაკობდა.

როდესაც ზიდჰარტამ ლაპარაკი დაასრულა, ვაზუდევამ დასუსტებული მზერა მიმართა მისკენ, უთქმელად, მდუმარედ სიყვარული, სიხალისე, გაგება და ცოდნა შეასხივა ზიდჰარტას, ხელი მოჰკიდა, მიიყვანა მდინარის ნაპირთან, მასთან ერთად ჩამოჯდა იქ და მდინარეს გაუღიმა.

შენ მდინარის სიცილი გაიგონე, – სთქვა მან, – მაგრამ ყველაფერი არ გაგიგონია. მაშ, მივუგდოთ მას კიდევ ყური, შენ კიდევ ბევრს გაიგონებ.

ისინი ყურს უგდებდნენ მდინარეს. ნაზად ისმოდა მდინარის მრავალხმიანი საგალობელი. ზიდჰარტა ჩააცქერდა წყალს და მიმავალ წყალში სურათები გამოეცხადა მას: მამა გამოეცხადა, ეული, შვილზე დამწუხრებული, საკუთარი თავი გამოეცხადა, ეული, შორს მყოფ შვილთან მონატრების ძაფებით გადაბმული, თავისი ვაჟი გამოეცხადა, ეული ისიც, თავისი ყმაწვილური სურვილების მწველ გზაზე დახარბებით გაჭრილი, თითოეული მათგანი თავისი მიზნისკენ შემართული, თითოეული მათგანი თავისი მიზნით შეპყრობილი,

თითოეული მათგანი ტანჯული. ტანჯვის ხმით მღეროდა მდინარე, გზნებით მღეროდა იგი, გზნებით მიედინებოდა იგი თავისი მიზნისკენ, მომჩივანი ხმით ჟღერდა იგი.

გესმის? – თვალებით ანიშნა ვაზუდევამ. ზიდჰარტამ თავი დაუქნია.

უკეთ უსმინე, – ჩაიჩურჩულა ვაზუდევამ.

ზიდჰარტაც ცდილობდა უკეთ მოესმინა. მამის ხატება, თავისი ხატება, შვილის ხატება ერწყმოდნენ ერთმანეთს, კამალას ხატებაც გამოჩნდა და გაიდღაბნა, გოვინდას ხატებაც, სხვებისაც, აირიენ ყველანი, იქცნენ მდინარედ ყველანი, მიისწრაფოდნენ მიზნისაკენ ვითარცა მდინარე, გზნებით, დახარბებით, ვნებით და ჟღერდა ხმა მდინარისა სავსე სევდით, სავსე მწველი ტკივილით, სავსე წყურვილდაუოკებელი წადილით. მიზნისაკენ მიისწრაფოდა მდინარე, ხედავდა ზიდჰარტა მას გაჩქარებულს, მდინარეს, რომელიც თავად მდინარისგან, ზიდჰარტასგან და ყველა იმ ადამიანისგან შედგებოდა, ვინც კი ოდესმე ენახა, ყველასგან, ვინც ტალღებად და წყლად ვნებიანად მიიჩქაროდა მიზნისაკენ, მრავალი მიზნისკენ: ჩანჩქერისკენ, ტბისკენ, ჭორომისკენ, ზღვისკენ, და ყველა მიზანი მიღწეულ იქნა, და თითოეულ მათგანს ახალი მიზანი მოჰყვებოდა და წყალი იქცა ორთქლად და ავიდა ცაში, იქცა წვიმად და ჩამოენარცხა ციდან, იქცა წყაროდ, იქცა მდინარედ, მიისწრაფოდა რაღაც ახლისაკენ, მიედინებოდა რაღაც ახლისაკენ. მაგრამ იცვალა მდინარემ თავისი მგზნებარე ხმა. ჯერ კიდევ ვნებიანად, მაძიებლად ჟღერდა იგი, მაგრამ სხვა ხმები უერთდებოდნენ მას, ხმები სიხარულისა და მწუხარებისა, კეთილი და ბოროტი ხმები, მოცინარი და დარდიანი, ასობით ხმა, ათასობით ხმა.

ყურს უგდებდა ზიდჰარტა, სმენად იყო ქცეული, მოსმენაში ჩაღრმავებული, სრულიად დაცლილი, ყველაფრის შემსრუტავი, გრძნობდა, რომ ბოლომდე უსწავლია ყურის გდება. ხშირად მოესმინა ეს ყველაფერი, ეს ხმათა სიმრავლე მდინარეში, დღეს კი ახლებურად ჟღერდა იგი. ვეღარ არჩევდა ამ ხმებს ერთმანეთისგან: მხიარულს მოტირალისგან, ბავშვურს კაცურისგან, იყო ერთიანი ყველა ეს ხმა. დარდის ჩივილი და მცოდნის სიცილი, მრისხანების ყვირილი და მომაკვდავის გმინვა, ყველა ერთი იყო, ერთმანეთში ჩაქსოვილი და ჩახლართული, ათასფად ჩაკვანძული. და ყველა ერთად: ყველა ხმა, ყველა მიზანი, ყველა დარდი, ყველა ტანჯვა, ყველა ჟინი, ყველა სიკეთე და ბოროტება, ყველა ერთად იყო სამყარო. ყველა ერთად იყო მდინარე მოვლენათა, იყო ჰანგი სიცოცხლისა. და როდესაც ზიდჰარტა ამ მდინარეს, ამ ათასხმოვან სიმღერას უსმენდა ყურადღებით, როდესაც არც წუხილი და არც სიცილი აღარ ესმოდა, როდესაც მისი სული რომელიმე ერთ ხმას კი არ ებმეოდა და მისი მე მასში კი არ შედიოდა, არამედ ყველას ისმენდა, მთლიანობას, ერთიანობას აღიქვამდა, მაშინ ეს დიდი, ათასხმოვანი სიმღერა ერთი, ერთადერთი სიტყვისაგან შესდგებოდა, რომელსაც ერქვა ომ: სრულქმნილება.

გესმის? – იკითხა ვაზუდევამ თვალებით.

თვალის მომჭრელად ბრწყინავდა მისი ღიმილი, მისი დაბერებული სახის ყველა ნაოჭზე ლივლივებდა იგი მანათობლად, ვითარცა ომ მდინარის ყველა ხმასა ზედა. თვალის მომჭრელად ბრწყინავდა მისი ღიმილი, როდესაც მეგობარს შესცქეროდა და ზიდჰარტას სახეზეც ისეთივე ღიმილი გაბრწყინდა. მისი ჭრილობა ყვაოდა, მისი ტანჯვა ასხივებდა, მისი მე ერთიანობაში ჩაღვრილიყო. ამ წამს შეწყვიტა ზიდჰარტამ ბედთან ბრძოლა, შეწყვიტა ტანჯვა. მის სახეზე ცოდნის სიხალისე ყვაოდა, ცოდნისა, რომელსაც ვერანაირი ნება წინ ვერ აღუდგება, რომელიც სრულქმნილებას ცნობს, რომელიც მოვლენათა მდინარესთან, სიცოცხლის მდინარესთან არის თანხმობაში, სავსე თანაგრძნობით, სავსე თანასურვილით, მდინარისათვის თავმიძღვნილი, მდინარის წილხვედრილი.

როდესაც ვაზუდევა წამოდგა მდინარის ნაპირზე, როდესაც ზიდჰარტას თვალებში ჩახედა და დაინახა ისინი ცოდნის სიხალისეს რომ ასხივებდნენ, ნელა შეახო მხარზე ხელი, ნაზად და მზრუნველად, როგორც მას სჩვეოდა და თქვა: ამ წამს ველოდი, ძვირფასო. ახლა კი როცა ის დადგა, გამიშვი. დიდხანს ველოდი მე ამ წამს, დიდხანს ვიყავი მე მებორნე ვაზუდევა. საკმარისია. მშვიდობით, ქოხო, მშვიდობით, მდინარევ, მშვიდობით, ზიდჰარტა!

თავი მდაბლად დახარა ზიდჰარტამ დამშვიდობების ნიშნად.

მე ვიცოდი ეს, – თქვა მან ჩუმად, – შენ ტყეებში მიდიხარ, არა?

მე ტყეებში მივდივარ, მე ერთიანობაში მივდივარ, – თქვა ვაზუდევამ, გასხივოსნებულმა.

გასხივოსნებული გაუდგა იგი გზას. ზიდჰარტა გასცქეროდა მიმავალს. ღრმა სიხარულით, ღრმა დაფიქრებით და ხედავდა მის ნაბიჯებს, სავსეს მშვიდობით, ხედავდა მის თავს მოსილს ბრწყინვალებით და მის სხეულს მოსილს ნათელით.

გოვინდა

ერთ-ერთი შესვენებისას გოვინდა სხვა ბერებთან ერთად იმ ბაღში იმყოფებოდა, რომელიც კურტიზანმა კამალამ საჩუქრად უსახსოვრა გოტამას შეგირდებს. საუბარი ისმინა იქ მან ერთ მებორნეზე, რომელიც ერთი დღის სავალზე, მდინარის პირას ცხოვრობდა და რომელიც მრავალთაგან ბრძნად იყო მიჩნეული. და რა განაგრძო თავისი მოგზაურობა, ბორნისაკენ მიმავალი გზა ირჩია გოვინდამ, რამეთუ ერთი სული ჰქონდა, მებორნე ეხილა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე წესის მიხედვით იცხოვრა გოვინდამ, და ახალგაზრდა ბერთა მიერაც, ასაკისა და მოკრძალებულობის გამო, დაფასებული იყო დიდად, მაინც არ ჩამქრალიყო მის გულში შფოთი და ძიება.

მიადგა იგი მდინარის ნაპირს, სთხოვა ბერიკაცს მდინარეზე გადაყვანა და როდესაც გაღმა ნაპირზე გადმოვიდნენ, უთხრა მან მოხუც მებორნეს: კარგ სამსახურს გვიწევ შენ ჩვენ: ბერებსა და პილიგრიმებს, ბევრი ჩვენთაგანი გადაგიყვანია მდინარეზე. მებორნევ, განა შენც მართალი ბილიკის მაძიებელი არა ხარ?

თქვა ზიდჰარტამ, თავისი ბებრული თვალებით მომღიმარმა: შენს თავს მაძიებელს უწოდებ, ო, ღირსეულო, თუმცა სიჭარმაგეში შესულხარ უკვე და გოტამას ბერის სამოსი გმოსავს?

მართლაც დავბერდი, – თქვა გოვინდამ, – მაგრამ არ შემიწყვეტია მე ძიება, ვერასოდეს მოვრჩები ძიებას, ასე მგონია, ეს არის ჩემი დანიშნულება. შენც, ასე მგონია, ეძებდი. არა გსურს, რაიმე სიტყვა მითხრა, პატივცემულო?

თქვა ზიდჰარტამ: რა შეიძლება, შენთვის, ღირსეულო, სათქმელი მქონდეს? იქნებ ის, რომ მეტისმეტად ბევრს ეძებ? რომ ძებნით პოვნამდე ვერ მიხვალ?

კი მაგრამ, ეს როგორ? – იკითხა გოვინდამ.

როცა ვინმე ეძებს, – თქვა ზიდჰარტამ, – მისი თვალი მხოლოდ იმას ხედავს, რასაც იგი ეძებს, სხვა არაფრის პოვნა, არაფრის თავის თავში შეშვება არ შეუძლია, რამეთუ მუდამ მხოლოდ საძიებელზე ფიქრობს იგი, რამეთუ ერთი მიზანი აქვს მას, რამეთუ მიზნისგან შეპყრობილია იგი. ძიება ნიშნავს მიზნის ქონას. პოვნა კი ნიშნავს თავისუფლებას, ღიაობას, მიზნის არქონას. შენ, ღირსეულო, მართლაც მაძიებელი უნდა იყო, რამეთუ მიზნისკენ მსწრაფი, ვერ ხედავ რაღაცებს, შენს თვალთა სიახლოვეს მყოფს.

კვლავ ვერ მიგიხვდი სათქმელს ბოლომდე, – თქვა გოვინდამ, – მაინც რას გულისხმობ?

თქვა ზიდჰარტამ: ერთხელ, ო ღირსეულო, მრავალი წლის წინ, შენ იყავ უკვე ამ მდინარესთან. მდინარის პირას ერთი მძინარე ჰპოვე და გვერდით მიუჯექ, მის ძილს რომ გაფრთხილებოდი, თავად მძინარე კი, ო, გოვინდა, ვერ იცანი შენ.

განცვიფრებული, ვითარცა მოჯადოებული, შესცქეროდა ბერი თვალებში მებორნეს.

ეს შენ ხარ, ზიდჰარტა? – დამორცხვებულად იკითხა გოვინდამ, – მე ამჯერადაც ვერ გიცანი, ზიდჰარტა! გულით მოგესალმები, ზიდჰარტა, გულით მიხარია კიდევ ერთხელ შენი ნახვა! ძალზე შეცვლილხარ, მეგობარო. მაშასადამე, მებორნე გამხდარხარ?

კეთილად იცინოდა ზიდჰარტა. ჰო, მებორნე. ზოგიერთნი, გოვინდა, ძლიერ უნდა შეიცვალნონ, ყველანაირი სამოსი უნდა ჩაიცვან. ერთი იმათგანი მე ვარ, ძვირფასო. კეთილი იყოს შენი გამოჩენა, გოვინდა, დარჩი ერთი ღამე ჩემს ქოხში.

ის ღამე ქოხში გაათია გოვინდამ და იმ საწოლზე ეძინა, რომელიც ვაზუდევასი იყო ოდესღაც. ბევრს ეკითხებოდა იგი სიყრმის მეგობარს, და ზიდჰარტამაც ბევრი რამ უამბო თავისი ცხოვრებიდან.

დილით, როდესაც გამგზავრების დრო დაუდგა, ყოყმანით წარმოთქვა გოვინდამ: სანამ გზას გავაგრძელებ, ზიდჰარტა, დამრთე ნება, კიდევ ერთი რამ შეგეკითხო. გაქვს შენ რაიმე სწავლება? გაქვს შენ რაიმე რწმენა ან ცოდნა, რომელიც ცხოვრებაში და სიმართლის ქმნაში გეხმარება?

თქვა ზიდჰარტამ: შენ იცი, ძვირფასო, მე ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას, როცა ჩვენ მონანიეებთან ვცხოვრობდით ტყეში, იმ აზრამდე მივედი, რომ სწავლებებსა და მასწავლებლებს არ ვენდო და ზურგი ვაქციო მათ. ამ აზრზე დავრჩი კიდეც. და მაინც ბევრი მასწავლებელი მყავდა მას შემდეგ. ერთი მშვენიერი კურტიზანი იყო დიდხანს ჩემი მასწავლებელი, ერთი მდიდარი ვაჭარი იყო ჩემი მასწავლებელი, და ზოგიერთი ყომარბაზიც, ერთხელ ერთი სამოგზაუროდ მიმავალი ბუდას შეგირდიც იყო ჩემი მასწავლებელი; იგი ჩემს გვერდით იჯდა, როცა მეძინა. მისგანაც ვისწავლე მე, მისიც ვარ მე მადლიერი. ყველაზე მეტი კი მე ამ მდინარისგან და ჩემი წინამორბედისგან, მებორნე ვაზუდევასგან ვისწავლე. ერთი უბრალო კაცი იყო ვაზუდევა. მოაზროვნე არ ყოფილა იგი, თუმცა გოტამასავით კარგად ესმოდა, თუ რა არის აუცილებელი. სრულქმნილი იყო იგი, წმინდანი.

გოვინდამ თქვა: როგორც ვხედავ, ო, ზიდჰარტა, ისევ ისე გიყვარს ქილიკობა. მე მჯერა შენი და ვიცი, რომ არც ერთ მასწავლებელს არ გაჰყოლილხარ. მაგრამ თავად შენ, თუ სწავლებას არა, გარკვეულ შეხედულებებსა და დასკვნებს მაინც არ მიაგენი, რომელნიც საკუთრივ შენნი არიან და ცხოვრებაში გეხმარებიან? გულს გამიხარებდი, თუ ამის შესახებ რაიმეს თქმა გსურს ჩემთვის.

თქვა ზიდჰარტამ: მე მქონდა შეხედულებები, ცხადია, და დასკვნებიც, ნეტავ იცოდე, რამდენი. ზოგჯერ, ერთი საათით ან ერთი დღით მიგრძნია ცოდნა, როგორც ცხოვრებას შეიგრძნობს კაცი გულში. სხვადასხვანაირი აზრები იყო ეს, მაგრამ გამიძნელდება მათი შენთვის გაზიარება. მისმინე, ჩემო გოვინდა, ეს არის ერთი ჩემი აზრთაგანი, რომელსაც მივაგენი: სიბრძნე არ არის ზიარებადი, სიბრძნე, რომლის გაზიარებასაც ბრძენკაცი შეეცდება, ვითარცა სიბრიყვე, ისე ჟღერს.

ხუმრობ? – იკითხა გოვინდამ.

არ ვხუმრობ, იმას გეუბნები, რასაც მივაგენი. ცოდნის გაზიარება შეიძლება, სიბრძნისა კი არა. კაცმა შეიძლება მიაგნოს სიბრძნეს, იმით იცხოვროს, მას დაეყრდნოს, იმით სასწაული მოახდინოს, მაგრამ გამოთქვას და ასწავლოს იგი, შეუძლებელია. ეს არის ის, რასაც მე ყმაწვილკაცობაში ზოგჯერ თუ ვხვდებოდი, რამაც მომწყვიტა მე მასწავლებლებს. მე აზრს მივაგენი, გოვინდა, რომელიც შენ კვლავ ხუმრობად ან სიბრიყვედ მიგაჩნია, მაგრამ რომელიც ჩემი საუკეთესო მოსაზრებაა. იგი ღაღადებს: ყოველი ჭეშმარიტების საპირისპირო ასევე ჭეშმარიტია! სახელდობრ: ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ გამოითქმის და სიტყვით იმოსება, თუკი ცალმხრივია იგი. ცალმხრივია ყველაფერი, რისი ფიქრით გაფიქრება და სიტყვით ამოთქმა შეიძლება, ყველაფერი ცალმხრივია, ყველაფერი ნახევრულია, ყველაფერი სისრულის, სიმრგვალის, ერთიანობის ნაკლულია. როდესაც ამაღლებული გოტამა სწავლებით სამყაროს გვიხსნიდა, იძულებული იყო სანსარად და ნირვანად, სიმცდარედ და ჭეშმარიტებად, ტანჯვად და ხსნად დაეყო იგი. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, არ არსებობს სხვა გზა მისთვის, ვისაც სწავლება სურს. მაგრამ თავად სამყარო კი, მყოფი ჩვენს ირგვლივ და ჩვენში, არასოდეს არის ცალმხრივი. არასოდეს არის ადამიანი ან ქმედება სრულიად სანსარა ან სრულიად ნირვანა, არასოდეს არის ადამიანი სრულიად წმინდანი ან სრულიად ცოდვილი. ეს მხოლოდ ჩანს ასე, რადგან ჩვენ მოჩვენებითობას ვემორჩილებით, თითქოსდა დრო რაღაც ნამდვილი იყოს. დრო არ არის ნამდვილი, გოვინდა, მე ეს ბევრჯერ და ბევრჯერ გამოვცადე. და თუკი დრო ნამდვილი არ არის, მაშინ სხვაობაც, რომელიც წუთისოფელსა და მარადისობას, ტანჯვასა და ნეტარებას, ბოროტსა და კეთილს შორის უნდა იდოს, ასევე მოჩვენებითია.

ეს როგორ? – იკითხა გოვინდამ გაუბედავად.

მისმინე კარგად ძვირფასო, მისმინე კარგად! ცოდვილი ვინმე, როგორიც მე ვარ და როგორიც შენ ხარ, კი არის ცოდვილი, მაგრამ ოდესმე ბრაჰმა იქნება იგი, ნირვანას მიაღწევს ოდესმე, ბუდა იქნება. ახლა ამასაც დააკვირდი: ეს ოდესმე მოჩვენებითობაა, არაკია მხოლოდ. ცოდვილი არ ადგას ბუდობისკენ მიმავალ გზას, არ ვითარდება

იგი, თუმცა ჩვენს აზროვნებას საგანთა ამგვარად წარმოდგენა არ ძალუძს. არა! იმით რომ ცოდვილია, არის იგი დღეს და ახლა უკვე მომავალი ბუდა, მისი მომავალი მთლიანად ცხადია და შენ მასში, შენში და ყველაში ქმნადი, შესაძლო და ფარული ბუდა გაქვს სადიდებელი. სამყარო, ძმაო გოვინდა, არ არის არასრულყოფილი, ანდა არც სრულყოფილებისაკენ ნელად მიმავალ გზას არ ადგას იგი. არა, იგი ყოველ წამს სრულყოფილია, ყველა ცოდვა უკვე ატარებს თავის თავში შენდობას, ყველა ბავშვი ატარებს თავის თავში მოხუცებულს, ყველა ძუძუმწოვარა სიკვდილს, ყველა მომაკვდავი სიცოცხლეს. არავის ძალუძს დაინახოს, სადამდე მიაღწია სხვა ვინმემ თავის გზაზე, ყაჩაღში და მოყომარეში ბუდა ყუჩობს, ბრაჰმანში კი – ყაჩაღი. ღრმა მედიტაციისას არსებობს შესაძლებლობა დროის გაუქმებისა და ყველა ნამყო, მყოფი და მყოფადი სიცოცხლის ერთდროულად დანახვისა და მაშინ ყოველივე კარგადაა, ყოველივე სრულქმნილია, ყოველივე არის ბრაჰმან. ამიტომაც მგონია, ის, რაც არის, კარგია, ასე მგონია, სიკვდილი თუ სიცოცხლე, ცოდვა თუ სიწმიდე, სიჭკვიანე თუ სიხელე, ყველაფერი ასე უნდა იყოს, ყველაფერი მხოლოდ ჩემს მოწონებას, მხოლოდ ჩემს მზაობას, ჩემს მოსიყვარულე თანხმობას საჭიროებს. ეს კარგია ჩემთვის, ეს მხოლოდ მეხმარება, ამან არ შეიძლება, რომ მავნოს. ჩემს ხორცზე და ჩემს სულზე გამოვცადე, რომ ძალზე მჭირდებოდა ცოდვა, მჭირდებოდა ავხორცობა, სწრაფვა სიმდიდრისკენ, მედიდურობა და სამარცხვინო სასოწარკვეთილება მჭირდებოდა, რათა მესწავლა, როგორ მეთქვა უარი წინააღმდეგობის გაწევაზე, მესწავლა, როგორ მყვარებოდა სამყარო და იგი რაღაც, ჩემ მიერ ნასურვებ, წარმოსახულ სამყაროსთან და ჩემ მიერ გამოგონილ სრულყოფილებასთან კი არ დამეპირისპირებინა, არამედ მიმეღო და მყვარებოდა იგი, როგორიც ის არის და ნაწილი მისი ვყოფილიყავი. ეესენი, ო გოვინდა, ზოგიერთი იმ ფიქრთაგანია, რომლებიც აზრად მომივიდა.

ზიდჰარტა დაიხარა, მიწიდან ქვა აიღო და ხელში აწონ-დაწონა.

აი ეს, – თქვა მან მხიარულად, – ქვა არის და რაღაც გარკვეული დროის მერე ალბათ მიწად იქცევა, მიწიდან მცენარედ, ცხოველად ან კაცად იქცევა. ადრე ასე ვიტყოდი: ეს ქვა მხოლოდ ქვა არის. იგი უფასური და მაიას სამყაროდანაა, მაგრამ რადგან იგი გარდასახვათა წრებრუნვაში შეიძლება ადამიანად და სამშვინველად იქცეს, ამიტომ ვანიჭებ მას მნიშვნელობას. დღეს კი ასე ვფიქრობ: ეს ქვა არის ქვა, ცხოველიც არის იგი, აგრეთვე ღმერთია იგი, აგრეთვე ბუდაა იგი. მე მიყვარს და ვადიდებ მას არა იმიტომ, რომ ოდესმე იგი ამად თუ იმად შეიძლება იქცეს, არამედ იმიტომ რომ დიდი ხანია და მარად ყოველივეა იგი და სწორედ ის რომ ქვა არის იგი, რომ დღეს და ახლა ქვად გამომეცხადა, სწორედ ამიტომ მიყვარს იგი და ყოველ მის ძარღვში და ღრმულში, ყვითელში, რუხში, სიმაგრეში, ჟღერაში, რომელსაც იგი გამოსცემს, როდესაც ვუკაკუნებ, მისი ზედაპირის სიმშრალესა თუ სისველეში ვხედავ მის ფასსა და აზრს. არიან ქვები, რომლებიც ზეთივით ან საპონივით, სხვანი ფოთლებივით, სხვანი ქვიშასავით შეიგრძნობიან და თითოეული თავისებურია და თავისებურად ლოცულობს ომს, თითოეული არის ბრაჰმან, იმავდროულად და იმდენადვე არის იგი ქვა, არის ზეთოვანი, არის საპნოვანი და სწორედ ეს მომწონს და ეს მგონია გასაოცარი და თაყვანსაცემი. მეტს ნუ მათქმევინებ ამის შესახებ. სიტყვები არ უხდება ფარულ აზრს, ყველაფერი ერთმანეთის მსგავსი და ცოტათი სხვანაირი, ცოტათი ყალბი და ბრიყვული ხდება ამოთქმისას. კიდევ ისიც კარგია, მომწონს ძალიან და იმასაც ვეთანხმები, რომ რაც ერთისთვის განძი და სიბრძნეა, მეორესთვის სიბრიყვედ შეიძლება ჟღერდეს იგი.

მდუმარედ უსმენდა გოვინდა.

რად მომიყევი ეს ქვის შესახებ? – იკითხა მან ყოყმანით ცოტა ხნის შემდეგ.

განზრახვის გარეშე მოხდა, ანდა შეიძლება ისეც ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ქვა, მდინარე ან ყველა ის საგანი მიყვარს, რომელსაც ვუჭვრეტთ, და რომელთაგანაც ვსწავლობთ. მე ქვის სიყვარული შემიძლია, ხისაც და ქერქის ნაგლეჯისაც, გოვინდა. ესენი საგნები არიან, და საგნები შემიძლია მიყვარდეს, სიტყვები – არა. ამიტომაც არ არის სწავლება საჩემოდ გაჩენილი, არც სიმაგრე აქვს მას, არც სირბილე, არც ფერი და არც კუთხე, არც სუნი და არც გემო. არაფერი აქვს მას გარდა სიტყვებისა. ალბათ ეს არის ის, სიტყვათა სიმრავლეა ალბათ ის, რაც შენ გაფერხებს, მშვიდობა რომ იპოვნო, რამეთუ ხსნა და სათნოება, სანსარა და ნირვანა ცარიელი სიტყვები არიან მხოლოდ. აარ არსებობს საგანი, რომელიც ნირვანა იქნებოდა, არსებობს მხოლოდ სიტყვა ნირვანა.

თქვა გოვინდამ: არა მხოლოდ სიტყვა არის, მეგობარო, ნირვანა. ის აზრია.

ზიდჰარტამ განაგრძო: აზრი. შესაძლოა ასეც იყოს. უნდა ვაღიარო, ძვირფასო: დიდად არ ვანსხვავებ სიტყვას აზრისგან. სიმართლე გითხრა, ბევრ არაფრად მიმაჩნია აზრი. საგნებს მეტად ვაფასებ. მაგალითად, აქ, ამ საბორნე ნავზე იყო ერთი კაცი, ჩემი წინამორბედი და მასწავლებელი, წმინდა კაცი, მრავალი წელი უბრალოდ სწამდა მას მდინარე, სხვა არაფერი. მან შეამჩნია, რომ მდინარე თავის ხმით ესაუბრებოდა. ამ ხმისგან სწავლობდა იგი. მდინარის ხმამ გაზარდა და აღზარდა იგი. მდინარე ღმერთად ეჩვენებოდა. მრავალი წელი არც კი იცოდა, რომ ყოველი ქარი, ყოველი ღრუბელი, ყოველი ჩიტი, ყოველი ხოჭო ისევე ღვთიურია და იმდენადვე იცის და იმდენივეს სწავლება შეუძლია, როგორც სათაყვანო მდინარეს. მაგრამ როდესაც ეს წმინდანი ტყეებში წავიდა, ყველაფერი იცოდა მან, უფრო მეტი ვიდრე შენ და მე, მასწავლებლის გარეშე, წიგნების გარეშე, მხოლოდ იმიტომ რომ მდინარე ირწმუნა.

გოვინდამ თქვა, მაგრამ არის კი ის, რასაც შენ საგნებს უწოდებ, რაღაც ნამდვილი, რაღაც არსების მქონე? განა ეს მაიას სიცრუე არ არის, მხოლოდ ხატი და მოჩვენება. შენი ქვა, შენი ხე, შენი მდინარე, არიან კი ესენი სინამდვილეები?

ესეც, – თქვა ზიდჰარტამ, – არ მანაღვლებს ძალიან. დაე იყოს საგნები მოჩვენება, ან თუნდაც არც იყოს, მაშინ მეც მოჩვენება ვარ და ამრიგად ისინი მუდამ ჩემი ბადალნი არიან. ეს არის ის, რაც მათ ჩემთვის ძვირფასად და თაყვანისცემის ღირსად ხდის: ისინი ჩემი ბადალნი არიან. ამიტომაც შემიძლია მათი სიყვარული. აი, ეს არის ჩემი სწავლება, რაზეც შენ გაიცინებ: სიყვარულია, გოვინდა, ასე მგონია მე, ყველაფრის თავი და თავი. სამყაროს განჭვრეტა, მისი ახსნა, მისი მოძულება შეიძლება დიდ მოაზროვნეთა საქმე იყოს, ჩემთვის კი უმთავრესი ის არის, სამყაროს სიყვარული შევიძლო, არ მოვიძულო იგი, არ შევიძულო იგი და საკუთარი თავი. სამყაროს, ჩემივე თავის, და ყოველი არსების სიყვარულითა და აღტაცებით განჭვრეტა შევიძლო.

მე მესმის ეს, – თქვა გოვინდამ, – მაგრამ სწორედ ეს შეიცნო სიცრუედ მან, ამაღლებულმა. კეთილმოსურნეობას, დანდობას, თანაზიარობას, თმენას ბრძანებს იგი, მაგრამ სიყვარულს არა. მან აგვიკრძალა ჩვენი გული მიწიერისადმი სიყვარულს რომ მივაჯაჭვოთ.

ვიცი, – სთქვა ზიდჰარტამ. ოქროდ იღვრებოდა მისი ღიმილი. – მე ვიცი ეს, გოვინდა. მისმინე: აი ახლა ვართ ჩვენ შეხედულებათა შუაგულ ტევრში, სიტყვათა გამო დავაში, რამეთუ ვერ უარვყოფ, ჩემი სიტყვები სიყვარულზე ეწინააღმდეგება, მოჩვენებითად ეწინააღმდეგება გოტამას სიტყვებს. სწორედ ამის გამო არ ვენდობი ასე ძლიერ მე სიტყვებს, რადგან ვიცი ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია. ვიცი, რომ ერთსულოვანი ვარ გოტამასთან. როგორ შეიძლება, არ ცნობდეს იგი სიყვარულს. იგი, ვინც ადამიანური ყოფიერება თავის წარმავლობაში, თავის არარაობაში შეიცნო და მაინც ისე ძლიერ უყვარდა ადამიანები, რომ თავისი ხანგრძლივი, ნაჭირვები ცხოვრება იმას შეალია, რომ მათ დახმარებოდა, მათთვის ესწავლებინა! მასშიც, შენს მასწავლებელშიც საგანი უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე სიტყვები, მისი ქმედება და ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი საუბრები, მის ხელთა მოძრაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შეხედულებები. არა სიტყვებში, არა აზრებში ვხედავ მე მის სიდიადეს, არამედ ოდენ ქმედებაში და ცხოვრებაში.

დიდხანს დუმდნენ მოხუცები. შემდეგ თქვა გოვინდამ და თანაც დამშვიდობების ნიშნად თავი დახარა: გმადლობ, ზიდჰარტა, რომ რაღაცები შენს ფიქრთაგან გამიზიარე, ნაწილობრივ უცნაურია შენი ფიქრები, უცებ არ გახდა ისინი ჩემთვის გასაგები. დაე იყოს, როგორც არის. გმადლობ და მშვიდ დღეებს გისურვებ, ზიდჰარტა.

(გულში კი ფიქრობდა: საოცარი კაცია ეს ზიდჰარტა, საოცარ აზრებს გამოთქვამს იგი, სასაცილოდ ჟღერს მისი სწავლება. სხვაგვარად ჟღერს ამაღლებულის სუფთა სწავლება, უფრო ნათლად, უფრო სუფთად, უფრო გასაგებად, არაფერი უცნაურობა მასში არ არის. ბრიყვულს, სასაცილოს შეიცავს ზიდჰარტას სწავლება, მაგრამ მისი ფიქრებისგან განსხვავებულად მეჩვენებიან მისი ხელები და ფეხები, მისი თვალები, მისი შუბლი, მისი სუნთქვა, მისი სიცილი, მისი მისალმება, მისი სიარული. აღარასოდეს, მას შემდეგ რაც ჩვენი ამაღლებული გოტამა ნირვანაში შევიდა, არ შემხვედრია სხვა ვინმე, ვისგანაც მეგრძნოს, რომ ის წმინდანი არის! ერთადერთი იგი, ზიდჰარტა ვპოვე მე ასეთი. დაე უცნაური იყოს მისი სწავლება, დაე ბრიყვულად ჟღერდნენ მისი სიტყვები, მაგრამ მისი მზერა და მისი ხელი, მისი კანი და მისი თმა, ყველაფერი მასში ასხივებს სისუფთავეს, ასხივებს

სიმშვიდეს, ასხივებს სიხალისეს, სირბილესა და სიწმინდეს, რაც არავისთან ჩვენი ამაღლებული მასწავლებლის ბოლო სიკვდილის მერე არ მინახავს).

იმ დროს, როდესაც გოვინდა ამგვარად ფიქრობდა და მის გულში წინააღმდეგობრიობები ებრძოდნენ ერთმანეთს, დაიხარა იგი სიყვარულისგან მიზიდული ზიდჰარტასაკენ. მდაბლად მოუდრიკა თავი მშვიდად მჯდომარეს.

ზიდჰარტა, – თქვა მან, – მოვხუცდით ჩვენ. გაგვიძნელდება ალბათ ამ სახით კიდევ ერთიმეორის ნახვა. ვხედავ, საყვარელო, რომ შენ შენი მშვიდობა გიპოვნია. უნდა ვაღიარო, რომ მე ვერ ვპოვე იგი. მითხარ, ჩემო სათაყვანოვ, კიდევ ერთი სიტყვა. მომეცი რამე ისეთი, რისი ჩაწვდომაც, რისი გაგებაც შემეძლება! გამატანე რამე ჩემს გზაზე. ხშირად მძიმეა ეს ჩემი გზა, ხშირად წყვდიადით მოცული, ზიდჰარტა.

შეხედა ზიდჰარტამ და გაიღიმა.

მოიწიე ჩემსკენ! – ჩასჩურჩულა მან ყურში გოვინდას, – მოიწიე ჩემსკენ! უფრო ახლოს! სულ მთლად ახლოს! მაკოცე შუბლზე, გოვინდა.

როდესაც გოვინდა, განცვიფრებული, და მაინც სიყვარულითა და წინათგრძნობით მიზიდული, მის სიტყვებს დაემორჩილა, მისკენ დაიხარა და ბაგეებით მის შუბლს შეეხო, რაღაც საკვირველი მოხდა მასში. როდესაც მისი ფიქრები ჯერ კიდევ ზიდჰარტას საოცარ სიტყვებს დატრიალებდა, როდესაც იგი ამაოდ ცდილობდა წინააღმდეგობრიობების დაძლევას, რათა დრო განედევნა ფიქრებიდან და სანსარა და ნირვანა, როგორც ერთიანი წარმოედგინა, როდესაც მეგობრის სიტყვების მიმართ გარკვეული უგულებელყოფა და მის მიმართ უშველებელი სიყვარული და მოწიწება იბრძოდნენ, აი, ეს მოხდა მასში: იგი ვეღარ ხედავდა თავისი მეგობრის, ზიდჰარტას, სახეს, სამაგიეროდ სხვა სახეებს ხედავდა იგი, ბევრს, გრძელ წყებას, მდინარეს სახეებისას, ასობით, ათასობით, რომლებიც მოიქცეოდნენ და მიიქცეოდნენ, და მაინც თითქოსდა იმავდროულად იქვე იყვნენ, ყველანი მუდმივად იცვლებოდნენ და ახლდებოდნენ, და მაინც ყველანი ზიდჰარტა იყვნენ. იგი ხედავდა თევზის სახეს, ჭანარისას, უსასრულოდ ტკივილიანი გაღებული დრუნჩით – მომაკვდავი, თვალებამღვრეული თევზისას – ხედავდა ახალშობილის სახეს, წითელსა და სავსეს ნაოჭებით, სატირლად მოჭმუხნულს – ხედავდა მკვლელის სახეს, ხედავდა თუ როგორ უყრიდა იგი ვიღაცას სხეულში დანას – ხედავდა, იმავე წამს, ამ ბოროტმოქმედს გაკოჭილსა და დაჩოქილს და მის თავს, რომელსაც ჯალათი ხმლის ერთი დაკვრით კვეთავდა – ხედავდა ქალების და კაცების შიშველ სხეულებს გაშმაგებულ სასიყვარულო მდგომარეობებში და ჭიდილში, ხედავდა გაშეშებულ ცხედრებს, ცივებს, ჩუმებსა და ცარიელებს – ხედავდა ცხოველთა თავებს: გარეული ღორისას, ნიანგისას, სპილოსას, ხარისას, ჩიტისას – ხედავდა ღმერთებს, ხედავდა კრიშნას, ხედავდა აგნის – ხედავდა ყველა ამ სხეულსა და სახეს ათასობით ურთიერთკავშირში ერთმანეთთან, ერთმანეთის დამხმარეთ, ერთმანეთის მოყვარულთ, ერთმანეთის მოძულეთ, ერთმანეთის დამღუპველთ, ერმანეთის ახლად დამბადებელთ. ყოველი მათგანი სიკვდილისაკენ სწრაფვას, ამაოების ვნებიანად ტკივილისმომგვრელ აღიარებას გამოსახავდა, მაგრამ მაინც არ კვდებოდა არავინ, მხოლოდ გარდაისახებოდა თითოეული, მუდიმვად ახლიდან იბადებოდა, მუდმივად ახალ სახეს იღებდა, ისე რომ ძველსა და ახალ სახეებს შორის არ იყო დრო განფენილი – და სხეულები და სახეები განისვენებდნენ, მიედინებოდნენ, იშობებოდნენ, მიცურავდნენ და ერთმანეთს შეედინებოდნენ და მათ ზემოთ მუდმივად გადაჭიმული იყო რაღაც თხელი, არსის არმქონე, მაგრამ იმავდროულად აბრეშუმისებრი, თხელი მინასავით თუ ყინულივით, გამჭვირვალე კანივით აფსკი, ფორმა თუ ნიღაბი წყლისა და ეს ნიღაბი იღიმებოდა და ეს ნიღაბი იყო ზიდჰარტას მომღიმარე სახე, რომელსაც იგი, გოვინდა ზუსტად იმავე წამს ბაგეებით შეეხო. და ხედავდა გოვინდა ნიღბის ღიმილს, ერთიანობის ამ ღიმილს სახებათა მდინარესა ზედა განფენილს, ერთდროულობის ღიმილს ათასობით სიკვდილსა და სიცოცხლესა ზედა განფენილს. და ეს ღიმილი ზიდჰარტასი იყო იგივე, ზუსტად ისეთივე წყნარი, ფაქიზი, შეუღწევადი, იქნებ თავაზიანი, იქნებ გამქირდავი, ბრძნული, ათასფერი ღიმილი გოტამასი, ბუდასი, რომელიც ასჯერ მაინც ეხილა თავად მას მოწიწებით. ასე, იცოდა ეს გოვინდამ, სრულქმნილნი იღიმებიან მხოლოდ.

ვერმიხვედრილი, არსებობს თუ არა დრო, ეს ხილვა ერთი წამი გრძელდებოდა თუ ასი წელი, ვერმიხვედრილი, არსებობს თუ არა ზიდჰარტა, გოტამა, მე თუ შენ, სულის სიღრმეში თითქოსდა ღვთიური

ისრით დაჭრილი, ტკბილი გემო რომ აქვს ამ ჭრილობას, სულის სიღრმეში მოჯადოებული და მოდუნებული, იდგა გოვინდა დახრილი კიდევ ცოტა ხანი ზიდჰარტას წყნარ სახესთან, რომელსაც რამდენიმე წამის წინ აკოცა, რომელიც რამდენიმე წამის წინ ყოველივე სახებათა, ყოველივე ქმნადისა და ყოველივე მყოფის ასპარეზი იყო. ზიდჰარტას სახე მას შემდეგ, რაც მისი ზედაპირიდან ათასფეროვნების სიღრმე ისევ გაიკრიფა, ისევ ისეთივე უცვლელი გახდა: წყნარად იღიმებოდა, ჩუმად და ნაზად, იქნებ ძალზე თავაზიანად, იქნებ ძალზე გამქირდავად, ზუსტად ისევე, როგორც იგი, ამაღლებული გაიღიმებდა.

მდაბლად მოიდრიკა თავი გოვინდამ ზიდჰარტას ბებერ სახესთან, ცრემლი სდიოდა, რასაც ვერც კი გრძნობდა. ვითარცა ცეცხლი გიზგიზებდა მის გულში უმხურვალესი სიყვარულის, უმორჩილესი მოწიწების გრძნობა. მდაბლად, მიწამდე მოიდრიკა თავი გოვინდამ უძრავად მჯდომის წინაშე, რომლის ღიმილიც ყველაფერს იმას აგონებდა, რაც თავის ცხოვრებაში ოდესმე ჰყვარებია, რაც თავის ცხოვრებაში ძვირფასი და წმინდა იყო მისთვის.

ანბანური საძიებელი

აგნი (სანსკრ. აგნი, ცეცხლი, ცეცხლის ღმერთი) ინდუიზმში არის ღვთიურის ცეცხლოვანი ფორმა. წინარეინდუისტურ, ვედურ რელიგიაში ითვლება შუამავლად ადამიანსა და ღმერთებს შორის. ვედურ ჰიმნებში იგი იწოდება ყველგან შემაღწეველ სულად, რომლის მანიფესტირებაც ღმერთები (დევას) არიან. იგი ვლინდება მიწაზე ცეცხლის სახით, ჰაერში ელვის სახით და ეწოდება ინდრა და ზეცაში მზის სახით, რომელსაც ეწოდება სურია.

ვედების შემდგომ ხანაში მისი საკულტო მნიშვნელობა კლებულობს, თუმცა ინდოელთა თანამედროვე რელიგიურ ყოფაში დიდ როლს თამაშობს: მაგ. განწმენდის რიტუალებში, ბინის კურთხევისას და ა.შ. ამ დროს სასულიერო პირს უჭირავს ცეცხლანთებული თასი და აკურთხებს ოთახებს. აასევე შეუღლებისას წყვილი შვიდჯერ შემოუვლის ცეცხლს. ცხედრის დაწვისას სასულიერო პირი წარმოთქვამს ლოცვას: დაე აგნიმ იქ მიგიყვანოს, სადაც მისასვლელ ხარ და შემდეგ მიმართავს აგნის: ო, აგნი, როდესაც სხეული დაიწვება, სული თავის წინაპრებთან მიიყვანე.

აგნი გამოისახება როგორც მოხუცი, ორთავიანი, სამფეხიანი, შვიდხელიანი, ექვსთვალიანი და ოთხრქიანი კაცი, რომელსაც აცვია წითელი ტანისამოსი და წმიდა თასმა ჰკიდია მკერდზე. მისი დროშა არის კვამლი, ხოლო მისი თანმხლები ცხოველი – ერკემალი.

ატმან ინდური ფილოსოფიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ცნება. იგი აღნიშნავს ინდივიდუალურ მეს, დაურღვეველ, მარადიულ არსს გონისა და ხშირად როგორც სული ითარგმნება.

უპანიშადების მიხედვით კოსმიური სული ბრაჰმან და ინდივიდუალური მე, როგორც არსებობის განმსაზღვრელი ერთიანობა განიხილება, რომელიც სამყაროს არსს წარმოადგენს. ეს ერთიანობა კოსმოსში როგორც ბრაჰმან, ხოლო თითოეულში როგორც ატმან შეიცნობა. ცხოვრების მიზანი სწორედ ატმანისა და ბრაჰმანის ერთიანობის გაცნობიერება არის. აატმან მუდამ არსებული და არასოდეს კოსმოსური ძალისგან ბრაჰმანისგან განცალკევებული არ არის და არც არასოდეს იცვლება.

ზიდჰარტა გაუტამა, ბუდად წოდებული იმთავითვე დარწმუნებული იყო ატმანის არსებობაში და მის შეცნობას განსაკუთრებით მძიმე ასკეტური პრაქტიკით ცდილობდა, თუმცა ამ მცდელობების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ამგვარი უმსხვრევი, მარადიული საწყისი პიროვნულობისა არ არსებობს და ამდენად თავის სწავლებას ანატმანვადა – ს ანუ არა-ატმანის სწავლებას უწოდებდა.

ბრაჰმა – ინდუიზმში ერთ-ერთი მთავარი ღმერთის სახელია. დანარჩენი ორი მთავარი ღმერთი არის ვიშნუ(მფარველი) და შივა(დამანგრეველი), რომელთან ერთადაც ბრაჰმა ჰქმნის ინდუისტურ სამებას – ტრიმურტის. მმისი მეუღლე არის ქალღმერთი სარასვატი. ტრიმურტიში ბრაჰმა წარმოადგენს შემოქმედ პრინციპს. იგი გამოისახება ოთხი სახითა და ოთხი ხელით,კრიალოსანითა და ვედებით ხელში. მისი სიმბოლო

და თანმხლები ცხოველია მისტიური ბატი, რომელიც მას თვალის დახამხამებაში გადააფრენს სამყაროს ნებისმიერ ადგილას. მას როგორც შემოქმედს დიდ თაყვანს სცემდნენ ინდუიზმის მიმდევარნი, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვა ღმერთებთან: ვიშნუსა და შივასთან შედარებით ბრაჰმამ დაკარგა მნიშვნელობა.

ბრაჰმან ინდუისტურ ფილოსოფიაში აღნიშნავს უცვლელ, უსასრულო, იმანენტურ და ტრანსცენდენტურ რეალობას, რომელიც ყველა მატერიის, ენერგიის, დროის, სივრცის, ყოფიერების საფუძველს წარმოადგენს. უპანიშადების ეპოქაში კი იგი იღებს კოსმოსური ძალის მნიშვნელობას. აამ სიტყვის საფუძველია ბჰრ – ზრდა, განვრცობა. ამრიგად ბრაჰმან ნიშნავს შორეულს, უსრულოს, აბსოლუტურს. იგი ღვთიურის არაპერსონიფიცირებულ კონცეფციას განასახიერებს, რომელიც შემოქმედს არ შეიცავს თავის თავში.

მას ბრაჰმანის მცოდნენი უწოდებენ წარუვალს. იგი არ არის უხეში, არც ნაზი, არც გრძელი, არც მოკლე. იგი უსისხლოა ,უცხიმოა, უჩრდილოა, უქაროა. აარც მოცულობა აქვს მას, არც მოჭიდება. აარც ხელშესახებია, არც სუნი აქვს, არც გემო, არც შესახედაობა, არც სმენა, არც მეტყველებისა და არც ფიქრისუნარიანია, სითბოს გარეშე, სუნთქვის გარეშე, პირის გარეშე, სქესის გარეშე, არ ბერდება, არ კვდება, უკვდავია, არ არის სივრცითი, არ აქვს ხმა, არც ღიაა, არც დახურული, არც წინ მიმავალი, არც მიმდევარი, არც გარეთაა, არც შიგნით, ვერავინ და ვერაფერი მიწვდება მას

ბრჰადარანიაკა – უპანიშადი(3.8.8)

ჭეშმარიტად, ყველივე არის ბრაჰმან ჩანდოგია – უპანიშადი(2.14.1)

თუმცა ბრაჰმანს არ გააჩნია ატრიბუტები, მაგრამ იგი მაინც აღიწერება როგორც სატ-ჩიტ-ანანდა (ყოფიერებაცნობიერება-ნეტარება).ხოლო ტაიტირია უპანიშადის თანახმად, ბრაჰმან არის სატია (ჭეშმარიტება), ინანა(ცოდნა), ანანტა (უსასრულობა) მართალია, ბრაჰმან ღმერთებზე მაღლა დგას, მაგრამ ინდუისტურ რელიგიურ ცხოვრებაში ყველა უპირატესად თაყვანსაცემი ღმერთი განასახიერებს უმაღლეს ბრაჰმანს. ასე მაგ. შივას მიმდევრებისთვის იგი წარმოადგენს უმაღლეს ბრაჰმანს, მაშინ როცა ვიშნუს მიმდევრები მას განიხილავენ უმაღლეს ბრაჰმანად. იგი შეიძლება ქალღმერთთანაც, მის ერთ-ერთ გამოვლინებაში: შაკტი, დურგა და კალი, იყოს გაიგივებული.

რთულია აგრეთვე ბრაჰმანისა და ატმანის ურთიერთობის განსაზღვრა. ჩანდოგია უპანიშადის ერთ ცნობილ დიალოგში მამა შვილს ჩააყრევინებს მარილს წყალში, სადაც იგი გაიხსნება. მმამა შემდეგ უხსნის შვილს, რომ ბრაჰმანი და ატმანიც ამგვარად არიან გაერთიანებულნი და შემდეგი გამონათქვამით ამთავრებს თავის დამოძღვრას: ტატ ტვამ ასი (სანსკრიტზე: ეს ხარ შენ), სადაც ეს (ტატ) ბრაჰმანზე მიანიშნებს, ხოლო შენ (ტვამ) – ატმანზე. ზოგიერთი კომენტატორის თანახმად ეს გამონათქვამი ატმანისა და ბრაჰმანის იდენტურობას ადასტურებს, ხოლო სხვათა თანახმად კი იგი დასტურია იმისა, რომ თუმცა ატმან და ბრაჰმან განუყოფელნი არიან, მაგრამ არა იდენტურნი.

ბრაჰმანი – ინდურ კასტურ სისტემაში უმაღლესი კასტის წარმომადგენელი. ინდუიზმში მისი უფლება და მოვალეობაა სწავლული და ვედას მასწავლებელი იყოს. დღემდე სასულიერო პირები ძირითადად ბრაჰმანთა ფენიდან გამოდიან, ამდენად ბრაჰმანი სასულიერო ტიტულსაც წარმოადგენს. ძველი ინდური ნაწარმოებების მიხედვით ბრაჰმანი განსაკუთრებული თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული.

ბჰაგავატგიტა შემდეგ თვისებებს ითხოვს ბრაჰმანისგან: სიხალისეს, თავდაჭერას, ასკეტობას, სისუფთავეს, შემწყნარებლობას, გულწრფელობას, სიბრძნეს, ცოდნას და ღვთის რწმენას. (18.42) აამ თვისებების შესაბამისი უნდა ყოფილიყო ბრაჰმანის ცხოვრებაც. არც წარმოშობა და არც კურთხევა კმარა ბრაჰმანობისთვის, მხოლოდ ცხოვრების წესი არის ამის საფუძველი. მაჰაბჰარატა(13.131.49)

რიგვედას მეათე წიგნში აღწერილია მითი ინდოეთში კასტების (სანსკ. ვარნა) შექმნის შესახებ. მის თანახმად, სამყარო და კასტები წარმოიშვნენ ღმერთების მიერ დედამიწაზე გადაფარებული, ათასთავა და ათასფეხა არსების პურუშას მსხვერპლად შეწირვის შედეგად. მისი პირიდან გაჩნდნენ ბრაჰმანები, მკლავებიდან – კშატრია (თავადები, მეომრები), ბარძაყებიდან – ვაიშია (ვაჭრები, გლეხები) და ტერფებიდან – შუდრა (მსახურები).

ძველინდური დჰარმას (კანონი, უფლება, ეთიკა, მორალი) თანახმად ბრაჰმანისა და მისი მომდევნო ორი კასტის ადამიანთა ცხოვრება ასეთი იყო: რვა წლის ასაკში ბრაჰმანი უნდა წასულიყო მოძღვართან და მასთან დარჩენილიყო, სანამ ვედების სწავლას არ დაასრულებდა. შემდეგ ვალდებული იყო ცოლი მოეყვანა და ვაჟიშვილები გაეჩინა და მუდამ მსხვერპლი შეეწირა, თავად ესწავლებინა და საჩუქრები გაეცა. როდესაც ვაჟები დაიზრდებოდნენ, ტყეში უნდა წასულიყო, ყველა ძველი კავშირი გაეწყვიტა და მეუდაბნოედ დაესრულებინა ცხოვრება.

ამჟამად ბრაჰმანები ნებისმიერ საქმიანობას ეწევიან.

ბუდა (სანსკრ. ბუდდჰა – გამოღვიძებული) ბუდიზმში აღნიშნავს იმ ადამიანს, ვინც ბოდჰი (გამოღვიძება) განიცადა, სულის სიწმიდესა და სრულყოფილებას და შესაბამისად თავისი პოტენციალის უსაზღვრო გამოვლინებას დაეუფლა: სრულყოფილ სიბრძნეს (პრაჯნა) და უსაზღვრო თანაგრძნობას (კარუნა) ყველა ცოცხალი არსების მიმართ. მან სიცოცხლეშივე მიაღწია ნირვანას და ამგვარად ბუდისტური რწმენის თანახმად აღარ არის მიბმული რეინკარნაციათა (სამსარა) წრებრუნვასთან. გამოღვიძება ტრანსცენდენტური ბუნებისაა და მას ადამიანის გონი ვერ მოიცავს, რის გამოც ამ გამოცდილების აღწერა სამეტყველო ცნებებით შეუძლებელია.

ამასთანავე ეს ცნება აღნიშნავს ისტორიულ ბუდას – ზიდჰარტა გაუტამას, რომლის ცხოვრებითაც სათავეს იღებს ბუდისტური რელიგია. ზიდჰატა გაუტამას შაკიამუნისაც ანუ წმინდანს შაკიას გვარიდან უწოდებენ. ზიდჰარტა გაუტამა ძ. წ. 566 წელს უნდა დაბადებულიყო ლუმბინიში – ჰიმალაის კალთებზე, დღევანდელ სამხრეთ ნეპალში შაკიას ხალხის მთავრის (კშატრია)

ოჯახში. თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი კი მან განგის შუა წელში ვარანასის, პატნასა და ვაიშალის მახლობლად გაატარა.

ბუდას დაბადება მთელ რიგ ზებუნებრივ ნიშნებთან და მოვლენებთან არის დაკავშირებული: ზიდჰარტა გაუტამას ჩასახვისას, მის დედას დედოფალ მაიას თეთრი სპილო ესიზმრა, რომელმაც უმტკივნეულოდ შეაღწია მის ფერდში. დაბადებისას პატარა ბუდა გადმოხტა დედის სხეულიდან გადადგა შვიდი ნაბიჯი და თქვა: მე დავიბადე, რათა გამოღვიძებას (ბოდჰი) მივაღწიო ქვეყნიერების საკეთილდღეოდ. ეს არის ჩემი ბოლო დაბადება. ზიდჰარტას მამამ, მეფე შუდჰოდანამ ბრძენკაცებს სთხოვა განემარტათ ეს სასწაული. ბრძენკაცებმა ზიდჰარტას ხელისგულებზე და ტერფებზე ბორბლისმაგვარი წრეები ნახეს. ამიტომაც თქვეს მათ: იგი ჩაკრავარტინ (ბორბლის მბრუნავი) ე.ი. გარდამქმნელი გახდება: ან დიდი მეფე და დამპყრობი ან დიდი მოძღვარი. ზიდჰარტა ცხოვრობდა კაპილავასტუში, სამეფო სასახლეში. ცოლად მოიყვანა პრინცესა იაშოდჰარა, რომელმაც მას ვაჟი – რაჰულა გაუჩინა. რადგან მამა ზიდჰარტაში თავის ღირსეულ მემკვიდრეს ხედავდა, ცდილობდა, ცხოვრების ტანჯვისგან განერიდებინა შვილი, რათა გული არ აეცრუებინა მეფობაზე. აამიტომაც არ რთავდა სასახლის გარეთ სიარულის ნებას. 30 წლისა იყო ზიდჰარტა, როცა ცხოვრების მიმართ ცნობისწადილაღძრულმა ითხოვა სასახლიდან გასვლა. სასახლის გალავნის იქით მან სამი რამ ნახა, რამაც ადამიანური ტანჯვის სინამდვილეზე აუხილა თვალი: ერთი უძლური მოხუცი, ერთი ციებცხელებიანი ავადმყოფი და ერთი გვამი. შემდეგი გასვლისას კი იგი შეხვდა მოგზაურ ასკეტს – სამანას, რის შემდეგაც გადაწყვიტა, მისი მაგალითისთვის მიებაძა და ტანჯვისგან ხსნა ეძებნა. მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, მან დატოვა სასახლე და შეუდგა ასკეტის ცხოვრებას. საზოგადოებისგან განდგომის ეს საწყისი სტადია მკაცრი მარხვით და თავდავიწყებით იყო დაღდასმული, რამაც სიკვდილის პირამდე მიიყვანა ზიდჰარტა. შემდგომ ამისა, დარწმუნდა რა, რომ ამგვარად გათავისუფლებას ვერ მიაღწევდა, შეეშვა არსებულ რელიგიებსა და მეთოდებს და დაიწყო საკუთარი გზის ძიება, რომლის დროსაც განსაკუთრებით მედიტაციას ეწაფებოდა. მან ამას შუა გზა უწოდა, რადგან იგი სხვა რელიგიური სწავლებების ექსტრემალურობას უარყოფდა. 35 წლის იყო ზიდჰარტა გაუტამა, როდესაც სრულყოფილ გამოღვიძებას (ბოდჰი) მიაღწია. ეს მოხდა მდინარე ნაირანჯანას ნაპირზე, ბოდჰ გაიაში, ლეღვის ხის ძირას, რომელსაც ბოდჰი ხეს ანუ გამოღვიძების ხეს უწოდებენ. იგი დაჯდა ხის ძირას მტკიცე გადაწყვეტილებით, საბოლოოდ გათავისუფლებულიყო დაბადებებისა და სიკვდილების წრებრუნვისაგან. მას შეუტია ბოროტმა ღმერთმა მარამ, რომელიც ბუდიზმში პერსონიფიცირებულ ცდუნებას წარმოადგენს. მან ზიდჰარტას მიუგზავნა თავისი ავხორცი ქალიშვილები, რათა მისი ყურადღება მოედუნებინა და ასევე თავისი საზარელი ვაჟები, რათა გაქცევა ეიძულებინა მისთვის. მაგრამ ზიდჰარტამ გაუძლო მარას შემოტევას და

მედიტირების ბოლო ღამეს მიაღწია გასხივოსნებას ადამიანური არსებობის კანონზე ანუ ჭეშმარიტებაზე (დჰარმა). ამგვარად შესაძლებელი გახდა იგი ჭეშმარიტ ბუდად წოდებულიყო.

თავდაპირველად ბუდას უნდოდა თავისი შეხედულებები თავისთვის შეენახა და მრავალი კვირა გაატარა მედიტაციაში, სანამ საბოლოოდ გადაწყვეტდა, თავისი ნაპოვნი სიბრძნე სხვისთვისაც გადაეცა. ვარანასის მახლობლად, სარნათში იგი შეხვდა ხუთ ყოფილ თანამგზავრს, რომელთა წინაშეც იქადაგა თავისი სწავლება (სუტრა), რასაც სწავლების ბორბლის პირველი ტრიალი (დჰარმაჩაკრაპრავარტანა) ეწოდა. შემდგომი 45 წლის განმავლობაში ბუდა მოგზაურობდა ჩრდილოეთ ინდოეთის გზებზე და ასწავლიდა დჰარმას. უკანასკნელად ქალაქ კუშინაგარში იქადაგა მან თავისი შეგირდების წინაშე (მაჰაპარინირვანა-სუტრა) დაწვა ორ ხეს შუა და გარდაიცვალა – ბუდისტური ფორმულირებით მიაღწია საბოლოო ნირვანას (პარინირვანა) და შემდგომ ამისა აღარასოდეს დაბადებულა.

მისივე მითითებით მისმა მიმდევრებმა დაწვეს მისი ნეშტი და ფერფლი როგორც რელიქვიები შეინახეს ყორღანებში (სტუპა), რომლებიც ბუდისტური ტრადიციის თანახმად წარმოადგენენ ბუდას ფორმა – სხეულს, ხოლო მისი სწავლება დჰარმა – სხეულსამ ორი სახეობის სხეულებით რჩება იგი მისი მოძღვრების აღმსარებლებისთვის მარადიულად.

გასხივოსნება (სანსკრ. ბოდჰი – გამოღვიძება, გასხივოსნება) ბუდიზმში აღნიშნავს ბუდას მიერ ნასწავლი ხსნის გზისთვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე შეცნობის პროცესს. ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები აგრეთვე ბუდა(გამოღვიძებული, გასხივოსნებული)ბუდისტური სწავლების თანახმად, ბუდა არის ის არსება, რომელმაც საკუთარი ძალით, ანუ დამოძღვრისა და გარედან წარმართვის გარეშე მიაღწია სულის სრულყოფილ სიწმიდესა და ამგვარად ყველა თავისი პოტენციალის გამოვლინება შესძლო, მიაღწია სრულქმნილ სიბრძნეს (პრაჯნა), უსასრულო თანაგრძნობას (კარუნა) ყველა ცოცხალი არსების მიმართ და აქედან გამომდინარე სრულყოფილ სიხარულს და სიხალისეს.

წინაპირობა ამის მისაღწევად არის ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტების გაცნობიერება, ყოფიერებასთან დაკავშირებული მოთხოვნილებებისა და ილუზიების გადალახვა და ამგვარად ყველა კარმული ძალის გამოვლინება. გასხივოსნების (ბოდჰი) შედეგად ხდება მტანჯველი წრებრუნვის – სამსარას გარღვევა და მიიღწევა ნირვანა.

ბუდამ, ლეგენდის თანახმად, 8400 დამოღძვრა წარმოთქვა, რომლებიც მიმართულნი იყვნენ სამსარას ტანჯვის გასათავებლად და ბოდჰის მისაღწევად.

გოვინდა ინდუისტური ღმერთის კრიშნას სხვა სახელი, გო ნიშნავს ძროხას, ხოლო ვინდა – მცველს, მფარველს ანუ კომბინაციაში სახელი აღნიშნავს ძროხების მფარველს

ვაზუდევა ინდურ ტრადიციაში, მაგ. მაჰაბჰარატას ეპოსში არის კრიშნას მამის სახელი. ამასთანავე ნაწარმოებში, ბევრ ადგილას თავად კრიშნა იწოდება, როგორც ვაზუდევა, ანუ ვაზუდევას ძე. ასევე იწოდება კრიშნა ბჰაგავატგიტაშიც (7.19, 10.37)

ვიშნუ (სანსკრ.: ვისნუ, ყოველივეს განმწონელი)არის ინდუიზმში ღვთიურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა. მისი შაკტი ანუ ღვთიური ქალური მხარე არის ლაკშმი, რომელიც მისი ცოლიცაა. ვიშნუ არის ტრიმურტის ანუ ინდუისტური სამების ერთ-ერთი გამოვლინება, სადაც მასთან როგორც მფარველ ღვთაებასთან ერთად შედიან შემოქმედი ბრაჰმა და დამანგრეველი შივა. ამ სამებაში ვიშნუს ფუნქციაა დჰარმას (კანონი, წესი) შენარჩუნება. თუმცა ტრიმურტის ფარგლებს გარეთ ვიშნუ ისევე როგორც შივა თავის თავში სამივე ასპექტს აერთიანებს. მაგ. მისი დამანგრეველი სიმბოლოა დისკო.

ვიშნუ ყოველთვის თავისი ოთხი ინსიგნიითა გამოსახული, რომლებიც თავის ოთხ ხელში უჭირავს: დისკო (ჩაკრა), რომელსაც ბრძოლისას მტრებისკენ გატყორცნის, ლოკოკინას ნიჟარის საყვირი (სანკჰა), რომელსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩაჰბერავს, ლოტოსი (პადმა) – სიბრძნისა და სიწმიდის სიმბოლო და ცული (გადა) რომლითაც ასურებს ანუ დემონებს ებრძვის.

ვიშნუ მრავალი სახით მანიფესტირდება და მოწოდებულია, სამყაროს წესრიგის – დჰარმას დასაცავად, როდესაც მას საფრთხე ემუქრება. იგი მუდამ ინკარნირებას ახდენს ცხოველისა ან ადამიანის სახით. ამ ინკარნაციებს ავატარა ეწოდება. ვიშნუს უმნიშვნელოვანესი ავატარებია რამა და კრიშნა. აავატარად მოვლენილი ვიშნუ ებრძვის ბოროტებასა და აღადგენს კანონიერებას.

ზიდჰარტა თავდაპირველი სახელია ბუდასი, რომელიც მას მშობლებმა დაარქვეს და ნიშნავს: იგი, ვინც თავის მიზანს მიაღწია. ზიდჰარტა გაუტამა ამ სახელის სანსკრიტული ფორმაა. პალიზე, ანუ იმ ენაზე, რომელზეც მოაღწიეს ჩვენამდე ბუდიზმის უძველესმა ტექსტებმა, ეს სახელი ჟღერს: ზიდჰარტა გოტამა. გაუტამა ანუ გოტამა არ არის ბუდას ინდივიდუალური სახელი, არამედ გვარის მსგავსად, აღნიშნავს გოტამას კლანისადმი კუთვნილებას.

კამალა ქალის სახელია. იგი გამომდინარეობს სიტყვიდან კამა (სანსკრ. ამქვეყნიური ტკბობა), რომელიც ინდუიზმში ითვლება ერთ-ერთად ოთხი პურუშართჰადან ანუ ადამიანის სიცოცხლის ოთხი მიზნიდან. დანარჩენი სამი არის: ართჰა (კეთილდღეობა და წარმატება), დჰარმა (ცხოვრება სოციალური და კოსმიური წესის და კანონის თანახმად) და მოკშა (ხსნა). ინდუიზმში ამქვეყნიური ტკბობა და სწრაფვა კეთილდღეობისაკენ არ ითვლება ამორალურად თუ ისინი სხვა ორ მიზანს დჰარმასა და მოკშას ემსახურება.

კამას პერსონიფიკაცია და სიყვარულის ღმერთი ინდუიზმში არის კამადევა და იგი ვიშნუს – უმაღლესი მფარველი ღმერთისა და ლაკშმის, კეთილდღეობისა და მშვენიერების ქალღმერთის შვილია.

კამასვამი კაცის სახელია, ნიშნავს სიყვარულის ოსტატს.

კეთილშობილი რვამაგი ბილიკი (სანსკრ.: არია ასტანგიკა მარგა) წარმოადგენს ბუდისტური სწავლების ცენტრალურ ელემენტს. იგია მეოთხე ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტებათაგან და ასწავლის ხსნის (ნირვანას) მისაღწევ გზას. გადმოცემის თანახმად ეს სწავლება ზიდჰარტა გაუტამამ (ბუდამ) ჩამოაყალიბა თავის 22-ე ქადაგებაში დიგჰა-ნიკაიაში.

ბუდას თანახმად ადამიანი მიაღწევს ნირვანას რვამაგი კეთილშობილი ბილიკით: 1. მართალი ცოდნა, 2. მართალი ფიქრები, 3. მართალი თქმა, 4. მართალი ქმედება, 5. მართალი შემოსავალი, 6. მართალი მცდელობა, 7. მართალი ყურადღებიანობა, 8. მართალი ჩაღრმავება.

ეს რვა პრინციპი სამ ჯგუფად ერთიანდება: სიბრძნე (პრაჯნა – 1 და 2 ნაწილები) ანუ საკუთარი თავისა და სამყაროს სწორი გაგება, ზნეობრიობა.

(შილა – 3-5 ნაწილები) ანუ მავნე ქმედებებისგან თავის შეკავება (არ მოკლა, არ იპარო, არა მართლზომიერ სქესობრივ ურთიერთობებში არ შეხვიდე, არ იტყუო, მათრობელა სასმელები არ დალიო და სხვ.), ჩაღრმავება (სამადჰი, 6-8 ნაწილები)ანუ დისციპლინირებული სული, რომელიც ეხმარება ადამიანს მოიშოროს სიძულვილი და სიხარბე.

ეს პრინციპები დაკავშირებულნი არიან კარმას კანონის ტრადიციულ ბუდისტურ წარმოდგენასთან, რომელიც სიკვდილისა და ხელახალი დაბადებების პროცესს განსაზღვრავს.

ბუდიზმში კარმის ცნება ინდუიზმიდან შევიდა, სადაც იგი საბოლოოდ უპანიშადებში დამუშავდა და განისაზღვრა. აამ თეორიას საფუძვლად უდევს წარმოდგენა სულის უკვდავებაზე, რომლის თანახმადაც მუდმივ არსებული სული სიკვდილის მერე ხელახლა დაბადებას ანუ რეინკარნაციას(სამსარა) განიცდის. კარმის კანონი ეხება მიზეზისა და შედეგის სიტემას, რომელიც მრავალი ცხოვრების მანძილზე შეიძლება იყოს გადაჭიმული. მის თანახმად ადამიანები თავისი ქმედებების თანახმად ჯილდოვდებიან (პუნია) ან ისჯებიან (პაპა) და შეფარდება პუნიას და პაპას შორის განსაზღვრავს ყოველი შემდგომი ცხოვრების სახესა და ხარისხს. უმაღლესი მიზანია გათავისუფლება (ინდუზმში – მოკშა, ბუდიზმში – ნირვანა) დაბადებათა წრებრუნვისგან და იმ ტანჯვებისგან, რომლებიც ამ ცხოვრებებს თან ახლავს, რაც ბუდას მიმდევართა რწმენით კეთილშობილური რვამაგი ბილიკის პრინციპებთან ერთგულებით მოიიღწევა.

კრიშნა (სანსკრ. კრშნა, შავი) ინდუისტურ რელიგიაში ღვთიურის ერთ-ერთი ფორმა. მას თაყვანს ცემენ, როგორც ვიშნუს, უმაღლესი მფარველი ღვთაების მერვე ავატარას ანუ ღვთიურ ასპექტს, რომელიც ადამიანის ან ცხოველის ფორმას იღებს ხოლმე. მისი მიმდევრებისთვის კრიშნა არის უმაღლესი ძალის ინკარნაცია.

რელიგიური ტექსტები კრიშნას აღწერენ ავდრის ღრუბლის ფერად. მას მუდამ თან აქვს ფლეიტა (ბანსური), ხოლო თმაში გარჭობილი აქვს ფარშავანგის ფრთა. მეცნიერული თვალსაზრისით იგი არ არის ისტორიული პიროვნება, თუმცა ინდოელთა აზრით იგი რეალური ადამიანი იყო. ძალზე პოპულარულია მისი დაბადებისა და ბავშვობის, აგრეთვე მისი სასიყვარულო ისტორიები. მაგ ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად მან დემონებისგან იხსნა 16108 პრინცესა და მერე ყველა უკლებლივ ცოლად შეირთო. კრიშნას თაყვანისცემის ფილოსოფიური განზომილების გასაგებად უმნიშვნელოვანესი ტექსტური წყარო არის ბჰაგავატგიტა, ერთ-ერთი ნაწილი ინდური ეპოსისა მაჰაბჰარატა, სადაც იგი პანდავას გვარის გმირის, თავისი მეგობრის არჯუნას საბრძოლო ეტლს მართავდა კაურავას გვარის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლის წინ კრიშნა არჯუნას თავის ღვთიურ წარმოშობას გაუცხადებს. არჯუნა ყოყმანობს ბრძოლის დაწყებას, რადგან მოწინააღმდეგეთა შორის მრავალად არიან მისი ნათესავები. კრიშნა ასწავლის მას დჰარმას, დამოძღვრავს სულის უკვდავებაზე – ატმან და შეახსენებს თავის მოვალეობას, რომ მან როგორც კშატრიამ ანუ მეომარმა უნდა იბრძოლოს. ხანში შესული კრიშნა შემთხვევით დაიღუპება ისრით ნადირობისას. ინდუისტური ტრადიციის თანახმად იგი ძვ. წ. 3102 წელს დაბრუნდა ზეცაში. დროის ეს მომენტი ითვლება ე.წ. ბნელი წელთაღრიცხვის (კალი-იუგა) დასაწყისად.

კრიშნას კულტი და მისი თაყვანისცემის ფორმები მთელს ინდოეთში გამორჩეულია თავისი პოპულარობით, მრავალფეროვნებითა და ემოციურობით.

ლაკშმი ინდუისტური ბედნიერებისა და მშვენიერების ქალღმერთი, სიმდიდრის, სულიერი კეთილდღეობის, ჰარმონიისა და სიუხვის მწყალობელი და მცენარეთა მფარველია. იგი არის ვიშნუს შაკტი ანუ ქალური ღვთიური ძალა და მისი მეუღლე. ჯერ კიდევ ვედები, უძველესი ინდუისტური ნაწერები მოიხსენიებენ ლაკშმის – მშვენიერების ღვთაებას. ასამყაროს შექმნის მითის თანახმად ლაკშმი გამოვიდა იმ რძის ოკეანიდან, რომლის შედღვებასაც გველთა მბრძანებლის ვასუკის საშუალებით ცდილობდნენ დემონები (ასურა) და ღმერთები (დევა), რათა უკვდავების სითხე სომა მიეღოთ. შედღვების შემდეგ სომას გამო გაიმართა ბრძოლა ღმერთებსა და დემონებს შორის და მას საბოლოოდ დაეუფლა ვიშნუ, რომელიც ამის შემდეგ თავის ქმრად აირჩია ოკეანიდან გამოსულმა ლაკშმიმ. როგორც ვიშნუს ცოლი, ლაკშმი გამოისახება ორი ხელით, ხოლო თუ მარტოა – უმეტესად ოთხით: ორი ხელით უჭირავს ლოტოსის ყვავილები, ხოლო ორი ნუგეშის გამომსახველ მდგომარეობაში უკავია. თუ იგი რვა ხელითაა გამოსახული ამ სიმბოლოებს ემატებიან ისარი, მშვილდი, დისკო და ცული. ამგვარად წარმოსახულს ეწოდება მაჰალაკშმი (დიდი ლაკშმი). ამ დროს იგი წარმოადგენს ყველაზე პოპულარული ქალღმერთის დურგას ასპექტს და არა ვიშნუს მეუღლეს.

მაია (სანსკრ. მაია – ილუზია, ჯადო) ინდუისტური ქალღმერთია, რომელსაც მაჰამაიას ანუ დიდ მაიასაც უწოდებენ და ერთ-ერთი გამოვლინებაა დევის (სანსკრ. დევი – ღმერთი)

– უმთავრესი ქალღმერთისა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა ქალღმერთს, რომლებიც დევის სხვადასხვა ბუნებას გამოხატავენ.

როგორც ღმერთი, მაია არის ქვეყნიერების დედა, სამყაროს შემოქმედი, თავად სამყარო და ილუზიის ქალღმერთი. იგი წარმოგვიდგება სამყაროს ქალურ ძალად – შაკტი, რომელიც აქტიურ ენერგიას წარმოადგენს. მაია შეიძლება სხვადასხვა სახით იყოს გამოვლენილი: როგორც სარასვატი – ბრაჰმას მეუღლე, როგორც ლაკშმი – ვიშნუს მეუღლე ან დურგა-შივას მეუღლე, რომელთა მეშვეობითაც მამრი ღმერთები თავიანთ შემოქმედ ენერგიას იღებენ.

მაიას სიმბოლოებია: ცისარტყელას შვიდი ფერი, პირბადე და ობობას ქსელი.

ამასთანავე მაია ითვლება მაცდურად და დამაბრმავებლად, რომელიც ადამიანის სულს ხიბლავს, აბრმავებს და აჯადოებს.

ადამიანი თავისი უვიცობისა გამო იქმნის მცდარ წარმოდგენას გარე სამყაროზე, ეს წარმოდგენა არის სწორედ მაია და როდესაც იგი ცდილობს სამყაროზე ამგვარი წარმოდგენა რეალურ სამყაროს მიუსადაგოს, ამით ეძლევა იგი ილუზიას ანუ მაიას.

ადამიანის მიზანს სწორედ ამ ილუზიის და ცდუნებების უარყოფა და სამსარადან – დაბადებათა წრებრუნვიდან გასვლა წარმოადგენს.

მარა (სანკრ. წარმომდგარია სიტყვისგანმმარატი – სიკვდილი, მოკვლა) ბუდიზმში სიკვდილისა და უბედურების პრინციპია. იგი წარმოადგენს სამსარას მტანჯველი სამყაროს სიმბოლოს. ლეგენდებში იგი წარმოგვიდგება ბუდა შაკიამუნის მეტოქედ. მისი დამხმარეები არიან მისივე ქალიშვილები რატი (ვნება), არატი (დაუკმაყოფილებლობა) და ტანჰა (სიხარბე). იგი მრავალჯერ ჩნდება ბუდას ცხოვრების აღწერისას. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოჩენაა ის, რომელიც უშუალოდ ბუდას გასხივოსნების წინ მოხდა. როდესაც ზიდჰარტა გაუტამა ბოდჰ-გაიაში, ბოდჰიხის ძირას სულ ახლოს იყო გასხივოსნებასთან, მმარა მთელი ძალით ცდილობდა გადაეთქმევინებინა მისთვის თავისი განზრახვა. ამისთვის იხმო მან ჯარი თავისი საშინელი ვაჟებისა, რომელთაც შიში უნდა მოეგვარათ ბუდასთვის და გაექციათ იგი, და აგრეთვე თავისი ავხორცი ქალიშვილები, რომლებსაც უნდა შეეცდინათ ზიდჰარტა გაუტამა და აგრეთვე შესთავაზა მას სიმდიდრე, რათა ეცდუნებინა იგი. თუმცა ბუდამ განჭვრიტა მისი განზრახვა, რამეთუ შეიცნო ყველა მისი შემოთავაზება წარმავალი, ამაო და ილუზია იყო. თავის ბოლო შეტევისას შეეცადა მარა, გადაეთქმევინებინა ბუდასთვის ნირვანაში შესვლა, მაგრამ მან გაუძლო მარას შეტევებს და მედიტაციის ბოლო ღამეს მიაღწია გასხივოსნებას ადამიანური არსებობის დჰარმაზე(ჭეშმარტება, კანონი), ხოლო მარა ჩაიძირა გუბეში.

ნირვანა ბუდიზმში აღნიშნავს უმაღლეს მიზანს, როდესაც გამოღვიძების ანუ გასხივოსნების გზით (ბოდჰი) ადამიანი თავს აღწევს სამსარას ანუ ტანჯვისა და ხელახალი დაბადებების (რეინკარნაციის) წრებრუნვას. სიტყვა ნირვანა ნიშნავს ჩაქრობას (სიტყვა-სიტყვით განქარებას) და აღნიშნავს ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული ფაქტორების, როგორიცაა საკუთარი მეს წარმოჩენა, წარმავალზე ჩაჭიდება, სიხარბე და ა.შ. დათრგუნვას. ინდუიზმში მსგავსი ცნება არის მოკშა.

ზიდჰარტა გაუტამასთვის სამსარა იყო მუდმივი წვალება, რომელიც სიკვდილისა და მომავალი ტანჯვისგან შედგებოდა და ამ წრებრუნვის გარღვევას შეეცადა იგი. ეს მისი გათავისუფლების აქტი, დასასრული ხელახალი დაბადებების ციკლისა ცნობილია, როგორც ნირვანა – ანუ გაფანტვა უცოდინრობისა და სურვილების ცეცხლისა. სწორედ უცოდინრობა და სურვილები არიან ბუდას მიხედვით სამსარას მამოძრავებელი ძალა და ტანჯვის წყარო. ზიდჰარტა გაუტამამ ორ საფეხურად მიაღწია ნირვანას. პირველად ბოდჰი – ხის ქვეშ მედიტაციის შედეგად გასხივოსნდა და ამგვარად გახდა ჭეშმარიტი ბუდა(გამოღვიძებული, გასხივოსნებული). ამ დროს მასში ყოველგვარმა სურვილებმა შეწყვიტეს არსებობა. წლების მერე კი, სიკვდილის მომენტში იგი სრულიად გათავისუფლდა სამსარასგან და ამის მერე აღარასოდეს დაბადებულა ანუ მიაღწია პარანირვანას (საბოლოო ნირვანას). თავისი სიკვდილით მან შეწყვიტა არსებობა. ნირვანა არ არის რაიმე ზეციური ადგილი და არც ცხონება იმ ქვეყნად. ნირვანა დასასრულია და არა ხელახალი დასაწყისი რომელიღაც სხვა სფეროში. იგი მდგომარეობის შეცვლაა, სადაც ყველა წარმოდგენა და სურვილი თითქოსდა გადალახული და ჩაკლულია.

ბუდას მიმდევრები ცდილობენ, მიბაძონ მის მაგალითს და ადამიანური სიტკბოებების უარყოფით, მედიტაციით და კარგი მორალური ქცევით გათავისუფლდნენ დაბადებათა წრებრუნვისაგან და მიაღწიონ ნირვანას, რაც კეთილშობილი რვამაგი ბილიკის (იხ. ზემოთ) წესების დაცვით არის შესაძლებელი.

ომ უთარგმნელი მარცვალია, რომელიც წმინდაა როგორც ინდუისტებისათვის, ასევე ბუდისტებისთვის. მისი ჟღერადობა (აუმ) ასახავს ტრანსცენდენტურ პირველად ჟღერას, რომლის ვიბრაციისგან, ინდუისტთა წარმოდგენით სრულიად კოსმოსი, უნივერსუმი შეიქმნა. იგი წარმოსახავს უმაღლეს ღვთიურ ძალას, ბრაჰმანს, უფორმო და უპიროვნო სულს, რომელიც მოიცავს, როგორც ხილულ გამოვლინებათა, ასევე ტრანსცენდენტურ სამყაროებს. ამასთანავე იგი უმაღლესი ტრიადის: ვიშნუ, შივა და ბრაჰმა(ტრიმურტი) სიმბოლიზირებაა. ომ პირველად უპანიშადებში გაჩნდა. მოგვიანებით იგი მისტიკური მედიტაციების ობიექტი გახდა და ყველა ინდურ რელიგიაში ითვლება უწმიდეს მანტრად ანუ ამ რელიგიებში გავრცელებულ ფორმულისმაგვარ

სიტყვათა თანმიმდევრობად, რომლებსაც მორწმუნენი მედიტაციისას განმეორებით რეციტირებენ. მმაგ. ძალზედ გავრცელებულია უძველესი ბუდისტური მანტრა: ომ მანი პადმე ჰუმ. ეს არის ავალოკიტეშვარას თანამგრძნობი ბოდჰისატვას (მომავალი ბუდას) მანტრა.

ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტება (სანსკრ. კკატვარი არიასატიანი) წარმოადგენს ბუდისტური სწავლების საფუძველს. ბუდას პირველი შეხედულებები ბოდჰ გაიაში იყო ცოდნა თავის წინარე დაბადებებზე, რასაც მოჰყვა ცოდნა სხვა არსებათა დაბადებებზე და საბოლოოდ ჩაწვდომა ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტებისა, რაც შემდგომ სარნათში მისი პირველი ქადაგების საგანი ანუ ცოდნის ბორბლის პირველი დატრიალება (დჰარმაჩაკრაპრავარტანა სუტრა) იყო. ეეს ოთხი ჭეშმარიტება გვაუწყებს: 1. ჭეშმარიტება ტანჯვაზე: ცხოვრება არსებობის წრებრუნვაში არის მტანჯველი.

2. ჭეშმარიტება ტანჯვის წარმოშობის შესახებ: ტანჯვის მიზეზებია სიხარბე, სიძულვილი და სიბრმავე.

3. ტანჯვის დაძლევის ჭეშმარიტება: მიზეზთა ჩაქრობით ჩაქვრება ტანჯვაც 4. ტანჯვის ჩაქრობისკენ მივყავართ კეთილშობილ რვამაგ ბილიკს.

ამრიგად ბოდჰ გაიაში გამოღვიძებისას ზიდჰარტა გაუტამა მივიდა იმ აზრამდე რომ მთელი ცხოვრება სავსეა ტანჯვით (დუკკჰა). ტანჯვაა დაბადება, დაბერება, სიკვდილი, წუხილი, ტკივილი, სასოწარკვეთა. თანაცხოვრება ადამიანთან, ვინც არ გიყვარს, ასევე ტანჯვაა, სასურველის არმიღება ტანჯვაა და ა. შ. და რომ ყველა ტანჯვის წარმოშობის მიზეზი უპირველესად სიხარბეა, ხოლო სიხარბის საწყისი კი საგანთა, განსაკუთრებით მეს ბუნების უცოდინარ და ყალბ გააზრებაში დევს, რომელსაც ყალბ აღქმისკენ და ყალბ ქმედებებისკენ გვიბიძგებს, რასაც კარმას კაუზალური კანონის თანახმად მტანჯველ გამოცდილებამდე მივყავართ. ერთი ასეთი ყალბი აღქმა არის ეგოს ანუ მეს მატერიალური სამყაროს საგნებთან იდენტიფიცირება.

ტანჯვა, ბუდას თანახმად, შეწყდება ნირვანას მიღწევისას, რაც სიხარბისა და უცოდინრობის დასასრულია. ნირვანას მიღწევა კი რვამაგი ბილიკის საშუალებით არის შესაძლებელი.

პიზანგი – ბანანის სხვაგვარი სახელია ზოგიერთ აზიურ ენაზე პრაჯაპატი (სანსკრიტზე ნიშნავს ბატონს ყოველი არსებისა)

– ინდუისტური შემოქმედი ღვთაებაა, რომელიც არის განაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღმერთი. წინარეინდუისტურ ვედურ რელიგიაში იგი არის უმაღლესი ღმერთი ვიშვაკარმა.

შემდგომ პერიოდებში მოხდა მისი იდენტიფიკაცია ვიშნუსთან და შივასთან.

რიგვედა ინდუისტური რელიგიური ტექსტების კრებულის ვედას (სანსკრ. ცოდნა) უძველესი ნაწილია. იგი ძვ,წ. 1750 და 1200 წლებს შორის უნდა იყოს შექმნილი.

ვედა წარმოადგენს პროტო-ინდუისტური, ვედური რელიგიის საფუძველს. ვედური პერიოდის რელიგიური ცხოვრებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რიტუალური მსხვერპლშეწირვა, რომელსაც ქურუმები წარმართავდნენ უმთავრესად ცეცხლის და მათრობელა სითხის სომას გამოყენებით. ვედური რელიგია მსხვერპლშეწირვას მჭიდროდ უკავშირებდა რიტას (ჭეშმარიტება,სამართლიანობა, წესიერება), რაც ცაში და მიწაზე მშვიდობისა და ჰარმონიის საფუძველი იყო.

ვედა ოთხი კრებულისგან შედგება: რიგვედა, სამავედა, იაჯურვედა, ათჰარვავედა, რომლებიც ჰიმნებსა და რიტუალურ ნაწარმოებებს მოიცავენ. მათ ემატება ბრაჰმანები – ბრაჰმანთა მიერ ქურუმთათვის შექმნილი რიტუალური ტექსტები, არანიკები (ტყის კრებული) – სამსხვერპლო სიმბოლიკისა და სამღვდელო ფილოსოფიის შემცველი ტექსტები, რომლებიც ტყეში განდეგილად გასული ბრაჰმანებისთვისაა განკუთვნილი და ფილოსოფიური თხზულებები – უპანიშადები (მასწავლებლის გვერდით მჯდომი), რომლებიც ძვ.წ. 600 წელს ან უფრო მოგვიანებით უნდა იყვნენ შექმნილნი.

ვედები ინდური ტრადიციის თანახმად ზებუნებრივი წარმოშობის არიან, ანუ ისინი ადამიანებს არ შეუქმნიათ, ისინი დაინახეს და მოისმინეს მხილველებმა (რიში), რომლებიც შემდეგ თაობიდან თაობას

ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა, საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა, რომ ვედების ჩაწერა, მათ მაგიურ ძალას დაუკარგავდა და ეს სიტყვიერი ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია ინდოეთში. ისინი მარადიული ბუნების არიან და დროის ნებისმიერი წრებრუნვისას გაცხადდებიან.

რიგვედა (ცოდნის ლექსი) შეიცავს ათ წრეში (მანდალაში) განაწილებულ ღვთის სადიდებელ 1028 ჰიმნს სხვადასხვა ვედური ღმერთის: აგნი, ინდრა, ვარუნა და სხვათა მიმართ და რომლებსაც ქურუმები მსხვერლშეწირვის რიტუალის დროს გამოთქვამდნენ ან გალობდნენ.

სამავედა (სამან-ჰანგი) თითქმის სრულად შეიცავს რიგვედას ჰიმნებს, ოღონდ ლიტურგიული თვალსაზრისიდან გამომდინარე სხვანაირად არის დალაგებული.

იაჯურვედა (იაჯუს – სამსხვერპლო გამოთქმა) პროზაული ფორმით არის შედგენილი და შეიცავს მანტრებს – მოკლე რელიგიურ ფორმულებს რომლებიც განმეორებით გამოითქმევა რელიგიური რიტუალის დროს.

ათჰარვავედა წარმოადგენს მაგიური ჰიმნების, ჯადოსნური გამონათქვამებისა და სხვა ხასიათის ტექსტების ნაზავს ზოგჯერ ვედებს მიაკუთვნებენ აგრეთვე სმირტი – ტექსტებს, რომლებიც ეპოსებისგან, ძველი მოთხრობებისაგან (პურანა), კანონებისა და ეთიკური დებულებებისგან (დჰარმაშასტრა) შედგებიან. მართალია სმირტის ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ვიდრე ვედებს, მაგრამ უკანასკნელი 2500 წლის განმავლობაში მათ უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ინდოელთა ცხოვრებაში. სმირტი ეპოსები რამაიანა და მაჰაბჰარატა ინდუისტური ტრადიციის უცნობილესი ნაწარმოებებია, რომლებიც ინდუიზმის რელიგიური ლიტერატურის საფუძველს წარმოადგენენ.

სალი (შჰორეა რობუსტა) ინდოეთის სუბკონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილში და აგრეთვე ჰიმალაის სამხრეთ ფერდობებზე ფართოდ გავრცელებული ხის ჯიში. მმისი ლოკალური სახელები ინდოეთში არის აგრეთვე: სალვა, საკუ, შალ, საკვა.

მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა სალმა კულტურაშიც. თქმულების თანახმად, სალის ხის ძირას გააჩინა დედოფალმა მაიამ თავისი ვაჟი ზიდჰარტა გაუტამა, რომელიც შემდგომ, გასხივოსნების შემდეგ, ბუდა გახდა. სხვა თქმულება კი ამბობს, რომ დედოფალ მაიას სალის ხის ძირში ესიზმრა ექვსეშვიანი სპილო, რომელმაც ზიდჰარტა გაუტამას ჩასახვისას მის სხეულში შეაღწია. ამ აირავატად წოდებულ სპილოს ინდოელები ღმერთ ვიშნუს რეინკარნაციად განიხილავენ. კიდევ ერთი თქმულების თანახმად, ბუდა სალის ხის ძირში მოკვდა.

სამანა (პალიზე-სამანა, სანსკრიტზე-სრამანა) ასკეტი, წყალობის მთხოვნელი ბერია ინდოეთში. ეს ცნება ძირითადად ბუდისტურ კონტექსტში გამოიყენება და აღნიშნავს უპოვარ ბერს, რომელიც მოწყალებით ცხოვრობს. მათ ცხოვრებას განსაზღვრავს ასკეტურობა, მარხვა და ფილოსოფია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე – 7-6 საუკუნეებში ინდოეთში ფართოდ გაიშალა სამანური მოძრაობა, რომელიც ბრაჰმანობას, ვედების ავტორიტეტს, კასტურ სისტემას უპირისპირდებოდა და ხელახალი დაბადებების წრებრუნვისგან ხსნას ამ ინსტიტუტების მიღმა ეძებდა. მრავალი ბერი გავიდა ტყეებში, რათა ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფითა და მედიტაციით მიეღწიათ სამსარასგან გათავისუფლებისთვის.ა ამგვარად ჩამოყალიბდნენ ჯგუფები მრავალრიცხოვანი მიმდევრებით, რომლებიც თავიანთ სწავლებებს, როგორც იმ დროისთვის გაბატონებული ბრაჰმანიზმის საპირისპირო განმანათლებლურ მოძღვრებებს განიხილავდნენ. მათგან საბოლოოდ ორი მოძღვრება: ბუდიზმი და ჯაინიზმი ჩამოყალიბდა, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს. ბუდა საკიამუნიმ, განსხვავებით ჯაინიზმისგან, ექსტრემალურ ასკეტურობასთან შედარებით უპირატესობა ე.წ. შუა გზას (მადჰიამა პრატიპად) მიანიჭა.

სამსარა (სანსკრ. სამსარა – მუდმივი მოგზაურობა) ინდურ რელიგიებში (ინდუიზმი, ბუდიზმი, ჯაინიზმი) აღნიშნავს ქმნადობისა და წარმავლობის მუდმივ ციკლს, ანუ ხელახალ დაბადებათა წრებრუნვას. ეს მუდმივი წრებრუნვა ამ მოძღვრებებში ითვლება მტანჯველად (დუკჰა) და გარღვევა ამ არაკეთილისმყოფელ წრებრუნვიდან შესაძლებელია ყველა ჩვეული კავშირის, ლტოლვისა და სასურველი წარმოდგენის უარყოფითა და აგრეთვე სპეციალური ცოდნით, რის შედეგადაც დგება ჩაქრობის მდგომარეობა, რომელსაც ინდუისტები მოკშას, ხოლო ბუდისტები ნირვანას უწოდებენ.

სამსარასგან გათავისუფლება და ნირვანას მიღწევა ზიდჰარტა გაუტამა ბუდას თანახმად შესაძლებელია კეთილშობილი რვამაგი ბილიკის საშუალებით, რომლის პრინციპებიც კარმას კაუზალურ კანონთანაა დაკავშირებული, რომელიც სიკვდილისა და დაბადების პროცესს განსაზღვრავს. ჰ. ჰესე ზიდჰარტაში ამ ცნებას განსხვავებული ფორმით: სანსარა იყენებს.

უპანიშადები (სანსკრ. უპანიშად ითარგმნება როგორც გვერდით ჩამოჯდომა. იგულისხმება მოძღვრის, გურუს ფერხთით ჩამოჯდომა) წარმოადგენს ინდუიზმის რელიგიურ ფილოსოფიურ ნაწერთა კრებულს და ვედას შემადგენელი ნაწილია.

არსებობს დაახლოებით 150 – ამდე უპანიშადი, რომელთაგან 108 არის კანონიკურად აღიარებული. უპანიშადის ტექსტები დაწერილია როგორც პროზაული, ასევე სალექსო ფორმით. მათი შექმნის დროდ მიღებულია ძვ.წ. 700-200 წლებს შორის პერიოდი. უპანიშადების კვლევის ძირითადი საგანი არის ბრაჰმან – სამყაროს უნივერსალური სული და ატმან – მისი ანარეკლი ადამიანში, რომელიც ყოველი ინდივუდუუმის შინაგანი არსია. უპანიშადების მიხედვით ბბრაჰმან და შესაბამისად ატმან წარუვალი, უკვდავი, საწყისისა და სასრულის არმქონე, მარადიული, წმინდა, დროითა და სივრცით შემოუსაზღვრავია. იგია სუფთა სატ-ჩიტ-ანანდა (ყოფიერება, ცნობიერება, ნეტარება).

უპანიშადების ფილოსოფიისთვის დამახასიათებელია: რწმენა სამყაროსა და ადამიანის არსებობის ციკლურობისა, აგრეთვე რწმენა ადამიანის ხსნისა. სხვა თემებია; ყოფიერების არსი, მედიტაცია და ღმერთის თაყვანისცემა.

წყნარად ჩაკიდებული ხელის მტევანი (ვარადა მუდრა) ერთ-ერთია ბუდას ექვსი ტრადიციული ხელის პოზიციათაგან (მუდრა). ბბუდას მკლავები ტანის გვერდით დაშვებულნი არიან ქვემოთ, იდაყვები მართი კუთხით არიან გაშვერილნი წინ, ხელის მტევნები წინ არიან მიმართულნი, თითები გამართულნი და დაბლა არიან მიშვერილნი. ეს ჟესტი მიუთითებს სათნოებასა და თანაგრძნობას.